

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. გ. წიკიტელის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

კონსვანვინე წიკიტელი

არამეული ენა

გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1982

ნაშრომში, პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში, მოცემულია არამეული ენის ლინგვისტური მიმოხილვა ისტორიულ ასპექტში მისი პირველი წერილობითი ძეგლებიდან — ძვ. წ. X ს.-დან დღემდე. იგი ითვალისწინებს არამეული ენის ყველა ძველ ლიტერატურულ დიალექტს — სახელმწიფო არამეულს, სირიულს, მანდეურს და სხვ., ასევე თანამედროვე არამეულს.

წიგნი შეიცავს ქართულ და რუსულ ტექსტს და ნავარაუდევია აღმოსავლეთმცოდნეთა და ენათმეცნიერთა ფართო წრისათვის, მათ შორის აღმოსავლეთმცოდნეობისა და ფილოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტებისათვის.

ვეუბღენი
ჩემი მასწავლებლის აკადემიკოს
გიორგი წერეთლის
ნათელ სსოვნას

ავტორი

ავტორისაგან

არამეული ენა ერთ-ერთი სემიტური ენაა, რომელზეც თითქმის სამი ათასი წლის მანძილზე იქმნებოდა წერილობითი ძეგლები და რომელიც დღესაც განაგრძობს არსებობას. ამ ძეგლების, მათი ენისა და ცოცხალი დიალექტების შესახებ არაერთი გამოკვლევა დაიწერა. მაგრამ განმაზოგადებელი ფუნდამენტური შრომა, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა არამეული ენა ყველა მისი დიალექტით, დღემდე არ გვხვდება. (ამ საკითხზე არსებული ლიტერატურა ძირითადად მიმოხილვითი ხასიათის წერილებს შეიცავს). ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ბოლო ხანებში დაწერილი შრომები, რომლებიც გარკვეული პერიოდის არამეული ენის დახასიათებას წარმოგვიდგენს. ასეთია *ჯ. გარბინისა* და *რ. დეგენის* შრომები უძველესი არამეულის (ძვ. წ. X—VIII სს.) შესახებ (G. Garbini, *L'aramaico antico*, რომი, 1956; R. Degen, *Altaramäische Grammatik*, ვისბადენი, 1969), *ე. კუჩერის* ვრცელი სტატია „არამეული ენა“ (კრებ. „Current Trends in Linguistics“, VI, ჰააგა — პარიზი, 1970), რომელშიც განხილულია ამ ენის განვითარების ადრეული საფეხურები (ძვ. წ. 300 წ.-დე), *ს. სეგერტის* „ძველი არამეული ენის გრამატიკა“ („Altaramäische Grammatik“, ლაიფციგი, 1975), რომელიც ძვ. წ. X—I სს. მოიცავს და *კ. წერეთლის* „ახალი არამეული ენა“ („Neuaramäisch“, კრებ. „Von Nag Hammadi bis Zypern“, ბერლინი, 1971), რომელიც თანამედროვე არამეულ დიალექტებს ეხება. უთუოდ საყურადღებოა, აგრეთვე, *ე. კუჩერისა* და *პ. ნათანის* ცდა, წარმოადგინონ არამეული ენის ისტორია „Tōl'dōt hā'arāmīḥ“, I, იერუსალიმი, 1971/72). გამოქვეყნებული ნაწილი შრომისა იმავე პერიოდს ეხება (ძვ. წ. IX—II სს.), რასაც *სეგერტის* ზემოხსენებული გრამატიკა. „არამეული ენის სახელმძღვანელო“ („An Aramaic Handbook“). რომელიც *ფრ. როზენტალის* რედაქციით 1967 წ. ვისბადენში გამოიცა, წარმოადგენს არამეული ენის ქრესტომათიას, სადაც მოცემულია არამეული ენის ყველა პერიოდის ტექსტები სათანადო ლექსიკონებთან ერთად.

წინამდებარე შრომა მიზნად ისახავს სრულად წარმოადგინოს არამეული ენა, რასაც ემსახურება ავტორისეული კლასიფიკაცია

არამეული დიალექტებისა და მათი მოკლე ლინგვისტური დახასიათება. აზრი ასეთი ნაშრომის შექმნის შესახებ ჯერ კიდევ 1967 წელს გავუზიარეთ ჩვენს იტალიელ კოლეგას, ცნობილ სემიტოლოგს *ჯ. გარბინის*, რომელთანაც ერთად უნდა დაგვეწერა ვრცელი სამნაწილიანი წიგნი „არამეული ენა“. შედგა ამ შრომის გეგმა, მაგრამ შემდეგში მისი რეალიზაცია ველარ მოხერხდა. ჩვენ არ ვკარგავთ იმედს, რომ განზრახული ოდესმე განხორციელდება, მაგრამ დღეს, რამდენადაც ამის საჭიროება იგრძნობა, გადავწყვიტეთ, მოკლედ, შემჭიდროებულად წარმოგვედგინა ჩვენი ჩანაფიქრი, რომელიც შემდგომში, შესაძლებელია, საფუძვლად დაედოს ვრცელ მონოგრაფიას.

არამეულ ენას საქართველოსთან შეხების დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი უნდა დაწყებულიყო ჯერ კიდევ ძვ. წ. IV ს., როდესაც საქართველო სპარსეთის ვრცელი იმპერიის ნაწილს შეადგენდა, ხოლო ცოცხალი არამეული მეტყველება დღესაც ისმის საქართველოს ტერიტორიაზე. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ქართული სემიტოლოგიის სკოლის ფუძემდებელს გიორგი წერეთელს, როდესაც მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩვენში დაიწყო არამეული ენის შესწავლა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ წინამდებარე შრომა არამეული ენის შესახებ მადლიერების გრძნობით გიორგი წერეთლის ხსოვნას ეძღვნება.

1981 წლის ნოემბერი
თბილისი

ОТ АВТОРА

Арамейский язык является одним из значительных семитских языков, на котором в течение почти трех тысяч лет создавались письменные памятники и на котором говорят по сей день. По арамейскому языку написано немало работ, но они в основном касаются отдельных памятников или отдельных диалектов. Обобщающей работы, где были бы учтены все арамейские диалекты — старые и новые, все еще не встречается, если не иметь в виду небольшие статьи обзорного характера. В этом отношении заслуживают внимания работы, которые представляют собой грамматическую характеристику арамейского языка определенного периода. Таковы работы *Дж. Гарбини* и *Р. Дегена* по древнеарамейскому языку X—VIII вв. до н. э. (*G. Garbini, L'aramaico antico*, Рим, 1956; *R. Degen, Altaramäische Grammatik*, Висбаден, 1969), объёмистая статья *Е. Кучера* «Арамейский язык» (сб. „Current Trends in Linguistics“, VI, Гаага—Париж, 1970), где представлены ранние ступени развития данного языка (до 300 г. до н. э.), «Древнеарамейская грамматика» *С. Сеерта* (Лейпциг, 1975), являющаяся грамматикой арамейского языка X—I вв. до н. э. и «Новоарамейский язык» *К. Церетели* (в сб. «Von Nag Hammadi bis Zuregen», Берлин, 1971) — о современном арамейском языке. Особо следует отметить попытку *Е. Кучера* и *Х. Натана* написать историю арамейского языка. Пока издана лишь I часть этого труда («Tōl'dōt ha'aramit», I, Иерусалим, 1971/72), охватывающая период с IX по II в. до н. э., т. е. тот же период, что и названная книга *Сеерта*. «Учебник арамейского языка» («An Aramaic Handbook»), изданный в Висбадене в 1967 г. под редакцией *Фр. Розенталя*, представляет собой хрестоматию с образцами арамейских текстов с древнейших времен до наших дней. Тексты снабжены соответствующими словарями.

Настоящая книга ставит себе целью, по возможности полностью, представить грамматическую структуру арамейского языка, чему служит авторская классификация арамейских диалектов и их лингвистическая характеристика. Идея

создания такого труда давно созрела, о чем мы еще в 1967 г. поделились с нашим итальянским коллегой, известным семитологом *Джованни Гарбини*, вместе с которым предполагали написать большую монографию «Арамейский язык». Был составлен и план этой работы, однако в дальнейшем его реализация не удалась. Не теряя надежды когда-нибудь осуществить этот замысел, мы решили уже сегодня же представить его в сжатом виде, что в будущем может послужить основой для большой монографии и, таким образом, в некоторой степени восполнить указанный выше пробел.

Соприкосновение арамейского языка с Грузией имеет довольно долгую историю. Оно, видимо, началось еще в IV в. до н. э., когда Грузия входила в Персидскую империю; на арамейском языке на территории Грузии говорят и сегодня. Исходя из этого, по инициативе и под руководством основоположника грузинской семитологической школы Г. В. Церетели, в Грузии было положено начало изучению арамейского языка. Поэтому, вполне естественно, что настоящая книга с глубокой благодарностью посвящается памяти Георгия Васильевича Церетели.

1981 г., ноябрь

Тбилиси

შემოკლებათა სია — СПИСОК СОКРАЩЕНИЙ

1. ენები და დიალექტები — Языки и диалекты

- არაბ. = არაბული
 არამ. = არამეული
 აქად. = აქადური
 აღმ. არამ. = აღმოსავლურარამეული
 აღმ. სირ. = აღმოსავლურსირიული
 ბაბ. = ბაბილონის თალმუდის არამეული
 ბიბლ. არამ. = ბიბლიის არამეული
 გალ. = გალილეური არამეული
 დას. არამ. = დასავლურარამეული
 დას. სირ. = დასავლურსირიული
 ებრ. = ებრაული
 ეგვ. არამ. = ეგვიპტის არამეული
 ეპიგრ. არამ. = ეპიგრაფიკული არამეული
 ვან. = თანამედროვე არამეული ენის ვანის დიალექტი
 ზაქ. = ზაქირის წარწერა
 თურქ. = თურქული
 ინგლ. = ინგლისური
 იუდ.-არამ. = იუდეურ-არამეული
 მაწლ. = თანამედროვე არამეული ენის მაწლულის დიალექტი
 მანდ. = მანდეური
 მოაბ. = მოაბური
 მოს. = თანამედროვე არამეული ენის მოსულის დიალექტი
 სალ. = თანამედროვე არამეული ენის სალამასის დიალექტი
 ტურ. = თანამედროვე არამეული ენის ტურ-აბდინის დიალექტი
 სეფ. = სეფირეს წარწერა
 სირ. = სირიული
 სპ. = სპარსული
 ურქმ. = თანამედროვე არამეული ენის ურქმის დიალექტი
 ტიარ. = თანამედროვე არამეული ენის ტიარის დიალექტი
 ფან. = ფანამუ II-ის წარწერა
 ფინიკ. = ფინიკიური
 ჭილ. = თანამედროვე არამეული ენის ჭილუს დიალექტი
 ჰად. = ჰადადის წარწერა
 აკად. = აკადსკი
 ანგლ. = ანგლისკი
 არაბ. = არაბსკი
 არამ. = არამეისკი
 БА = არამეისკი язык Библии, библейско-арамейский
 БЕ = еврейский язык Библии
 ВТ = язык Вавилонского талмуда
 ван. = ванსკი диалект современного арамейского языка
 вост. араб. = восточноарамейский
 вост. сир. = восточносирский
 гал. = галилейское наречие арамейского языка
 греч. = греческий
 джил. = джилуйский диалект современного арамейского языка
 др. араб. = древнеарамейский
 др. евр. = древнееврейский
 ЕА = египетско-арамейский
 Зак. = надпись Закира
 зап. араб. = западноарамейский
 зап. сир. = западносирский
 ИА = иудейско-арамейский
 ма Сл. = современный арамейский диалект Ма Слуды
 манд. = мандейский
 моав. = моавийский
 мос. = мосульський диалект сов-

ременного арамейского языка
Пан. = надпись Панаму II
перс. = персидский
сал. = саламасский диалект
современного арамейского
языка
Сеф. = надпись Сефире
сир. = сирийский
тиар. = современный арамей-
ский диалект Тиари

тур. = современный арамейский
диалект Тур-Абдина (туройо)
турец. = турецкий
урм. = урмийский диалект сов-
ременного арамейского языка
фин. = финикийский
Хад. = надпись Хадада
ЭА = эпиграфический арамей-
ский

2. ჟურნალები და კრებულები — Журналы и сборники

ენიკვის მოამბე = ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური
კულტურის ისტორიის ინსტიტუტის მოამბე, თბილისი.

ВДИ = Вестник Древней Истории, Москва.

ВЯ = Вопросы языкознания, Москва.

ЗВО = Записки Восточного Отделения Императорского Рус-
ского Археологического Общества, Петербург.

КС = Краткие сообщения Института народов Азии АН СССР,
Москва.

ПС = Палестинский сборник, Ленинград.

СЯ = Семитские языки, Москва.

ТОВЭ = Труды Отдела Востока Эрмитажа, Ленинград.

ЭВ = Эпиграфика Востока, Ленинград.

AANL = Atti della Accademia Nazionale dei Lincei, Roma.

Abh PAW = Abhandlungen der Königl. Preuss. Akademie der Wis-
sensschaften zu Berlin.

AIO = Archiv für Orientforschung, Graz.

AION = Annali dell'Istituto Orientale di Napoli.

AJSL = The American Journal of Semitic Languages and Literatures,
Chicago.

Ar Or = Archiv Orientalní, Praha.

BSOAS = Bulletin of the School of Oriental and African Studies, London.

IEJ = Israel Exploration Journal, Jerusalem.

JAOS = Journal of the American Oriental Society, New Haven.

JBL = Journal of Biblical Literature, New Haven.

JNES = Journal of Near Eastern Studies, Chicago.

JSS = Journal of Semitic Studies, Manchester.

RSO = Rivista degli Studi Orientali, Roma.

WZKM = Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlands, Wien—
Berlin.

ZA = Zeitschrift für Assyrologie, Leipzig.

ZAW = Zeitschrift für die alttestamentliche Wissenschaft, Berlin—Giessen.

ZDMG = Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft,
Wiesbaden.

ZS = Zeitschrift für Semitistik, und verwandte Gebiete, Leipzig.

შესავალი

0.1. არამეული ენა სემიტურ ენებს განეკუთვნება და ე. წ. ქანაანურ ენებთან (ებრაული, ფინიკიური, მოაბური), ასევე უგარი-თულთან, ამორეულთან, ებლას ენასთან ერთად ქმნის მათ ჩრდილო-დასავლურ შტოს. სახელწოდებანი „არამეული“ და „არამეელები“ ამ ენაზე მოლაპარაკეთათვის მოდის სიტყვისაგან „არამ“, რომელიც უძველეს არამეულ წარწერებსა და ბიბლიურ და აქადურ ტექსტებში გვხვდება. ბიბლიის I წიგნის („შესაქმე“-ს) მე-10 თავში, სადაც ეთნარქების ტახულაა მოცემული, სემის ძეა შორის ჩვენ ვკითხულობთ არამის სახელსაც. აქადურ წარწერებში ʾahlamē, ʾarmāyē, ʾaramē-ს სახელით (ძვ. წელთაღრიცხვის XIV საუკუნიდან დაწყებული) ცნობილია სემიტური წარმოშობის მომთაბარე ტომები, რომლებიც ჩრდილო არაბეთის სტეპებიდან მესოპოტამიის კულტურულ რაიონებში შეიჭრნენ. თვით ამ ხალხის უძველეს წერილობით ძეგლებში „არამ“ (ʾrm) თავდაპირველად ქვეყნის აღმნიშვნელ სახელად გვევლინება (ძვ. წ. VIII საუკუნის ზაქირის წარწერა), ხოლო აქედან ნაწარმოები სიტყვები ʾaramī „არამეული“ და ʾaramīt „არამეულად“ ელეფანტინის წარწერებშია დადასტურებული (ძვ. წ. V საუკუნე).

0.2. ბიბლიაში სახელწოდება „არამ“ გარკვეულ გეოგრაფიულ პუნქტებზეც მიუთითებს და, პირველად ყოვლისა, დამასკოს რაიონზე, ასევე ჩრდილო მესოპოტამიაზე („არამ-ნაპრაიმ“). საყურადღებოა, რომ სიტყვა „არამ“ როგორც სახელწოდება ჩრდილო მესოპოტამიის ერთ-ერთი პუნქტისა, ბევრად ადრე (ძვ. წ. მესამე ათასწლეულში) ჯერ კიდევ ბაბილონურ ტექსტებში გვხვდება. სირიისა და მესოპოტამიის აღნიშნული ადგილები არამეელების უძველესი დასახლების კერები უნდა იყოს, საიდანაც შემდგომ არამეული ენა ფართოდ გავრცელდა როგორც დასავლეთისაკენ, ისე ამ კერების აღმოსავლეთისაკენაც. საინტერესოა აღინიშნოს, რომ უძველესი ეპიგრაფიკული ძეგლები სწორედ ამ რაიონშია აღმოჩენილი. ძველი წელთაღრიცხვის IX საუკუნისათვის არამეულ ენაზე არა მარტო სირიისა და მესოპოტა-

მიაში მეტყველებენ, არამედ პალესტინასა და ფინიკიაშიც. უფრო მოგვიანებით არამეული ენა ვრცელდება ჩრდილოეთის მიმართულებით — ქურთისტანისა და არმენიისაკენ, ხოლო აღმოსავლეთით — ირანის ტერიტორიაზე. ასურეთისა და ბაბილონის ბატონობის ხანაში (ძვ. წ. VIII საუკუნიდან მოყოლებული) არამეული ენა იქცევა საერთაშორისო ენად. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ არამეული დოკუმენტი მემფისიდან (ეგვიპტე). იგი წარმოადგენს პაპირუსს, რომელზეც დაწერილია აღონის (სამხრეთპალესტინა) მთავრის თხოვნა ფარაონ ნეხო II-სადმი, რომ მან მთხოვენელს გაუწიოს სამხედრო დახმარება ნაბუქოდონოსორის წინააღმდეგ. წერილი თარიღდება 603—602 წწ.-ით. არამეულ ენას ფართოდ იყენებდნენ ასურელები უცხოელ ქვეშევრდომებთან ურთიერთობისათვის. ამ ენას ხშირად მიმართავდნენ აქადურად დაწერილი დოკუმენტების შინაარსის გადმოსაცემად, რათა ეს მასალა ხელმისაწვდომი ყოფილიყო მკითხველთა ფართო წრისათვის.

აქემენიანთა ხანაში (ძვ. წ. VI—IV სს.) არამეული ენა ოფიციალური ენაა სპარსეთის სახელმწიფოს დასავლეთ ნაწილში (განსაკუთრებით მცირე აზიისა და ეგვიპტისათვის). ეს დასტურდება არამეულად დაწერილი დოკუმენტების დიდი რაოდენობით, ასევე არამეული წარწერებით, რომლებიც ახლო აღმოსავლეთის მრავალ პუნქტში გვხვდება. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს არამეული დოკუმენტების არქივი, რომელიც ეგვიპტის სამხრეთ საზღვართან, ნუბიის მახლობლად ნილოსის კუნძულ ელეფანტინზე აღმოაჩინეს (ძვ. წ. V ს.).

„ოფიციალური არამეული ენის“ გავრცელებაზე მეტყველებენ ორენოვანი წარწერებიც, რომლებიც მცირე აზიაში, კავკასიასა და აღმოსავლეთშია ნაპოვნი. ამ წარწერებში არამეული ენა გვხვდება სხვა ენებზე გაკეთებული წარწერების პარალელურად: ბერძნულთან (კავადოკიური წარწერა მიტრის კულტის შესახებ), ლიდიურთან (მაგალითად, სარდესთან, ავლანეთი, აღმოჩენილი საფლავის წარწერა V—IV სს.), ირანულთან (ლაგაშის ბილინგვა) და სხვ.

ასურეთისა და აქემენიანთა სპარსეთის სახელმწიფოების დროინდელი არამეული მათ ოფიციალურ ენას წარმოადგენდა. ამიტომ მეცნიერებაში მას „ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ა რ ა მ ე უ ლ ს“ (ი. მარკვარტი) ან „ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ა რ ა მ ე უ ლ ს“ (ფრ. როზენტალი და სხვ.) უწოდებენ.

სპარსეთის სამეფოს დაცემის შემდეგ ზოგადარამეული სამ-

წერლობო ენა კარგავს ნიადავს და არამეული ენის ხმარება თანდათან იფარგლება. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში იგი ძირითადად პალესტინაში, სირიაში, მესოპოტამიასა და დასავლეთ ირანში იხმარება. ამავ ხანაში პალესტინაში არამეული ხმარებიდან დევნის ებრაულს, რასაც ადგილი აქვს ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყების წინ. ებრაელები იძულებულნი არიან არამეულად წერონ, ხოლო მანამდე ებრაულად დაწერილი ბიბლია ითარგმნება უფრო გასაგებ არამეულ ენაზე. ასე ჩნდება ბიბლიისა და თაღმუდების არამეული ნაწილი, ასევე თარგუმები — ბიბლიის არამეული თარგმანები.

არამეული, როგორც სამწერლობო ენა, გვხვდება არამეელების სხვა მონათესავე ტომებთანაც. ასეა პალმირელებთან და ნაბატეელებთან — არაბებთან, რომლებიც არამეულად წერდნენ. პალმირელთა და ნაბატეელთა წერილობითი ძეგლების ენა ცნობილია როგორც **პ ა ლ მ ი რ უ ლ ი ე ნ ა** და **ნ ა ბ ა ტ ე უ რ ი ე ნ ა**.

არამეელთა მიერ ქრისტიანობის მიღების შემდეგ ისტორიულ ასპარეზზე გამოდის არამეულის ერთ-ერთი დიალექტი — ედესის დიალექტი, რომელზეც იქმნება საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა. ამ ლიტერატურულმა ენამ, რომელიც **ს ი რ ი უ ლ ი ე ნ ი ს** სახელწოდებითაა ცნობილი, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქრისტიანული აღმოსავლეთის სულიერ ცხოვრებაში. არამეული ენა ემსახურებოდა არა მარტო იუდეველებსა და ქრისტიანებს, არამედ ერთ განსაკუთრებულ რელიგიურ-გნოსტიკურ სექტასაც, რომლის წევრებს მანდეველთა სახელწოდებით იცნობენ. ეს სექტა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ჩამოყალიბდა და დღესაც არსებობს, თუმცა ამ სექტის მიმდევართა დიდი ნაწილი (ერაყის მანდეველები) ყოველდღიურ ცხოვრებაში არაბულად მეტყველებენ. მანდეველთა არამეულ დიალექტზე, ე. წ. **მ ა ნ დ ე უ რ ე ნ ა ზ ე**, შეიქმნა მრავალჯანრიანი ლიტერატურა, ძირითადად რელიგიური ხასიათისა. არაბების მიერ მცირე აზიის დაპყრობის შემდეგ (VII ს.) არამეული ენის ხმარების სფერო სულ უფრო და უფრო ვიწროვდება და, თუმცა არამეულმა ენამ ჩვენს დრომდეც მოაღწია, მას ამჟამად იყენებენ არამეელთა მხოლოდ მცირერიცხოვანი ჯგუფები, რომლებიც ძირითადად ახლო აღმოსავლეთშია დამკვიდრებული (სირიაში, ერაყში, თურქეთსა და ირანში), ხოლო აქედან ერთი ნაწილი დასახლდა ევროპაში, აზიაში, ამერიკასა და ავსტრალიაში.

0.3. ბუნებრივია, რომ ენის ფართო გავრცელებამ, ასევე მისმა ხანგრძლივმა წერილობით ფიქსირებულმა სიცოცხლემ (თითქმის

სამი ათასი წელი) და ისტორიულ-პოლიტიკური პირობების ცვალებადობამ ხელი შეუწევს არამეული ენის დიალექტებად დაყოფას. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო როგორც ტერიტორიული დიალექტები, არამედ ისტორიულადაც, ასახვენ რა სხვადასხვა ხანის არამეულ მეტყველებას. უნდა ითქვას, რომ, თუმცა დიალექტური სხვაობა შეინიშნება არამეული მეტყველების ფიქსაციის დასაწყისშივე — ჯერ კიდევ უძველეს არამეულ წარწერებში, ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებამდე მკვეთრი დაპირისპირება ტერიტორიულ დიალექტებში არ დასტურდება (გამონაკლისს წარმოადგენს იაუდის დიალექტი). ამ დროიდან კი არამეული დიალექტები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: დასავლურ და აღმოსავლურ. დასავლური დიალექტები გავრცელებულია პალესტინაში, აღმოსავლური კი — სირიასა, მესოპოტამიასა და ირანის დასავლეთ რაიონებში.

არამეული დიალექტები სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია მათი გავრცელების (ასე, მაგალითად, ე. წ. მაღლულას დიალექტი), ან მათზე დაწერილი ძეგლების აღმოჩენის ადგილის მიხედვით (ეგვიპტის არამეული — ენა არამეული დოკუმენტებისა, რომლებიც ეგვიპტეში იპოვნეს), ანდა იმ წერილობითი წყაროს მიხედვით, რომელმაც შემოინახა ესა თუ ის არამეული დიალექტი (მაგალითად, ბიბლიის არამეული, ბაბილონის თალმუდის არამეული და მისთ.).

არამეული ენის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ზოგი დიალექტი ხმარებიდან გავიდა, მოკვდა, და წარმოდგენა მათ შესახებ ჩვენ მხოლოდ იმ წერილობითი ძეგლების მიხედვით გვაქვს, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, ზოგიც, ძლიერ შეცვლილი სახით, დღესაც განაგრძობს სიცოცხლეს ძველი არამეელების შთამომავლების — მაღლულას, ტურ-აბდინის, ქურთისტანის, ჩრდილო ერაყისა და ირანის აზერბაიჯანის მკვიდრთა, ე. წ. ასურელების (სირიელების) მეტყველებაში; სამხრეთ ირანში — ხუზისტანში შემორჩენილია მანდეური ენაც.

არამეული ენის სტრუქტურის განხილვა მის ყველა დონეზე ისტორიულ ასპექტში საშუალებას იძლევა ენის განვითარებაში სამი ძირითადი ეტაპი გამოვყოთ: ძ ვ ე ლ ი ა რ ა მ ე უ ლ ი, ს ა შ უ ა ლ ო ა რ ა მ ე უ ლ ი და ა ხ ა ლ ი ა რ ა მ ე უ ლ ი. მოცემული ენის ისტორიის ასეთი პერიოდიზაცია და დახასიათება ყველა ამ ეტაპზე ქმნის არამეული ენის განვითარების საკმაოდ სრულ სურათს. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ ეტაპებზე მკაფიოდ

განიჩევა ტერიტორიული დიალექტებიც. პირველი ორი ეტაპი მკვდარ დიალექტებს ვარაუდობს, მესამე კი — ცოცხალს, და სახელდობრ:

I ე ტ ა პ ი (ძ ვ ე ლ ი ა რ ა მ ე უ ლ ი) მოიცავს პერიოდს, რომელიც ვარაუდობს არამეულ წერილობით ძეგლებს დღიდან მათი წარმოქმნისა ვიდრე ახ. წ. III—IV სს., ე. ი. იმ დრომდე, როდესაც თავს იჩენს ედესის მძლავრი არამეული ლიტერატურული ენა — სირიული და „სირიული ხანის“ სხვა დიალექტები. ამ ეტაპს განეკუთვნება: უძველესი არამეული წარწერების ენა, რომელიც ზოგჯერ „ძველ არამეულად“ იწოდება ვიწრო გაგებით (ძვ. წ. X—VIII სს.), აჯობებდა — „უძველესი არამეული“, შდრ. გერმან. Früharamäisch (ს. სეგერტი), ფრანგ. araméen ancien (შ.-ფ. ჟანი და სხვ.), იტალ. aramaico antico (ჯ. გარბინი და სხვ.), ე. წ. კლასიკური ანუ ოფიციალური არამეული ენა, რომელიც ასურეთისა და სპარსეთის იმპერიაში იყო გავრცელებული (ძვ. წ. VII—IV სს.), ბიბლიის არამეული — ძირითადად იგივე ოფიციალური არამეული, რომელზედაც გავლენა მოახდინა უფრო გვიანდელმა პალესტინის დიალექტმა (ძვ. წ. III—II სს.) და ნაბატეური და პალმირული წერილობითი ძეგლების ენა (ძვ. წ. I ს.—ახ. წ. III ს.).

II ე ტ ა პ ი (ს ა შ უ ა ლ ო ა რ ა მ ე უ ლ ი) წარმოდგენილია III—VIII სს. პალესტინის, სირიისა და მესოპოტამიის დიალექტებით. ამ ხანის არამეული დიალექტები ქმნიან ორ, ერთმანეთისაგან საკმაოდ მკვეთრად განსხვავებულ ჯგუფს: დასავლურსა და აღმოსავლურს. დასავლურ ჯგუფში შედის: თარგუმებისა და იერუსალიმის თალმუდის არამეული ენა — ე. წ. იუდეურ-არამეული, პალესტინელ ქრისტიანთა და სამართანელთა არამეული დიალექტები; აღმოსავლური ჯგუფი აერთიანებს სირიულს, მანდეურსა და ბაბილონის თალმუდის არამეულ ენას.

III ე ტ ა პ ი (ა ხ ა ლ ი ა რ ა მ ე უ ლ ი) მოიცავს თანამედროვე არამეული დიალექტების მთელ ჯგუფს (მაჩლულას, ტურაბდინის, სიირტის, მოსულის, ურმიისა და სხვ. დიალექტები).

მოცემულ შემთხვევაში ჩვენ ყველა მკვდარ არამეულ დიალექტს ვაერთიანებთ ერთი სახელწოდებით „ძველი არამეული“, ვუპირისპირებთ რა მას ტერმინს „ახალ არამეულს“, რომლითაც ცოცხალ დიალექტებს აღნიშნავენ. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ნარკვევი შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: I. ძველი არამეული და II. ახალი არამეული. I ნაწილში, თუ საჭი-

როება მოითხოვს ვაჩვენოთ საშუალო პერიოდის არამეულისათვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებანი, ვხმარობთ ტერმინს „საშუალო არამეული“, ხოლო „ოფიციალური არამეულის“ წინა ხანის ენის თავისებურებათა გამოყოფის აუცილებლობის შემთხვევაში — ტერმინს „ეპიგრაფიკული არამეული“.

0.4. არამეული დამწერლობა წარმოადგენს ჩრდილსემიტური დამწერლობის ერთ-ერთ შტოს, რომელიც მხოლოდ თანხმონებს გადმოსცემს და შეიცავს 22 ასოს, თუმცა თანხმონთანაა რაოდენობა მეტია. არამეული დამწერლობა ენასთან ერთად ფართოდ ვრცელდებოდა მთელ ახლო აღმოსავლეთში და ასურეთისა და სპარსეთის სამეფოების ვრცელ ტერიტორიაზე. დროთა განმავლობაში ეს ნიშნები გარკვეულ მოდიფიკაციას განიცდიან. ამასთანავე, სხვაობას გვიჩვენებს სხვადასხვა გეოგრაფიულ პუნქტში აღმოჩენილი ტექსტების დამწერლობანიც; ზოგჯერ საუბარი შეიძლება ცალკეული ძეგლის თავისებურ დამწერლობაზეც კი.

უძველესი არამეული წარწერების დამწერლობა ძირითადად ერთგვარობით ხასიათდება (მისგან შესამჩნევად განსხვავდება ყველა სხვა მომდევნო ხანის დამწერლობანი). ამ დამწერლობით შექმნილია მრავალი ეპიგრაფიკული ძეგლი, რომელთა შორის უძველესია, როგორც ეს უკვე აღინიშნა, თელ-ხალაფის წარწერა (ძვ. წ. X—IX სს.). „ოფიციალური არამეულის“ ხანის ძეგლებში ორგვარი ტიპის დამწერლობა გვხვდება: მონუმენტური და კურსივი. პირველი მოცემულია ქვაზე ამოკვეთილი წარწერებისათვის და მარტივი სახისაა, რაც მასალის ფაქტურითაა განპირობებული, მეორე კი (კურსივი) — პაპირუსსა და თიხის ნატეხებზე (ოსტრაკა) გვხვდება და პირველის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს. საყურადღებოა, რომ დამწერლობის ამ ტიპიდან განვითარდა იუდეველ არამეულთა ტექსტების დამწერლობა (ე. წ. იუდეურ-არამეული კურსივი, ს. სევერტი), რომლითაც დაწერილია ყუმრანის არამეული (ასევე ებრაული) ხელნაწერები (ძვ. წ. II—ახ. წ. I სს.). სპარსეთის სამეფოს დაცემის შემდეგ არამეული დამწერლობა განშტოებას განიცდის. მისი ცალკეული სახეობანი გამოიყენება სემიტური ენებისათვის, როგორცაა ებრაული, ნაბატეური, პალმირული, მანდეური და სხვ. ასე, მაგალითად, ებრაული კვადრატული დამწერლობა განვითარდა ზემოხსენებული არამეული კურსივიდან, რომელსაც ებრაელები ახ. წ. III საუკუნიდან იყენებენ. არამეული დამწერლობის ცალკეული სახეობები გამოიყენებულა არასემიტური ენებზე-

თვისაც, როგორცაა საშუალო ირანული (ფალაური, პართული), სოდ-
დური, ზიდურული, მონღოლური და სხვ. არსებობს მოსაზრება, რომ
არამეული დამწერლობის ერთი შტო საფუძვლად დაედო დამწერლო-
ბებს კავკასიაში (ქართულს, სომხურს, ალბანურს)¹. არამეული დამ-
წერლობის ერთ-ერთი სახეობა დამოწმებულია არამეულ ტექსტებ-
ში, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე — მცხეთის მახლობ-
ლად არმაზში აღმოჩნდა. აქედან ამ დამწერლობის სახელწოდება —
„არმაზული“². არმაზული დამწერლობა სახელმწიფო არამეულის დამ-
წერლობის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს და მის სახეობათა-
გან ყველაზე ახლოს პალმირულთან დგას.



ძველი არამეული დამწერლობა არ იცნობს ხმოვნის ნიშნებს.³
საამისოდ ზოგჯერ გამოიყენება ზოგიერთი ასო, განსაკუთრებით გრძე-
ლი ხმოვნის გამოსახატავად (იხ. ქვ. გვ. 23). სპეციალური ხმოვნის
ნიშნები არამეულ დამწერლობაში საკმაოდ გვიან — V—VI სს.-დან
ჩნდება.

განსაკუთრებით უნდა შეეჩერდეთ სირიულ დამწერლობაზე,
რომელზეც დღემდე იქმნება ყველა სახის ლიტერატურა (საეკლესიო,
ფილოსოფიური, მხატვრული და სხვ.). სირიული დამწერლობა არა-
მეულის ერთ-ერთ განშტოებას წარმოადგენს, რომელიც განსაკუთ-
რებულ სიახლოვეს პალმირულ დამწერლობასთან იჩენს. დამწერლო-
ბა, რომელსაც სირიელები ეკლესიის გაყოფამდე იყენებდნენ,
ცნობილია „ესტრანგელას“ სახელწოდებით (ბერძნ. *εστραγγελα*
„მომრგვალებული ფორმის“). V ს.-ის 30-იანი წლების შემდეგ
ესტრანგელას ნაკლებად ხმარობენ: უმთავრესად მას იყენებენ
მთავრულ ასოებად. ესტრანგელამ დასაბამი მისცა სირიული
დამწერლობის ორ სახეობას: იაკობიტურსა და ნესტორიანულს. პირ-
ველ მათგანს, რომელსაც დასავლეთსირიელები — იაკობიტები ხმა-
რობდნენ, მისი წახანგოვანი ფორმის გამო „სერტო“ („ხაზოვანი“)
უწოდეს. ამ დამწერლობის ხმარებას იწყებენ VI ს.-ის ბოლოდან. თავი-
სი მოხაზულობით იგი ესტრანგელასაგან უფრო დაშორებულია, ვიდრე

¹ ი. ჭავჭავაძის შვილი. ქართული პალეოგრაფია, თბილისი. 1926. გვ. 190,
შემდ.; Г. В. Церетели. Армянское письмо и проблема происхождения
грузинского алфавита.—ЭВ I II. 1949, გვ. 71; Д. Д и р и и г е р. Алфавит,
М. 1963, გვ. 378—385; Н. Ф р и д р и х. История письма, М. 1979, გვ. 150.

² ვ. წერეთელი. არმაზის პლინგვა, — ენის, ისტორიისა და მეტრონო-
ლოგიკული ტერმინების ისტორიის ინსტიტუტის მოამბე, ტ. XIII, თბილისი, 1942,
გვ. 5.

ნესტორიანული—ადმოსავლელი სირიელების დამწერლობა. ნესტორიანული დამწერლობა ჯერ კიდევ V ს.-ში გვხვდება. განსხვავება ამ ორ დამწერლობას შორის ხმოვნის ნიშნებშიცაა: იაკობიტური დამწერლობა ხმოვნების გადმოცემისას იყენებს ბერძნულ ასოებს, ნესტორიანელები

კი—წერტილებს ან მცირე ხაზებს (შდრ. იაკობ.  და ნესტ.  „ძე“).

ყურადღებას იმსახურებს მანდეური დამწერლობაც, რომელსაც მანდეური სექტის მიმდევრები ხმარობდნენ. ეს დამწერლობაც ძველი არამეულიდან მომდინარეობს ზოგიერთი სპეციფიკური ცვლილებებით ასოების მოხაზულობაში. მაგრამ მთავარი აქ ისაა, რომ ყველა სხვა სემიტური ანბანისაგან განსხვავებით, მანდეური დამწერლობა გარკვეული ასოების დახმარებით რეგულარულად გამოხატავს ხმოვნებს, ასოთა რაოდენობა კი უცვლელია — 22 (შდრ. გრძელი ხმოვნების ანალოგიურად გადმოცემა ძველ არამეულში).

და ბოლოს, არამეულ დამწერლობაზე საუბრისას ჩვენ გვინდა შევჩერდეთ ამ დამწერლობის სხვა ენებისათვის გამოყენებაზე. აქ უნდა გავარჩიოთ ორი შემთხვევა: არამეული დამწერლობით არამეული სიტყვების გადმოცემა და მათი სხვა ენაზე წაკითხვა, ე. წ. **ჰ ე ტ ე რ ო გ რ ა ფ ი კ უ ლ ი** : **დ ა მ წ ე რ ლ ო ბ ა** და მეორე, არამეული დამწერლობის გამოყენება სხვა ენის ტექსტის გადმოცემისათვის, ე. წ. **ტ რ ა ნ ს კ რ ი ფ ც ი ა**. პირველის მაგალითია საშუალო ირანული ენები, სადაც არამეულად დაწერილი სიტყვა მოცემულ ირანულ ენაზე იკითხება. მეორის ნიმუშს წარმოადგენს სატრანსკრიფციოდ გამოყენებული სირიული დამწერლობანი: არაბულისათვის (ე. წ. გარშუნი), ასევე პალესტინის ქრისტიან არამეელთა ტექსტებისათვის³.

³ იხ. დანართი.

I

ქველი არამეული

1. ქველი არამეული წერილობითი ძეგლები

1.1. არამეული ენის უძველესი ფენა წარმოდგენილია ძვ. წ. X—VIII სს. ეპიგრაფიკული ძეგლებით, რომლებიც სირიისა და მესობოტამიის ქალაქებში იქმნებოდა (ე. წ. ეპიგრაფიკული არამეული).

ამ ძეგლებიდან, პირველად ყოვლისა, უნდა დავასახელოთ არამეული სტელები, რომლებიც ჩრდილო სირიაში (ამჟამად თურქეთში) ქურთული სოფლის ზინჯირლის მახლობლად იაუდის ქვეყნის (yady), იგივე სამალის (šmāl), გათხრების დროს 1890 წ. აღმოჩნდა. სხვადასხვა არამეულ ძეგლთა შორის ყურადღება მიიქცია ორმა ვრცელმა წარწერამ, რომლებსაც ძვ. წ. IX ს. (თუ VIII ს. მეორე ნახევარს) განაკუთვნიებენ. ერთი მათგანი წარმოადგენს მიძღვნას ღვთაება ჰადადისადმი იაუდის მეფის ფანამუ I-საგან, მეორე კი, რომელიც პირველ წარწერასთან შედარებით ნახევარი საუკუნით უფრო გვიანდელია, გაკეთებულია სტელაზე, რომელიც მეფე ბარ-რაქიბმა (თუ ბარ-რექუბმა) თავისი მამის ფანამუ II-ის საპატივსაცემოდ აღმართა. ეს წარწერები მთავარი წყაროა იმ დიალექტის შესასწავლად, რომელიც საკმაოდ მკაფიოდ განირჩევა უძველესი არამეული წარწერების ენისაგან და რომელმაც ი ა უ დ ი ს დ ი ა ლ ე ქ ტ ი ს სახელწოდება მიიღო. უკანასკნელ ხანამდე ბევრი მეცნიერი იაუდის დიალექტს არ თვლიდა არამეულ ენად, ხოლო ქანაანურ ენებთან (კერძოდ, ფინიკიურთან) მრავალი საერთო ნიშნების გამო იაუდის წარწერების ენას ქანაანურად მიიჩნევდა. ზოგიერთი (მაგალითად, ჰ. დონერი) ამ დიალექტს შერეულ არამეულ-ფინიკიურ დიალექტად თვლის, ხოლო ი. ფრიდრიხის მიხედვით, ეს დიალექტი რაღაც საშუალო ადგილს იჭერს ძველ ფინიკიურსა და იმ არამეულს შორის, რომელიც ამ რაიონში მოპოვებული VIII ს.-ის შემდგომი ხანის წარწერების ენაა.¹ ფრიდრიხი, უსვამს რა ხაზს იაუდის დიალექტის საერთო ნიშნებს არამეულთან, ქანაანურთან და ზოგჯერ არამეულთანაც, მიდის იმ დასკვნამდე, რომ იაუდის ძეგლების ენა არის

¹ J. Friedrich, Skizze der Sprache von Ja'udi im nördlichen Syrien,—*Analecta Orientalia* 32, Roma, 1951, გვ. 153.

არა ერთ-ერთი არამეული დიალექტი, არამედ დამოუკიდებელი დასავლურსემიტური ენა². ეს ვითარება აიხსნება ამ დიალექტის იმ თავისებურებებით, რომლებიც ორ ძირითად ნიშნამდე შეიძლება იქნეს დაყვანილი: ქანაანიზმი (ქანაანურ ენებთან საერთო მოვლენები) და იაუდიზმი (მოვლენები, რომლებიც მხოლოდ მოცემულ დიალექტს ახასიათებს). იაუდიური წარმოშობისაა აგრეთვე რამდენიმე უფრო მოგვიანო წარწერა, როგორცაა, მაგალითად, ბარ-რაქიბის სამშენებლო წარწერა ზინჯირლიდან.

რაც შეეხება ამავე პერიოდის (ძვ. წ. X—VIII სს.) სხვა (არა-იაუდიური წარმოშობის) წარწერებს, ენობრივი თვალსაზრისით ისინი ნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და, ჩვენის აზრით, ერთ მთლიან ენობრივ ერთეულს წარმოადგენს. ეს გვაძლევს საშუალებას გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ხსენებულ წარწერათა ენა გარკვეულ დროს დამასკოს რაიონიდან გამოვიდა და სირიისა და ასურეთის ტერიტორიაზე გავრცელდა განსაკუთრებული ცვლილებების გარეშე.

IX ს.-ს ეკუთვნის აგრეთვე დამასკოს მეფეების (ბარ-ჰადადისა და ჰაზაელის) წარწერები. სირიაში ქ. ალეპოს სამხრეთით, სეფირეში (სუჯინში) აღმოჩნდა ბაზალტის სამი სტელა (პირობით: სეფირე I, სეფირე II და სეფირე III), რომლებზეც არფადის პროვინციის არამეული მეტყველების ამსახველი წარწერებია მოცემული. ეს წარწერები ძვ. წ. 753—746 წლებით თარიღდება და ერთგვარ სიახლოვეს იჩენს უფრო გვიანდელ აღმოსავლურარამეულ დიალექტებთან. ალეპოს მახლობლადვე, მის სამხრეთით სოფ. ნერაბში აღმოჩენილ იქნა საფლავის ქვები ღვთის მსახურთა გამოსახულებებით და ორი არამეული წარწერით. ტექსტო წარმოადგენს მიმართვას მთვარის ღვთაებისადმი და შეიცავს თხოვნას, რათა მან დასაჯოს იმ საფლავთა შეურაცხყოფენი, რომლებშიც მთვარის ღვთაება SHR-ის მსახურნი განისვენებენ. ეს წარწერები ასურულ პერიოდს ეკუთვნის (ძვ. წ. VIII—VII სს.). სირიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლებიდან დიდ ინტერესს წარმოადგენს სტელა წარწერით, რომელიც ძვ. წ. 775 წ. იქნა გაკეთებული (ნაპოვნია ალეპოსა და ჰამას შორის). წარწერაში აღნიშნულია ლუაშისა და ჰამათის მეფის ზაქირის მადლობა ცის ღმერთისადმი, რომელმაც მას დახმარება გაუწია მტერზე გამარჯვებაში. ამ წარწერაში გვხვდება ისეთი ფაქტებიც, რომლებიც არა არამეულში, არამედ ებრაულ ენაშია ცნობილი, ამასთანავე, ზაქირის წარწერების თავისებურებანი ძირითადად განისაზღვრება საკრალური სტილით,

² იქვე, გვ. 162.

რომელიც ქანანელთა გავლენით შეიქმნა (ასეთია, მაგალითად, ე. წ. waw conversivum-ის ხმარება).

ხსენებული ხანის წარწერათაგან, რომლებიც ასურეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი, პირველ რიგში აღსანიშნავია უძველესი არამეული წარწერა (ძვ. წ. IX ან შესაძლებელია ძვ. წ. X ს.-საც კი) თელხლაფიდან. (თელ-ხლაფი ძვ. წ. I ათასწლეულში ჩრდ. მესოპოტამიაში ერთ-ერთი არამეული სამეფოს სატახტო ქალაქი იყო). აქვე უნდა დავასახელოთ ნიმრუდის წარწერები (ძვ. წ. VIII ს.) და არამეული მინაწერები აქადურ ლურსმულ დოკუმენტებზე ასურეთიდან და ბაბილონიდან (ძვ. წ. VII—VI სს.). განსაკუთრებით უნდა გამოიყოს აშურის ოსტრაკონი (ძვ. წ. VII ს.), რომელიც წერილის ფრაგმენტს წარმოადგენს.

ყველა ზემოხსენებული ძეგლი, როგორც ეს უკვე აღნიშნული იყო, შექმნილია ძვ. წ. X—VIII საუკუნეებში ჩრდილო-სემიტური დამწერლობით. დამწერლობა კონსონანტურია, ე. ი. ჩვეულებრივ გადმოცემულია მხოლოდ თანხმოვნები, ხოლო რაც შეეხება ხმოვნებს, ზოგიერთ შემთხვევაში ისინი გამოხატულია w, y, ʾ და h თანხმოვნების აღმნიშვნელი ასოებით (ე. წ. *males lectionis*). მათ მიერ გამოხატული ხმოვნები, როგორც ამას სხვა სემიტურ ენებშიცა აქვს ადგილი, გრძელია. ამიტომ სიტყვები, რომლებშიც გრძელი ხმოვნები ხსენებული ასოებით არ გადმოიცემა, დეფექტურად ითვლება. სიტყვათა დეფექტური დაწერილობა ხშირად გვხვდება ზემოხსენებულ წარწერებში, თუმცა შედარებით იშვიათად, ვიდრე უგართულსა და ფინიკიურში, რომელთაც ბევრი აქვთ საერთო უძველესი არამეული ეპიგრაფიკული ძეგლების ენასთან. ასე, მაგალითად, სიტყვათა დეფექტური დაწერილობანი ხშირად გვხვდება სეფირესა და ზაქირის წარწერებში, აგრეთვე იუდიური წარმოშობის ტექსტებში: *ywmy* „ჩემი დღეები“ (ჰადადი, ფანამუ II) *ymy*-ის პარალელურად (*w*-ს გარეშე) ჰადადის იმავე წარწერაში, *h* „ის (მა-მაკაცი)“ *hw*-ს ნაცვლად და ა. შ.

როდესაც საუბარია ცალკეულ ბგერათა გრაფიკული გამოხატვის შესახებ, განსაკუთრებით აღსანიშნავია *h* და *ʾ* ასოების ფუნქცია სიტყვის ბოლოს *ā* და *ē* ხმოვნების გამოხატვისას. ამასთანავე, ასო *h* გადმოსცემს როგორც *ā*-ს, ასევე *ē*-ს, ხოლო *ʾ* მხოლოდ *ā*-ს. ასეთ შემთხვევებს ადგილი აქვს თითქმის ყველა უძველეს წარწერაში. ეს კი, თავის მხრივ, გვაძლევს საშუალებას არამეული ენის განვითარების ამ უძველეს ეტაპზე დადგინოთ იქნეს ზოგიერთი მორფოლოგიური

კატეგორია. ასე, *h* სიტყვის ბოლოს გამოხატავს *ā*-ს: *mh* [mā] „რა?“, *šnh* [šnā] „წელიწადი“. დამასკოს, ჰამათისა და სამალის წარწერებში *h* მდებარეობით სქესის ნაცვალსახელურ სუფიქსებთან, *status absolutus*-თან და სხვ. გამოიყენება როგორც *mater lectionis*. რაც შეეხება *ʾ* ასოს, იგი ამ ფუნქციით სახელის *status emphaticus*-ში გვხვდება, აგრეთვე *p*-ს შემდეგ — *pʾ* [pā] კავშ. „და“ (შდრ. არაბ. *fa*), რაც განსაკუთრებით ხშირია ჰადადის წარწერაში. სიტყვის ბოლოში დაწერილი *ʾ* გამოხატავს *ā*-ს ზმნურ ფორმებშიც: *miʾ* [mīā] „მან შეავსო, აავსო“, *štʾ* [štā] „დალია“ და ა. შ.

როგორც აღნიშნული იყო, მოცემული ძეგლების ენა ოცდაათსაუკუნოვანი „ლიტერატურული“ არამეული ენის უძველესი ფორმაა. იგი იმდენად ახლოა დანარჩენ სემიტურ ენებთან, რომ ხშირად მას არა არამეულს, არამედ ქანაანურ ენათა ჯგუფს განაკუთვნიებდნენ (შდრ. ზ. გვ. 21). ზოგიერთი მკვლევარი კი, მავალითად, შ.-ფ. ჟანი, ჰამათის, სეფირესა და ზაქირის წარწერათა ენას მიიჩნევდა გარდამავალ საფეხურად დასავლური სემიტურისაგან არამეულის გამოყოფამდე. ეს იმიტომ აიხსნება, რომ ამ წარწერათა ენა ჯერ კიდევ ბევრ საერთოს ამჟღავნებს ქანაანურ ენებთან (ებრაულთან, ფინიკიურთან), უგარითულთან და არაბულთანაც კი, თუმცა უკვე ნათლად იკვეთება მხოლოდ არამეული ენისათვის დამახასიათებელი ნიშნები: *status emphaticus*-ის ფორმების ხმარება სახელის დეტრმინირებული მდგომარეობის გამოსახატავად, მამრობითი სქესის სახელთა სპეციფიკური დაბოლოება მრავლობით რიცხვში, გარკვეული ნაცვალსახელური ფორმები და სხვ.

ამგვარად, უძველესი არამეული წარწერების ენა (ძვ. წ. X—VIII სს.) მოცემული ენის განვითარების ის საფეხურია, რომელიც ჯერ კიდევ მჭიდროდაა დაკავშირებული ახლო მონათესავე ჩრდილოდასავლურ სემიტურ ენებთან ენობრივი სტრუქტურის ყველა დონეზე.

1.2. ძვ. წ. VIII საუკუნის შემდგომ ხანაში არამეული ენა, აღრე ცნობილი მხოლოდ ეპიგრაფიკული ძეგლებით, რომელთა შესახებ ზემოთ იყო საუბარი, იქცა ასურეთის, ხოლო ძვ. წ. VI ს.-დან, უფრო ზუსტად, VI ს.-ის მეორე ნახევრიდან აგრეთვე სპარსეთის იმპერიის კანცელარიის ენად. ამიტომაც არამეული ენა ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა ოფიციალური, მათ შორის საერთაშორისო (დიპლომატიური) ხასიათის დოკუმენტების შედგენისას. ამდენად, მოცემული პერიოდის (ძვ. წ. VII—IV სს.) არამეული ენის ძირითად წყაროს ოფიციალური დოკუმენტები წარმოადგენს. აქედან ამ ენის სახელწოდებაც —

„ოფიციალური არამეული“ ან „სახელმწიფო არამეული“. აღნიშნული ხანის ოფიციალურ დოკუმენტებში ასახული ენა აქემენიანთა იმპერიის დაცემის შემდეგაც განაგრძობს არსებობას და, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ, ახ. წ. III ს.-მდეც კი მან მცირე ცვლილებები განიცადა..

„სახელმწიფო არამეულის“ ძირითად ძეგლად ითვლება ეგვიპტის (ელეფანტინის) არქივი, რომელიც შეიცავს არა მარტო ებრაელ კოლონისტთა მიმოწერას იერუსალიმის სპარსულ აღმინისტრაციასთან, არამედ სხვა ოფიციალურ დოკუმენტებსაც, მათ შორის სპარსეთის მეფის დაროს I-ის ბეპისტუნის წარწერების არამეულ თარგმანს, ეგვიპტის მმართველის არშამასა და მისი თანაშრომლების წერილებს, დაწერილს პაპირუსსა და ტყავზე. ყურადღებას იმსახურებს კერძო ხასიათის წერილებიც, რომელთა დიდი ნაწილი თიხის ნატეხებზეა შესრულებული. ამავე არქივში ვხვდებით მხატვრულ ნაწარმოებებსაც. ასეთია ახიკარის შესახებ ბაბილონური რომანის არამეული თარგმანი და ამბავი ბარ-ფუნეშისა, რომელმაც ჩვენამდე ფრაგმენტების სახით მოაღწია. აქვე უნდა დავასახელოთ ჰერმოპოლისში ნაპოვნი არამეული პაპირუსებიც. მოცემული ხანის თითქმის ყველა სხვა ძეგლი წარმოადგენს წარწერებს, მათ შორის თიხის ნამტკრევეებზე (ოსტრაკა). ისინი აღმოაჩინეს ასურეთისა და სპარსეთის იმპერიების ვრცელ ტერიტორიაზე. ასეთია მესოპოტამიის სამხრეთ ქალაქებში ნიპურსა და ლარსში აღმოჩენილი თიხის ფირფიტებსა და ოსტრაკაზე გაკეთებული არამეული მიწაწერები, იერიქონის მახლობლად აღმოჩენილი პაპირუსი აღონის (სამხრ. პალესტინა) მეფის უკვე ხსენებული წერილი ეგვიპტის ფარაონისადმი და სხვ. წარწერები გვხვდება ამ სახელმწიფოების საზღვრებისაგან საკმაოდ დაშორებითაც. ამის მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ: წარწერები არაბულ ოაზის თაიმადან (ძვ. წ. V—IV სს.), ლაგმანის წარწერა (ავღანეთი), აშურბანიფალის დროის (ძვ. წ. VII ს.) ბაბილონური ოსტრაკონი ბით-ამუქანის პროვინციის პოლიტიკური მიმოხილვით და სხვ.

1.8. მოგვიანებით, აქემენიანთა სამეფოს დაცემის შემდეგ, არამეული, რომელიც მანამდე ძირითადად კანცელარიის ენად ითვლებოდა, ფართოდ გამოიყენება ებრაელების მიერ როგორც ლიტერატურული ენა. ჩანს, ებრაელთა მოსახლეობაში ყოველდღიური ხმარებიდან თანდათან განდევნილი მშობლიური ენა ადგილს უთმობს არამეულს ამ ხალხის სალიტერატურო ცხოვრებაშიც. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ბიბლიის ცალკეული პასაჟები დაწერილია არამეულად; სახელდობრ: ამბავი იერუსალიმის ტაძრის აღდგენის შესახებ, მოცემულად

ეზრას მემუარებში (ეზრა 4₈—6₁₈ და 7₁₂₋₂₆), ხუთი ისტორიული ხასიათის ცნობა (დანელი 2₄—7₂₈), კერპთაყვანისმცემლობის გაკიცხვის შესახებ (იერემია 10₁₁) და ბოლოს ორი სიტყვა, რომლებიც წარმოადგენს ებრაული ტოპონიმის არამეულ თარგმანს (შესაქმე 31₄₇). აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ მკვლევარს (ფრ. როზენტალი და სხვ.) ბიბლიური ტექსტების ერთი ნაწილი მიაჩნია არამეული ორიგინალის ებრაულ თარგმანად³.

ბიბლიის არამეული ტექსტები იქმნებოდა ორი-სამი საუკუნის მანძილზე; ამასთანავე, როგორც ვარაუდობენ სპეციალისტები, სხვადასხვა სადაურობის მქონე ავტორების მიერ. მიუხედავად ამისა, მოცემულ ენაში არსებითი დიალექტური სხვაობანი არ შეინიშნება. ეს გვაძლევს საშუალებას გავიზიაროთ ვარაუდი, რომ აქ საქმე ძირითადად გვაქვს არამეული ენის ადგილობრივ პალესტინურ დიალექტთან, ანდა ხანგრძლივ ადგილობრივ ლიტერატურულ ტრადიციებთან⁴.

აღსანიშნავია, რომ ე. წ. ოფიციალური არამეული, რომელსაც პალესტინაში სპარსეთის იმპერიის დაცემის შემდეგ „ბიბლიის არამეულის“ სახე მიიღო, ძველი სპარსეთის იმპერიის ცალკეულ რაიონებში განაგრძობს არსებობას როგორც ოფიციალური (საკანცელარიო) ენა. მასთან ერთად ცოცხლობს ის დამწერლობაც, რომელსაც ხსენებული ენისათვის იყენებდნენ — არამეული. მხოლოდ ცენტრისაგან მოწყვეტამ, ერთიანი სახელმწიფოს დაშლამ გამოიწვია პერიფერიაზე არამეულ დამწერლობათა ადგილობრივ სახეობათა განვითარება, დასაბამი მისცა ერთიანი არამეული ენის დიალექტებად მკვეთრად დაყოფას, რაც უკვე საშუალო არამეულში კარგად აისახა. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს „სახელმწიფო არამეულის“ ხმარება ოფიციალურ ენად მესოპოტამიაში, ინდოსტანის ნახევარკუნძულზე, მცირე აზიასა და ამიერკავკასიაში (სომხეთი, საქართველო).

1.4. ძველი წელთაღრიცხვის დასასრულს და ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში (უფრო ზუსტად: ძვ. წ. I ს. — ახ. წ. III ს.) არამეული ენა თითქმის იმავე ფარგლებშია გავრცელებული, როგორც ეს იყო კლასიკური არამეულის ხანაში: მესოპოტამია, სირია, პალესტინა. არამეული ენის წერილობითი ფიქსაცია ძირითადად

³ Fr. Rosenthal. A Grammar of Biblical Aramaic. Wiesbaden. 1963. გვ. 5. § 1.

⁴ J. B. Bauer, P. Leander. Grammatik des Biblisch-Aramäischen. Halle. 1927. გვ. 1--17.

სამ რაიონში ხდებდა. ეს არის პალმირის სამეფო, ნაბატეველთა სამეფო და ჰათრა. სწორედ პალმირის არამეულს მიიჩნევენ „ოფიციალური (კლასიკური) არამეულის“ გაგრძელებად, რომელმაც ადგილობრივი დიალექტის გარკვეული გავლენა განიცადა (*კანტინო, როზენტალი და სხვ.*)⁵. საყურადღებოა, რომ სამივე სამეფო არაბულია. აქ ძირითად მოსახლეობას, ყოველ შემთხვევაში ადგილობრივ არისტოკრატიას, წარმოადგენენ არაბები, რომლებიც სამწერლობო ენად არამეულს იყენებდნენ. ამრიგად, არამეულია ის ენა, რომელიც უსწრებდა თვით არაბულის ამ მიზნით გამოყენებას არაბების მიერ.

ქალაქი პალმირა („პალმების ქალაქი“, ადგილობრივ ენაზე — „თადმორ“) სირიის უდაბნოში დამასკოს ჩრდ. აღმოსავლეთით არსებულ ოაზისში მდებარეობდა. იგი დაარსებული უნდა ყოფილიყო დაახლოებით ძვ. წ. X ს.-ში. პალმირა არაერთხელ დაარბიეს და დაანგრეს, მაგრამ მისი აღდგენა მაინც ხერხდებოდა. ახ. წ. III ს. 60-იან წლებში პალმირა ისე გაძლიერდა, რომ შეიქმნა საკმაოდ დიდი პალმირის სამეფო, რომელიც მდ. ევფრატიდან მდ. ნილოსამდე და არაბეთიდან ჰელესპონტამდე იყო გადაჭიმული. 272 წ. პალმირელთა აჯანყება რომის წინააღმდეგ იმპერატორმა ავრელიანემ ჩააქრო, ხოლო პალმირა დაიპყრო და დაანგრია. ამის შემდეგ არ გასულა ერთი წელიც და პალმირის სამეფომ არსებობა შეწყვიტა. ამჟამად პალმირა პატარა არაბული სოფელია.

პალმირულ არამეულ წარწერათა დიდი ნაწილი პალმირას აყვავების ხანას განეკუთვნება. უმეტესად ეს არის საფლავის, სამშენებლო და სხვა ხასიათის წარწერები, გაკეთებული ქვის სტელებზე, მონეტებზე, ქანდაკებებზე. მათ შორის უძველესი ძვ. წ. 33 წელს განეკუთვნება, ხოლო ყველაზე გვიანდელი თარიღდება ახ. წ. 274 წლით. ხშირად არამეული წარწერის გვერდით ბერძნულიცაა მოცემული; ამასთანავე, ზოგჯერ ბერძნული წარწერები არამეულის გარეშეც გვხვდება. როგორც ჩანს, პალმირის კანცელარიაში ორ ენას იყენებდნენ: არამეულსა და ბერძნულს, რაც ამ დროისათვის სპარსეთის ყოფილი იმპერიის გარე პროვინციებისთვისაა დამახასიათებელი (შდრ., მაგალითად, იბერია და სომხეთი). ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 137 წ. სამსევეტიანი წარწერა, რომლის არა-

⁵ J. Cantineau. Grammaire du Palmyrénien épigraphique. Kairo. 1935. pp. 163; F. Rosenthal; Die Sprache der palmyrenischen Inschriften und ihre Stellung innerhalb des Aramäischen. *MVAeG* 41 (1936), pp. 105.

მეული ნაწილი 162 სტრიქონს შეიცავს ბერძნული თარგმანით და წარმოადგენს სავაჭრო საქონელზე არსებულ საბაჟო გადასახადთა ტარიფს. (ქველი 1901 წელს ჩამოიტანეს პეტერბურგში და ამჟამად დაცულია ერმიტაჟში, ლენინგრადში). წარწერები პალმირის არამეულზე აღმოჩენილია პალმირის სამეფოს საზღვრებისაგან საკმაოდ შორსაც — დამასკოში, იერუსალიმში, ეგვიპტეში, ჩრდ. აფრიკაში, რომში, უნგრეთში, იტალიაში და ინგლისშიც კი (წარწერები ლეგიონერების საფლავებზე).

პალმირის წარწერები ჯერ კიდევ XVIII ს.-ის 50-იან წლებში იყო ცნობილი, როდესაც ამ ქალაქის ნანგრევებში აღმოაჩინეს მათი ერთი ნაწილი, მაგრამ ამ წარწერათა უმრავლესობა ამ დღიდან ასი წლის გასვლის შემდეგ მოიპოვეს, და მხოლოდ ამის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ ახლად აღმოჩენილი წარწერების ენა ახლოს დგას ბიბლიის არამეულთან.

1.5. ნაბატეველები წარმოშობით არაბებია, რომლებმაც ძვ. წ. II ს.-ში შექმნეს საკუთარი სამეფო და ქარავნებით ვაჭრობას ეწოდნენ ჩრდილო ჰიჯაზიდან ვიდრე დამასკომდე. ახ. წ. 85 წ. ნაბატეველთა მეფემ არეტას III-მ შეძლო დაემარცხებინა სელევკიდი ანტიოქოს XII, შემდეგ იუდეველთა მეფე ალექსანდრე, რამაც ნაბატეველებს ახალი სავაჭრო გზები გაუხსნა. მაგრამ ნაბატეველთა სიძლიერე დიდხანს არ გაგრძელებულა. იმავე ალექსანდრემ 96 წ. მათ წაართვა საზღვაო ქალაქი დაზა, რითაც ნაბატეველებს ზღვით სარგებლობის საშუალება დაეკარგათ, ხოლო დამასკოდან ნაბატეველები რომაელებმა განდევნეს. 106 წლამდე ნაბატეველთა სატახტო ქალაქი პეტრა ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, ვიდრე რომის იმპერატორის ტრაიანეს ნაცვალმა სირიაში კორნელიუს პალმამ ბოლო არ მოუღო მას და ნაბატეველთა ყოფილი სახელმწიფო რომის პროვინცია არაბიაში არ შევიდა. მალე ადგილობრივმა სამწერლობო არამეულმა ენამაც შეწყვიტა თავისი არსებობა.

ნაბატეველებმა, რომლებიც ლიტერატურულ ენად, ნაცვალად საკუთარი არაბულისა, ჩრდილო მეზობლების ენას — არამეულს იყენებდნენ, დავიტოვეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი წარწერა. თავისი შინაარსით ისინი წარმოადგენენ ეპიტაფიასა და მიძღვნას და უხვად შეიცავენ არაბულ საკუთარ სახელებსა და არაბულისათვის დამახასიათებელ მოვლენებს. ამ წარწერათა მნიშვნელოვანი ნაწილი გვხვდება ნაბატეველთა სამეფოს დედაქალაქ პეტრაში, მკვდარი ზღვის სამხრეთით, ასევე მრავალ სხვა პუნქტში, სადაც ნაბატეველთა სავაჭრო გზები გადიოდა (არაბეთი, ზემო ეგვიპტე, იტალია). აქაც,

როგორც პალძირაშიც, არამეული ტექსტების გვერდით ხშირად გვხვდება მათი ბერძნული თარგმანები. კარგა ხანს ნაბატეური ცნობილი იყო მხოლოდ წარწერებით. უკანასკნელ ხანებში იუდას უდაბნოში ებრაულ და არამეულ (სახელმწიფო არამეული, ბიბლიის არამეული) ტექსტებთან ერთად აღმოჩნდა ნაბატეური პაპირუსებიც.

1.6. **ჰათრა** (არაბულად: ალ-ჰადრ) ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში (I—III სს.) პართულ ქალაქს წარმოადგენდა მზის ტაძრით. იგი მდებარეობს ერაყში აშურის ჩრდილო-დასავლეთით 50 კმ-ზე, ბაღდადსა და მოსულს შორის. ჰათრამ განსაკუთრებულ აყვავებას II ს.-ში მიაღწია, მაგრამ უკვე მომდევნო საუკუნეში (250 წ.) იგი დაანგრია შაპურ პირველმა. გათხრებმა, რომლებიც მიმდინარე საუკუნის 50-იანი წლებიდან იწარმოება, გამოავლინა წარწერები ტაძრის კედლებზე, საკურთხეველებზე, ქანდაკებებზე და სხვ., რომლებიც არამეულ ენაზეა შესრულებული. (წარწერებში ხშირად მოხსენიებულია მეფე სანატრუკი, რომელიც არაბულ ტრადიციაში დღესაც ცოცხალია). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჰათრის წარწერების ენა ისეთ თავისებურებებს გვიჩვენებს, რაც მოგვიანებით აღმოსავლურ არამეული დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი. **აშურში** ადგილობრივი ღვთაების აშურისა და მისი ცოლის შერუას საპატივსაცემოდ გაკეთებული არამეული წარწერები გვხვდება ამ ღვთაებათა ძველი ტაძრის ადგილას აღმართული შენობის ქვაფენილზე.

1.7. შემდგომში არამეული წერილობითი ძეგლები გვხვდება ე. წ. **საშუალო არამეულ დიალექტებზე**, რომლებიც შვეთრად იყოფა **დასავლურ** (პალესტინის) და **აღმოსავლურ** დიალექტებად (სირია-მესოპოტამიის ტერიტორიაზე გავრცელებული არამეული დიალექტები). ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ დასავლური დიალექტები ძველი არამეული ენობრივი ტრადიციების ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს. ამის საილუსტრაციოდ გამოდგებოდა პალესტინელ ებრაელთა მეტყველება, რომელიც ფიქსირებულია მკვდარი ზღვის ცნობილ Genesis Apocriphon-ის („შესაქმეს აპოკრიფი“) გრაგნილში, ასევე ბიბლიის უძველეს არამეულ თარგმანებში—თარგუმებში (II—V სს.): ონკელოსის თარგუმი („მოსეს ხუთი წიგნის“ არამეული თარგმანი) და იონათანის თარგუმი („წინასწარმეტყველთა“ არამეული თარგმანი). აღსანიშნავია, რომ, თუცა Genesis Apocriphon ძვ. წ. I ს. თარიღდება (ე. კუჩერი), თავისი ენის მიხედვით იგი ახლოს დგას საშუალო არამეულის ხანის ძეგლებთან, განსაკუთრებით ონკელოსის თარგუმთან. ბიბლიის უფრო გვიანდელი თარგმანები, რომლებიც პალესტინის თარგუმების სახელწოდებითაა ცნო-

ბლი, დაცულია ფრაგმენტების სახით (VII—IX სს.). ამ ძეგლების ენას ი უ დ ე უ რ ა რ ა მ ე უ ლ ს უწოდებენ.

1.8. გალილეის (ჩრდ. პალესტინა) არამეული მეტყველება ასახულია იერუსალიმის თალმუდში (IV—V სს.). აქვე უნდა დავასახელოთ ზოგიერთი არამეული მიდრაშისა და ქეფრ კენის მოზაიკის წარწერის ენაც (გ ა ლ ი ლ ე უ რ ი ა რ ა მ ე უ ლ ი).

1.9. ს ა მ ა რ ი ტ ა ნ უ ლ ი ა რ ა მ ე უ ლ ი წარმოადგენს არამეულ დიალექტს, რომელზეც პალესტინის ერთ-ერთ პროვინციაში—სამარიამში მეტყველებდნენ სამარიტანელთა რელიგიური სექტის მიმდევრები ძვ. წ. IV—ახ. წ. VIII სს.-ში. შემდგომ ხანაში მას ცელის არაბული ენა, ხოლო სამარიტანული არამეული სამწერლობო ენად რჩება. უძველესი სამარიტანული ძეგლებია „მოსეს ხუთი წიგნის“ არამეული თარგმანი და მისი კომენტარები, ასევე მათი მოძღვრების შემცველი კრებული „მემარ მარკა“ (ახ. წ. IV ს.). სამარიტანელთა არამეულ ენაზე შექმნილია, აგრეთვე, პოეტური, გრამატიკული და ისტორიული ხასიათის ლიტერატურა, ლექსიკონები და კალენდრები. გვხვდება წარწერებიც (ქვაზე, ბრინჯაოზე, ვერცხლზე და სხვ.).

1.10. პალესტინის ქრისტიანებმა ბერძნულიდან თარგმნეს რელიგიური ხასიათის ლიტერატურა. იგი მოიცავს სახარებას, ჰომილიებს, ჰიმნებსა და წმინდანთა ცხოვრებას. პ ა ლ ე ს ტ ი ნ ე ლ ქ რ ი ს ტ ი ა ნ თ ა ა რ ა მ ე უ ლ ი ე ნ ა, რომელიც ხსენებულ ლიტერატურაში აისახა, V—VII სს.-ში იხმარებოდა პალესტინაში. ტექსტები დაწერილია სირიული დამწერლობით.

1.11. აღმოსავლური არამეული დიალექტებიდან განსაკუთრებულ პოპულარობა მოიპოვა ჩრდ. სირიის ქალაქის ედესის (ამჟამად — ურფა თურქეთში) და მისი რაიონის მეტყველებამ, რომელზეც საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა საყოველთაოდ ცნობილი საეკლესიო (ქრისტიანული) და საერო ლიტერატურა. ეს დიალექტი ს ი რ ი უ ლ ე ნ ა დ იწოდება.

სირიული ენისა და ლიტერატურის აყვავება მკიდროდ უკავშირდება ქრისტიანობის გავრცელებასა და გაძლიერებას აღმოსავლეთში, ხოლო მისი დაცემა—მსოფლიოს ამ რეგიონის არაბიზაციასა და ისლამიზაციას, ე. ი. ქრისტიანობის დაცემას. ამრიგად, სირიული ენა, შევიწროებული არაბული ენის მიერ, VIII ს.-ში წყვეტს თავის სიცოცხლეს და როგორც სამწერლობო ენა არსებობას განაგრძობს XV ს.-მდე, ხოლო როგორც სირიული ეკლესიის ლიტურგიის ენა, იგი დღემდე შემორჩა. აღსანიშნავია, რომ მისი შესწავლა ამჟამად წარმოებს სამონასტრო სკოლებში, მასზე იწერება სათანადო სახელმძღვა-

ხელოებიც. უკახასკხელ წლებში ათის ცდები თახაქედროვე სიოიელ-
თა შორის „გამოაცოცხლონ“ კლასიკური ენა. ამის ერთ-ერთი დამა-
დასტურებელია ეურნალის გამოცემა კლასიკურ სირიულ ენაზე, რო-
გორიცაა, მაგალითად, Qalā Sūryāyā („სირიული ხმა“) — სირიული აკადე-
მიის ორგანო, Sūryūṣ („სირიელი“) არგენტინაში, Egartho („ეპის-
ტოლე“), რომელიც 1978 წლიდან გამოდის დას. ბერლინში და
შეიცავს ოთხ ნაწილს: სირიულს, არაბულს, თურქულსა და გერმან-
ულს. 1972 წ. ბაღდადში იქმნება სირიული აკადემია, რომლის ძი-
რითადი მიზანია სირიული ენის ფართოდ დანერგვა.

სირიული ძეგლები გვხვდება ქრისტიანობამდეც. ძირითადად ეს
ეპიგრაფიკული ხასიათის ძეგლებია, რომელთაგან უძველესია ქ. ედე-
სის (სირ. ურჰა) ძეგლები (მაცნუს საფლავის წარწერა თარიღდება
ახ. წ. 73 წლით). სირიულ ენაზე იქმნება რელიგიური, ფილოსოფი-
ური, მხატვრული და სხვა ხასიათის მნიშვნელოვანი ლიტერატურა.
განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბერძნულიდან თარგმანს, რა-
მაც ხელი შეუწყო ბერძნული ენის დიდ გავლენას სირიულზე, რაც,
ბუნებრივია, პირველ რიგში ლექსიკის სფეროში აისახა.

V ს.-ში მოხდა სირიული ეკლესიის გაყოფა ორ ძირითად ნაწი-
ლად: აღმოსავლურსირიული ეკლესია, რომელიც მოიცავდა პატრი-
არქ ნესტორის მიმდევარ დიოფიზიტებს ცენტრით ნისიბინში და და-
სავლურსირიული ეკლესია მონოფიზიტებისა ცენტრით ანტიოქია-
ში, რომელთაც მოგვიანებით (VI ს.) სირიული ეკლესიის რეოფორმა-
ტორის იაკობ ბარადაიოსის მიხედვით იაკობიტები უწოდეს. კონფე-
სიონალურ განხეთქილებას მოჰყვა სირიის ლიტერატურული ენის
ორ დიალექტად დაყოფა, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ერთი-
ანი სირიული დამწერლობის შეცვლას ორი სხვა, აქედანვე მიღებუ-
ლი, სახესხვაობით: იაკობიტური დამწერლობით და ნესტორიანუ-
ლი დამწერლობით.

1.12. სირიულ ენასთან ახლოს დგას ბაბილონის ებრაელთა
არამეული მეტყველება, რომელიც ბაბილონის თალმუდში და
პინაკებზე შესრულებულ მაგიკურ ტექსტებში (IV—VI სს.) აისახა.

1.13. დიდ ინტერესს წარმოადგენს ბაბილონის მანდეველთა არა-
მეული მეტყველება, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია მათ მიერ შექმნი-
ლი ლიტერატურის სახით (III—VIII სს.). მანდეურ ენაზე, რო-
გორც უწოდებენ ჩვეულებრივ მანდეველთა ლიტერატურის ენას,
დაწერილია მითები, ჰიმნები, ლოცვები, რომლებიც შეკრებილია
ე. წ. „დიდ საცავში“ (Ginzā rabbā), „იოანე ნათლისმცემლის
წიგნში“ და ზოგიერთ სხვა თხზულებაში.

2. ფონოლოგია და ფონეტიკა

2.1. არამეულმა ფონოლოგიურმა სისტემამ და, პირველ რიგში კონსონანტიზმმა, კლასიკურ ეპოქაში მიიღო ის სახე, რომელსაც, ჩვეულებრივ, ტიპურ არამეულად თვლიან და, სახელდობრ:

- | | | |
|-----------------|---|-------------|
| 1. ბილაბიალები: | 1) ხშულები: მყდერი
ყრუ | b
p |
| 2. დენტალები: | 2) სონორი: ნაზალი | m |
| | 1) ხშულები: მყდერი
ყრუ | d
t |
| | ემფატიკური | t̥ |
| | 2) სპირანტები: მყდერი
ყრუ | z
s |
| | ემფატიკური | ʃ |
| | 3) სონორები: ნაზალი
ლატერალი
ვიბრანტი | n
l
r |
| 3. ალვეოლარი | სპირანტი: ყრუ | ʃ |
| 4. ეელარი | ხშულები: მყდერი
ყრუ | g
k |
| 5. უველარი | ხშული: ყრუ | q |
| 6. ფარინგალი | სპირანტები: მყდერი
ყრუ | c
ħ |
| 7. ლარინგალები: | 1) ხშული ყრუ
2) სპირანტი ყრუ | ʔ
h |

მოცემულ ტაბულასთან შედარებით ერთგვარ განსხვავებას, როგორც უკვე აღინიშნა, გვიჩვენებს ძველი არამეული ეპიგრაფიკული ძეგლები. ეს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ პროტოსემიტური ინტერდენტალები არამეული კონსონანტიზმისათვის ტიპური ხშული თანხმოვნების ნაცვლად აქ გადმოცემულია სპირანტებით (პროტოსემიტური ინტერდენტალები კარგადაა დაცული არაბულში). ამ მხრივ ჩვენთვის საინტერესო წარწერებს შორის სრული თანხვედრამაა. მაგ., პროტოსემიტ. d გადმოცემულია დენტალი სპირანტით z : ʔhz „აღება“ (ჰად.) <*ʔhd (შდრ. არაბ. ʔhd, მაგრამ ებრ. ʔhz), zhb „ოქრო“ <*d̥hb (ებრ. zāhāb, მაგრამ სირ. dahbā); ყრუ ინტერდენტალი t̥ წარწერებში ʃ ასოთია გადმოცემული: yʃb „დაჯდომა“ (ჰადადი და სხვ.) <*ytb (შდრ.

ებრ. yāšab, სირ. yīteb), პროტოსემიტური ინტერდენტალი ყრუ ემფატიკური † წარწერებში, ისე როგორც ებრაულშიც, წარმოდგენილია ემფატიკური სპირანტით $\$: n\ddot{s}r$ „დაცვა“ < *n| \ddot{s} r (ებრ. nāšar, სირ. nōšar). როგორც მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, პროტოსემიტური ინტერდენტალების გადმოცემა დენტალი სპირანტებით დამახასიათებელია ებრაულისათვის და აგრეთვე ფინიკიურისათვის, ე. ი. ქანაანური ჯგუფის ენებისათვის. გვიანდელ არამეულ ძეგლებში, როგორც ტაბულაშია ასახული, ეს სპირანტები გადადის ხშულებში, რაც მიჩნეულია ტიპიურად მთელი არამეულისათვის, რადგან სხვა სემიტურ ენებში ხშულები პროტოსემიტური ინტერდენტალებისათვის არ გვხვდება. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ თანხმოვნების გადმოცემა ძველ არამეულ წარწერებში შეიძლება განვიხილოთ როგორც ცდა, დაახლოებით მიინც გადმოიცეს, არამეული ენის განვითარების ადრეულ საფეხურზე ჯერ კიდევ შემორჩენილი, პროტოსემიტური ინტერდენტალები ფინიკიურიდან ნასესხები ანბანის საშუალებით, რომელსაც ინტერდენტალებისათვის სპეციალური ნიშნები არ გააჩნდა. და მხოლოდ მოგვიანებით ინტერდენტალები არამეულში გადაიწია სათანადო ხშულებში ($\ddot{s} > \ddot{s}$, $\ddot{d} > \ddot{d}$, $\ddot{t} > \ddot{t}$). უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული გადაწევა, როგორც ჩანს, მოხდა არა ერთბაშად, გარკვეულ დროს. ამას მოწმობს სპირანტ z-სა და ხშული d-ს პარალელური ხმარება საერთოსემიტური ინტერდენტალის d-ს გადმოსაცემად ეგვიპტურ-არამეულში, ე. ი. წერილობით დოკუმენტებში, რომლებიც ქრონოლოგიურად ახლოს დგას ხსენებულ ეპიგრაფიკულ ძეგლებთან. ასე ხდება ჩვეულებრივ ნაცვალსახელებში (znk „ეს“ (მამრ.), zā „ეს“ (მდ.), მიმართ. ნაცვალსახელი zi), მაშინ როცა სხვა მეტყველების ნაწილებში, ცალკეული გამოწაკლისის გარდა, როგორიცაა zhb//dnh „ოქრო“, უპირატესობა ეძლევა d-ს ხშულ ეკვივალენტს d-ს (zdn „ყური“, zhd „ალება“ და ა. შ.). ამასთან დაკავშირებით გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ეგვიპტის არამეულში გრაფიკაში ზოგჯერ ჯერ კიდევ დაცულია თანხმოვნის ძველი წარმოთქმა, მაშინ, როცა ცოცხალ წარმოთქმაში, რომელიც თითქმის მთლიანადაა ასახული ტექსტებში, ინტერდენტალი თანხმოვანი რეალიზდება ხშულის სახით⁶. ანალოგიურ შემთხვევაში z-ს ხმარება d-ს ნაცვლად, რომელიც ისტორიულად d-დან მოდის, უფრო გვიანდელი არამეული დიალექტებიდან მხოლოდ მანდურშია დამოწმებული, რომელიც ცნობილია თავისი არქაიზმებით (hazin „ეს“ (მამრ.), haza//hada „ეს“ (მდედრ.), zahba//dahba „ოქრო“, ziqna//diqna „წვერი“)⁷.

⁶ P. Leander, Laut- und Formenlehre des Ägyptisch-Aramäischen, Hildesheim, 1966, გვ. 9, i.

⁷ შდრ. N ö l d e k e, Mandäische Grammatik, 1964, გვ. 43.

სხვა ვითარებაა პროტოსემიტური ყრუ ინტერდენტალი თანხმოვნების — მარტივი t და ემფატიკური t^{h} -ს გადმოცემისას. ასეთ შემთხვევაში ყოველთვის გვაქვს საერთოარამეული ხშულები t და t^{h} (პროტოსემიტ. $\text{t}^{\text{h}}\text{wr}$ > არამ. $\text{t}^{\text{h}}\text{wr}$ „ხარი“, პროტოსემიტ. $\text{t}^{\text{h}}\text{by}$ > არამ. $\text{t}^{\text{h}}\text{by}$ „ქურციკი“). ერთდერითი შემთხვევა ინტერდენტალ t^{h} -ს გადმოცემისა t სპირანტიტ, რაც ქანანური ენებისათვის დამახასიათებელია, გვხვდება ეგვიპტ.-არამ. სიტყვაში $\text{t}^{\text{h}}\text{q}$ „შეკელი“ (წონის ერთეული), რაც მიეწერება ბაბილონური $\text{t}^{\text{h}}\text{q}$ -ს გავლენას⁸.

პროტოსემიტურ ბგერით სისტემასთან შედარებით ცვლილებები განუცდიათ ველარ სპირანტებსაც: $\text{g} > \text{c}$, $\text{h} > \text{h}^{\text{h}}$. ამგვარად, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ არამეულში დატულია პირველადი ფარინგალებიც (ე.ი. პროტოსემიტური c და h^{h}), გასაგები გახდება, რომ ამ უკანასკნელთა ხვედრითი წონა არამეულში, პროტოსემიტურთან შედარებით, გაიზარდა. ეს ფაქტი, რომელიც უკვე უძველესი არამეული წარწერებითაა ცნობილი, დასტურდება ამ ენის განვითარების მთელ მანძილზე; მხოლოდ გაცილებით უფრო გვიან ზემოხსენებულ h^{h} კლავ გადაიწია ველარ h^{h} -ში ზოგიერთ დიალექტში, როგორც, მაგალითად აღმოსავლურსირიულში ($\text{h}^{\text{h}}\text{amr}^{\text{h}}$ „ღვინო“, $\text{h}^{\text{h}}\text{aq}^{\text{h}}$ „მინდორი“, შდრ. დას. სირ. $\text{h}^{\text{h}}\text{amr}^{\text{h}}$, $\text{h}^{\text{h}}\text{aq}^{\text{h}}$). უნდა აღინიშნოს, რომ ველარი თანხმოვნების გადაწევა ფარინგალებში საერთო მოვლენაა არამეულისა და ქანანური ენებისათვის, მაგრამ ფარინგალი ჩაინით პროტოსემიტური ემფატიკური t^{h} -ს გადმოცემა დამახასიათებელია მხოლოდ არამეულისათვის. მიუხედავად ამისა, ადრინდელ ძეგლებში, და სახელდობრ, ძველ არამეულ წარწერებში და ეგვიპტის არამეულშიც კი, $\text{t}^{\text{h}} > \text{c}$ -ს ნაცვლად გვხვდება $\text{t}^{\text{h}} > \text{q}$ (უძველეს ეპიგრაფიკულ ძეგლებში სისტემატურად, ეგვიპტის არამეულში $\text{t}^{\text{h}} > \text{c}$ -სთან ერთად): $\text{t}^{\text{h}}\text{q}$ „ღედამიწა“, $\text{m}^{\text{h}}\text{q}$ „მზის ამოსვლა“; ეგვ. არამ. $\text{t}^{\text{h}}\text{q}$ || $\text{t}^{\text{h}}\text{c}$ „ღედამიწა“, $\text{q}^{\text{h}}\text{m}^{\text{h}}$ || $\text{c}^{\text{h}}\text{m}^{\text{h}}$ „მატყლი“.

ეგვიპტის არამეულ ტექსტებში ჯერ კიდევ გვხვდება სიტყვები, რომლებშიც პროტოსემიტური t^{h} -ს ნაცვლად მხოლოდ q იხმარება (c^{h} „ხე“, q^{h} „ცხვარი“), მაშინ, როდესაც, მაგალითად, ბიბლიის არამეულში მოცემულ შემთხვევაშიც ჩაინი გვაქვს ($\text{t}^{\text{h}}\text{c}$ დისიმილაციით $\text{c}^{\text{h}}\text{c}$ -იდან). ანალოგიური ფაქტები დასტურდება მანდეურში ($\text{aq}^{\text{h}}\text{am}^{\text{h}}$ „მატყლი“ < $\text{V}^{\text{h}}\text{c}^{\text{h}}\text{m}^{\text{h}}$, $\text{ap}^{\text{h}}\text{ra}$ || $\text{qap}^{\text{h}}\text{ra}$ „მტყერი“ < $\text{V}^{\text{h}}\text{c}^{\text{h}}\text{p}^{\text{h}}$). თ. ნელდეკეს აზრით, ეს q შეიძლება გადმოსცემდეს არაბული q (q^{h})-ს მსგავს ბგერას, რომელიც q თანხმოვნის სპირანტული ვარიანტია⁹.

⁸ P. L e a n d e r, დასახ. ნაშრომი, გვ. 7—8, b.

⁹ Mand. Gramm., გვ. 73.

ქანანისში, შესაძლოა, წმინდა გრაფიკული ხასიათისა, ვლინდება აგრეთვე პროტოსემიტური პალატალიზებული ო-ს ო-თი გადმოცემაში ბევრ ძველ არამეულ წარწერაში, მაშინ როცა არამეულში საერთოდ ეს თანხმოვანი s ასოთი გამოიხატება.

როგორც ჩანს, კლასიკურ ენაში დენტალი s-ს გვერდით დაცული იყო პალატალი (ან პალატალიზებული) ო, რომელიც გვხვდება მასორეტულ ტექსტებში, ხოლო შემდგომი პერიოდის ენაში კი გადაიწია s ბგერაში. ეგვიპტის არამეულში ო-სა და ო-ს გადმოსცემდა ერთი და იგივე ასო ყოველგვარი დიაკრიტიკული ნიშნის გარეშე. მათი გარჩევა შესაძლებელია მხოლოდ ბიბლიური მასორეტული ტექსტების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ უკვე ეგვიპტის არამეულში გვხვდება ცალკეული შემთხვევები s თანხმოვნის გადმოცემისა ო/ს ნიშნის მეშვეობით, რაც აშკარად მიუთითებს პალატალი ო-ს ო-ში გადაწევის ცოცხალ პროცესზე. იმავეს გვაფიქრებინებს ო და s ნიშნების აღრევის შემთხვევები ბიბლიის არამეულში.

კონსონანტურმა სისტემამ ერთგვარი ცვლილებები განიცადა უფრო ახალგაზრდა არამეულ დიალექტებში; სათავე ამ ცვლილებებს დაედო უკვე არამეული ენის კლასიკურ ხანაში. პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ცალკეული თანხმოვნების დასუსტება და დაკარგვა. მაგალითად, უკვე ბიბლიის არამეულში ფიქსირებულია შემთხვევები გლოტალი ხშული ო-ს დაკარგვისა სიტყვის შუაში (rēš „თავი“ <ri)š, bašar „შემდეგ“ <ba)ar). ო-ს დაკარგვა მარცვლის ან სიტყვის ბოლოს სირიულ ენაში — ჩვეულებრივი მოვლენაა დასტურდება შემთხვევები ო-ს დაკარგვისა სიტყვის თავშიც. სირ. ḥad, მანდ. had „ერთი“ <)ḥd; სირ. nāšā, მანდ. anaša//naša „აღამიანი“ <)nš და სხვ. მეორე გლოტალი თანხმოვანი — სპირანტი h უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ის ჯერ კიდევ შენახულია საშუალო არამეულ დიალექტებში, გარდა მანდეურისა: სირ. nahrā „მდინარე“, bahrā „სინათლე“, მაგრამ law „არ“ <lā hū, yūḏā „იუდა“ <yihūḏā, hennōn//ʔennōn „ისინი“.

საშუალო არამეულში შეინიშნება ფარინგალური თანხმოვნების „დასუსტება“, რაც გამოიხატება მათ გადასვლაში ლარინგალ თანხმოვნებში. სისტემატური ხასიათი აქვს ამ მოვლენას მანდეურში, სადაც (გადადის ო-ში, ხოლო ḥ h-ში: abad „მან (მამრ.) გააკეთა“ <*ʕabad, ʕuna „ნაყოფი“ <*ʕanā, nahla „კალაპოტი (მდინ.)“ <nahlā.

სირიულსა და პალესტინელ ქრისტიანთა ენაში ბერძნული სიტყვების გადმოცემისას დასტურდება აბრუპტივი (გლოტალიზებული) **p**: სირ. *parsopā* „სახე“ < ბერძნ. *πρῶσιον*.

2.2. ნ ა ხ ე ვ ა რ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი დ ა ნ (უმარცვლო ხმოვნებიდან) არამეულში დასტურდება ბილაბიალი **w** და პალატალი **y**, საერთო ყველა სემიტური ენისათვის. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვის თავში, როგორც ეს სხვა ჩრდილოსემიტური ენებიდანაცაა ცნობილი, პროტოსემიტ. **w**-ს ჩვეულებრივ ცვლის ნახევარხმოვანი **y**: **whb* > *yhb* „მიცემა“, **wld* > *yld* „შობა“ და ა. შ. (გამონაკლისს შეადგენს უცხო სიტყვები და კავშირი „და“). **w** ზოგჯერ შენახულია ნაბატეურში, შესაძლოა არაბული ენის გავლენით.¹⁰ საყურადღებოა, რომ მოგვიანებით არამეულ დიალექტებში გვხვდება მეორადი **w**, მიღებული **x**-საგან: მანდ. *xbd* > *wd* „დაღუპვა“ (განსაკუთრებით ხშირად თანამედროვე არამეულ დიალექტებში, იხ. ქვემოთ). ნახევარხმოვნებს ინტერვოკალურ პოზიციაში ხშირად ენაცვლება გლოტალი ხმული **ʔ** ბიბლიის არამეულში: *kašdāyā* > *kašdāʔā* „ქალდეელი“, *ḥaṭāyāk* > *ḥaṭāʔāk* „შენი ცოლები“, სირ. *ʔīdā* „ხელი“ < *yʔdā*, *ʔīt(ay)* „არის, არსებობს“ — *verbum existentiae* (შდრ. ძვ. ებრ. *yēš*).

2.3. ვ ო კ ა ლ ი ზ მ ი არამეული ენის ბგერითი შედგენილობის ყველაზე ცვალებადი და მერყევი ნაწილია.

რამდენადაც დამწერლობა, რომელიც ძველ არამეულ წარწერებშია გამოყენებული, კონსონანტურია, ამდენად ჩვენი წარმოდგენა ამ პერიოდის ვოკალიზმის შესახებ არასრულია. გრძელი ხმოვნებიც კი, რომლებიც ნახევარხმოვნების (**w**, **y**) მეშვეობით გადმოიცემა, გრაფიკულად ყოველთვის არ გამოიხატება. როგორც უკვე ითქვა, ხშირია გრძელი ხმოვნების დეფექტური დაწერილობის შემთხვევებიც. ნახევარხმოვნები არცთუ იშვიათად იკარგვის დიფთონგების გადმოცემის დროსაც, რაც, შესაძლოა, მიუთითებდეს დიფთონგების კონტრაქციას ძველ არამეულში. მოგვიანებით ეს მოვლენა ფართოდ გავრცელდა ამ ენაში. ამგვარად, გვაქვს *ē ay*-ის ნაცვლად და *ō aw*-ის ნაცვლად: *māšb* „დასაჯდომი“ < *mawšab* (ჰად.). სიტყვის ანლაუტში **w**-ს ჩვეულებრივ ენაცვლება **y**, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში **w** დაცულია, როგორც, მაგალითად, აკუზატივის ნაწილაკში *wl* (ჰად.). „სახელმწიფო“ (კლასიკური) არამეული ენის ხმოვნების დახა-

¹⁰ An Introduction to the Comparative Grammar of the Semitic Languages, ed. by S. Moscati, Wiesbaden, 1964, გვ. 46, § 8.65.

სიათება საცმოდ რთული ამოცანაა, რადგან ხმოვნები, განსაკუთრებით კი მოკლე ხმოვნები, ტექსტებში არ აღინიშნებოდა. როგორც ცნობილია, ბიბლიურ ტექსტებში მოცემული გახმოვნება უფრო გვიანდელი ხანისაა, ვიდრე თვით ტექსტები და ამიტომ მას არ ძალუძს ასახოს მათი წარმოთქმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ცხრა-ათი საუკუნით ადრე; მიუხედავად იმისა, რომ წარმოთქმის ზეპირი ტრადიციები მყარია. ამდენად, არამეული ვოკალიზმის დახასიათება ამ გახმოვნების მიხედვით არსებითად აქემენიანთა სახელმწიფოს ან თუნდაც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების არამეული ენის ვოკალიზმს კი არ ასახავს, არამედ გვაძლევს წარმოდგენას იმ პერიოდის ხმოვნების შესახებ, როცა მოხდა მათი ფიქსაცია (VI—VII სს.). აქედან გამომდინარე, *ქ. ლეანდერი*, რომლის აზრითაც ეგვიპტის არამეული ენის ხმოვნები უფრო არქაულია, ვიდრე ახალგაზრდა დიალექტების ვოკალიზმი, მართალი ჩანს¹¹. თუმცა გამორიცხული არაა, რომ, მაგალითად, მოკლე ხმოვნები ღია უმახვილო მარცვალში რედუქციას განიცდიდა, ხოლო ღია მახვილიანში კი დატულია, როგორც ეს დასტურდება ბიბლიის არამეულში მასორეტული ტრადიციის მიხედვით. საესებით დასაშვებია *i/e* ხმოვნების გადასვლა *a* ხმოვანში ლარინგალი (*ʔ*, *h*) და ფარინგალი (*ʕ*, *ħ*) თანხმოვნების მეზობლობაში, როცა ეს უკანასკნელნი ხურავენ მარცვალს. მათ უერთდება აგრეთვე *r* თანხმოვანიც, როგორც ეს შეინიშნება, მაგალითად, სირიულში, სადაც ხმოვნებისათვის არსებობს სათანადო ნიშნები (*mašmaʕ mašmeʕ*-ის ნაცვლად „ის, ვინც ასმენინებს“, *ʔamar* < *āmer* „ის, ვინც ლაპარაკობს, მოლაპარაკე“). მეტი დარწმუნებით შეიძლება ვისაუბროთ გრძელი ხმოვნებისა და იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც მათ მოუღიოთ, რამდენადაც ისინი კონსონანტურ ტექსტებში ჩვეულებრივ აღინიშნებოდა. ასე, მაგალითად, *y* და *h* ასოების მონაცვლეობა სიტყვის აუსლაუტში ეგვიპტის არამეულში გვაფიქრებინებს, რომ გარკვეულ შემთხვევებში, სახელდობრ კი მახვილიან ბოლოკიდურ მარცვალში, *i* ხმოვანი გადადის *e*-ში (*y* გადმოსცემს *i*-ს, *h* *e*-ს). ეს დასტურდება *y*-ზე გათავებული ზმნების შედარებით სათანადო მასალასთან მონათესავე დიალექტებიდან.

როგორც უკვე ითქვა, ხმოვნები კონსონანტურ ტექსტებში აღინიშნებოდა რიგი ასოების, ე. წ. *matres lectionis*-ის (*y*, *w*, *h*, *ʔ*) საშუალებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხმოვნები გრძელი იყო. მაგრამ გრძელი ხმოვნების გადმოცემა ე. წ. ვოკალური ასოების გზით

¹¹ P. Leander, „დასახ. ნაშრ.“, გვ. 7.

ყოველთვის თანამიმდევრული არ იყო (აქედან წარმოდგა გრძელი ხმოვნების დეფექტური დაწერილობა, ე. ი. დაწერილობა ვოკალური ასოების გარეშე). ამიტომ გაჩნდა საჭიროება როგორც არსებული კონსონანტური ტექსტების მთლიანად განხოვნებისა, ასევე შემდგომში თანხმოვნებთან ერთად ხმოვნების გადმოცემისაც. მანდური აღმოჩნდა ერთადერთი ენა, რომელიც ამ მიზნით სისტემატურად მიმართავს არსებულ კონსონანტურ ანბანს. სახელდობრ, ასოები γ , κ , w , y აღნიშნავენ აქ თვისობრივად განსხვავებულ ხმოვნებს: $\gamma = a/\bar{a}$, $\kappa = i$ და e (ზოგჯერ $\kappa = \bar{i}$, \bar{e}), $w = u$, o ; $y = i/\bar{i}$, e/\bar{e} . ზოგჯერ ხმოვნების გადმოსაცემად ორი ასოა გამოყენებული (ჩვეულებრივ სიტყვის ბოლოში): y ან $\kappa y = \bar{i}$, \bar{e} .

ყველა სხვა არამეულ დიალექტში კი შექმნილია ხმოვნების აღმნიშვნელი სპეციალური დიაკრიტიკული ნიშნების მთელი სისტემები. ჩვენამდე მოაღწია ბიბლიური (მათ შორის ბიბლიურ-არამეული) კონსონანტური ტექსტების ვოკალიზაციის რამდენიმე ტრადიციამ, რომელთაგან მთავარია ტიბერიანული და ბაბილონური (VI—VII სს.). განსაკუთრებული გავრცელება ჰპოვა ტიბერიანულმა ტრადიციამ, რომელიც ძირითადად ხმოვანთა თვისობრივ განსხვავებას ასახავდა. ხმოვნები გადმოიცემოდა ასოების ქვემოთ ან ზემოთ დასმული წერტილებითა და შტრიხებით.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ამ მხრივ სირიული ვოკალიზაცია, რომელიც, ისე როგორც ბიბლიური, ჩვენი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა და, ბიბლიურისავე მსგავსად, პირველ რიგში ხმოვანთა თვისებას გამოხატავდა. ამასთან, სირიული დამწერლობა, ისე როგორც სხვა სემიტური დამწერლობანი, კვლავ ფართოდ იყენებდა *matres lectionis*-ს ხმოვნების გადმოსაცემად ($w = o/\bar{o}$, u/\bar{u} ; $y = i/\bar{i}$, ზოგჯერ \bar{e} ; $\gamma = \bar{a}$, \bar{e}). ეგვევ ასოები გადმოცემდა ხმოვნებს ნასესხებ ბერძნულ სიტყვებშიც (განსაკუთრებით ხშირად γ იხმარება ასო α -ს შესატყვისად; ზოგჯერ ამ როლში სირიული ასო h -ც გამოდის).

ვოკალური ნიშნების სირიული სისტემებიდან უნდა აღინიშნოს ორი:

1) აღმოსავლურსირიული — ნესტორიანული, რომელშიც ხმოვნების გადმოსაცემად იხმარება წყვილი წერტილი ან ერთი წერტილისა და w ან y -ის კომბინაცია, და 2) დასავლურსირიული — იაკობიტური, რომელიც ამ მიზნით იყენებს ბერძნულ მთავრულ ასოებს. უფრო გვიანდელია კომბინირებული ხასიათის დასავლურსირიული სის-

ტემა, რომელიც იაკობიტურთან ერთად ნესტორიანულ გახმოვნე-ბასაც შეიცავდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ვოკალიზაციის მხოლოდ ნესტორიანული სისტემა ასახავს სიგრძეს, თუმცა არა ყველა ხმოვნის შემთხვევაში ($\bar{a} = \bar{a}$ და $\bar{i} = a$, $\bar{e} = \bar{e}$ და $\bar{o} = e$). სხვა ნესტორიანული ნიშნები ხმოვნის სიგრძე-სიმოკლეს არ განასხვავებს ($\bar{i} = i/i$, $\bar{o} = o/o$; $\bar{u} = u/u$), ისე, როგორც ყველა იაკობიტური ($\bar{a} = a/\bar{a}$, $\bar{o} = o/\bar{o}$, $\bar{u} = e/\bar{e}$, $\bar{i} = i/\bar{i}$, $\bar{u} = u/\bar{u}$). ულტრამოკლე ხმოვნები, რომლებიც სი-რიულსა და რიგ სხვა ძველ და საშუალო არამეულ დიალექტებში გვხვდება, სპეციალური ნიშნებით არ გადმოიცემოდა.

თუ ვიმსჯელებთ არამეული ტექსტების ვოკალიზაციისა და ზოგიერთი სხვა მონაცემების მიხედვით, რომელთა შესახებ ზე-მთხედვით იყო საუბარი, ძველ არამეულში უნდა ვივარაუდოთ შემდეგი სახის ვოკალური სისტემა:

1. გრძელი ხმოვნები \bar{a} , \bar{e} , \bar{i} , \bar{o} , \bar{u} ;
2. მოკლე ხმოვნები a , e , i , o , u ;
3. ულტრამოკლე ხმოვნები: \bar{a} , \bar{e} , \bar{o} და ირაციონალური \bar{u} .

არამეულში ზოგჯერ განასხვავებენ e და o ხმოვნების ღია და დახურულ ვარიანტებს. ასე, მაგალითად, ბიბლიურ-არამეულ ტექსტებში დახურული ხმოვანი $/e/$ აღინიშნება \bar{e} ნიშნით, ღია კი ნიშ-ნით \bar{e} $= /e/$; სირიულში არჩევენ ღია $/\bar{e}/$, $/\bar{o}/$ და დახურულ $/\bar{e}/$, $/\bar{o}/$ გრძელ ხმოვნებს. ეს უკანასკნელნი ჩვეულებრივ დამავალი დიფთონ-გების კონტრაქციის შედეგად მიიღება (იხ. ქვემოთ).

საერთოარამეული მოკლე ხმოვანი i დას. სირიულში წარმოდ-გენილია e -ს სახით, აღმ. სირიულში კი — i -ს სახით.

ხმოვნები შეიძლება შეიცვალოს მახვილისა და მარცვლის სტრუქ-ტურის გავლენით. ასე, მაგალითად, ზოგიერთ დიალექტში დახურულ მარცვალში დადასტურებულია გრძელი ხმოვნების დამოკლების ტენ-დენცია (შდრ. დას. სირ. $\bar{c}alm\bar{i}n < *c\bar{a}l'm\bar{i}n$ და $\bar{c}alm\bar{i}n$ „მარა-დიულობა“), ღია უმახვილო მარცვალში კი პირველადი მოკლე ხმო-ვანი ჩვეულებრივ ულტრამოკლეში გადადის ყველა არამეულ დია-ლექტში ($*qat\bar{a}l > q\bar{a}t\bar{a}l$ „მან მოკლა“).

როგორც ცნობილია, ჩრდილოსემიტური ენებისათვის, და მათ შორის არამეულისათვისაც, დამახასიათებელია ბოლოკიდური უმახ-ვილო მოკლე ხმოვნების დაკარგვა (შდრ. არაბ. $q\bar{a}tala$ და ებრ. $q\bar{a}t\bar{a}l$, არამ. $q\bar{a}t\bar{a}l$ „მან მოკლა“). ეს მოვლენა სირიულსა და მანდეურში გავრცელდა ბოლოკიდურ გრძელ ხმოვნებზეც (თუმცა სირიულში წე-

რის დროს ეს ხმოვნები დაცულია): $q^{\text{t}}al < q^{\text{t}}\acute{a}lu$ „მათ მოკლეს“, $bayt < b\acute{a}yt\acute{i}$ „ჩემი სახლი“.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გრძელი ხმოვნების დავიწროება, რაც ფართოდაა გავრცელებული თანამედროვე სემიტურ ენებში. ბიბლიის არამეულ ენაში ჯერ ისევ გვხვდება პირველადი გრძელი ხმოვნები, რომლებიც მოგვიანებით ავლენენ დავიწროებისადმი ტენდენციას. პალმირულში დამოწმებულია $\bar{a} > \bar{o}$, დასავლურ სირიულში კი უკვე ყველა გრძელი ხმოვანი ვიწროვდება: $\bar{a} > \bar{o}$, $\bar{o} > \bar{u}$, $\bar{e} > \bar{i}$ (ინლაუტში). სწორედ ამით განსხვავდება ეს სირიული დიალექტი აღმოსავლურისაგან, რომელსაც უკეთ შეუენახავს მოცემულ ხმოვანთა თავდაპირველი წარმოთქმა (შდრ. აღმ. სირ. $r\acute{e}\acute{s}\acute{a}$ და დას. სირ. $r\acute{i}\acute{s}\bar{o}$, აღმ. სირ. $\acute{s}i\bar{o}\acute{t}\acute{x}$ და დას. სირ. $\acute{s}i\bar{u}\acute{t}$ „ლოცვა“). $\bar{a} > \bar{e}$ და $\bar{a} > \bar{o}$ გადასვლის ცალკეული შემთხვევები ფიქსირებულია მანდეურში¹².

2.4. დ ი ფ თ ო ნ გ ე ბ ი. მარტივი ხმოვნების გარდა არამეულმა ენამ იცის დამავალი დიფთონგები aw და ay , რომელთაც ხშირად მრუდის კონტრაქცია. დიფთონგების კონტრაქცია ($aw > \bar{o}$, $ay > \bar{e}$) დაიწყო უკვე კლასიკურ არამეულში და შემდგომ სულ უფრო ძლიერდებოდა. კონტრავირებული და უკონტრაქციო ფორმები ერთდროულად იხმარება არამეული ენის ისტორიის თითქმის მთელ მანძილზე. ასე, მაგალითად, მამრ. სქესის სახელთა დაბოლოება მრ. რიცხვში $-ay$ დაცულია ბიბლიის არამეულსა და ეგვიპტურ-არამეულში (status emphaticus-ში $-ayya$, იხ. § 3.2.8), მაგრამ სუფიქსების წინ $ay > \bar{e}$; სირიულში კი სახელების დაბოლოება st. emph.-ში $ayy\bar{a} > \bar{e}$, მაგრამ სუფიქსების წინ ay დაცულია (შდრ. ბიბლ. არამ. $malkayy\bar{a}$ და სირ. $malk\bar{e}$ „მეფეები“, მაგრამ ბიბლ. არამ. $r\acute{a}\acute{s}\acute{e}h\bar{o}m$ „მათი თავები“ $< *r\acute{a}\acute{s}ayh\bar{o}m$ და სირ. $malkayh\bar{o}n$ „მათი მეფეები“). სირიულში ღია მარცვალში დიფთონგები შენახულია, დახურულ მარცვალში კი ხდება მათი მონოფთონგიზაცია \bar{o} -დ და \bar{e} -დ ($yawm\bar{a}$ „დღე“, st. cs. $y\bar{o}m$, $bayt\bar{a}$ „სახლი“, st. cs. $b\bar{e}\acute{t}$). მანდეურში \bar{e} და \bar{o} , მიღებული ay -ისა და aw -ის კონტრაქციით, ზოგჯერ გადადის \bar{i} -სა და \bar{u} -ში: $ayn\bar{a}$ „თვალი“ გვხვდება ina -ს სახით ($*ayn\bar{a} > \bar{e}n\bar{a} > ina$), $lilya$ „ღამე“ $< *l\bar{e}ly\bar{a} < layl\bar{a}$, $y\bar{u}ma$ „დღე“ $< y\bar{o}m\bar{a} < yawm\bar{a}$.

2.5. მ ა ხ ე ი ლ ი ძველ არამეულში, როგორც წესი, ბოლო მარცვალზეა. გამონაკლისს შეადგენდა ნაცვალსახელები, ნაცვალსახელები და რიგი ფორმათმწარმოებელი სუფიქსები, აგრეთვე მეორეული წარმოშობის მარცვლები, მიღებული მეშველი ხმოვნების

¹² Mand. Gramm., 21, § 20.

განვითარების შედეგად: qáyiṭ „ზაფხული“ < *qayṭ (როგორც ძველ ებრაულში). სირიულ ენაში მახვილმა ჯდმოინაცვლა ბოლოდან პენულტიმაზე (შდრ. სირ. yáwmiṯ და ბიბლ. არამ. yōmīn „დღეები“). მაგრამ მოგვიანებით მახვილი რიგ შემთხვევებში (მაგალითად, ბოლოკიდურ დახურულ მარცვალში) დაუბრუნდა ძველ ადგილს, ე. ი. ბოლო მარცვალს (yawmīn < yáwmiṯ).

მახვილი არამეულში ექსპირაციულია და ხშირად იწვევს ხმოვანთა რედუქციას. რედუქცია მოუღის მოკლე ხმოვნებს მახვილის წინა ღია მარცვალში: *qatála „მოკლა“ > qʾtal, qatalahū/ī „მან მოკლა იგი“ > qatleḥ. მხოლოდ მანდუურს დაუცავს ცალკეულ შემთხვევაში ეს ხმოვნები: qudam „წინ“ (შდრ. ბიბლ. არამ. qōdām და სირ. qōdām).

2.6. ფ ო ნ ე ტ ი კ უ რ ი მ ო ვ ლ ე ნ ე ბ ი დ ა ნ, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ხ შ უ ლ თ ა ს პ ი რ ა ნ ტ ი ზ ა ც ი ა, რომელიც ახასიათებს თითქმის ყველა არამეულ დიალექტს და მდგომარეობს წინამავალი ხმოვნის (მათ შორის ულტრამოკლე ხმოვნის) შემდეგ ხშული თანხმოვნის ნაპრალოვან წარმოთქმაში. სპირანტიზაცია, როგორც ჩანს, არამეული ენის ადრეულ საფეხურზე უნდა ჩასახულიყო, მაგრამ მკვიდრი ადგილი მან კლასიკურ არამეულში მოიპოვა. ზოგიერთი სემიტოლოგის (მაგალითად, როზენტალის¹³) აზრით, b g d k p t ხშულების სპირანტიზაცია ხმოვნებისა და, ღიფთონგების შემდეგ, რაც კარგადაა ცნობილი ბიბლიური ტექსტებიდან, მოქმედებდა ძვ. წ. VI საუკუნეიდან. სამწუხაროდ, ამ მოვლენის დათარიღება ძნელია, რადგანაც ის არ ასახულა გრაფიკაში. მასზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს არამეული სიტყვების უცხოური ტრანსკრიფციები (მაგალითად, ბერძნული, ლათინური, სომხური), მაგრამ ეს მონაცემები ხშირად წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. სავსებით დასაშვებია, რომ ხშულების სპირანტიზაციის მოვლენა, რომელიც, ისე როგორც ებრაულში, მტკიცე წესად იქცა მასორეტული დიაკრიტიკული ნიშნების შემოღებამდე დიდი ხნით ადრე, კლასიკური არამეული ენის ფარგლებში ჯერ კიდევ სუსტად ან სულაც არ მოქმედებდა.

უფრო მეტი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საშუალო არამეულში (ჩვენი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის მეორე ნახევარი) ხშულის პოზიცია ხმოვნის შემდეგ წარმოადგენს მისი სპირანტიზაციის აუცილებელ მიზეზს: b > ḅ, g > ḡ, d > ḏ, k > ḵ, p > ḥ, t > ṭ (ასე,

¹³ Fr. Rosen thal, A Grammar of Biblical Aramaic, გვ. 13, § 15.

მაგ., gabrā „კაცი“ <*gabrā, paḡra „სხეული“ <*paḡrā, ʔidā, „ხელი“ <*yʔdā, dʔkar „მოიგონა“ <*dʔkar და ა. შ.). სპირანტიზებულ თანხმოვანთა წარმოთქმა დაცულია წინამავალი ხმოვნების ამოვარდნის შემდეგაც (dahḫā „ოქრო“ <*dah-(ʔ)ḫā <*dahahā, შდრ. ებრ. zāhāḫ და არაბ. ḡahab). მაგრამ გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც წინამავალი ხმოვნების დაკარგვის შემდეგაც „აღდგება“ სპირანტიზებული თანხმოვნების თავდაპირველი წარმოთქმა. ასე ემართება ხშირად მდედრობითი აქესის სახელთა დაბოლოებას st. emph.-ში -tā-ს (-tā>-tā>-tā) სირიულში: bʔtūltā „ქალიშვილი“ ნაცვლად bʔtūltā-სი (<*bʔtūltā). ზოგიერთ დიალექტში, როგორც ამას ბიბლიის არამეული ენა ადასტურებს, სპირანტიზაცია გავრცელდა დიფთონგების მომდევნო ხშულებზეც: შდრ. ბიბლ. აარამ. baytā და სირ. baytā „სახლი“¹⁴.

საშუალო არამეულის დიალექტებში შეინიშნება სპირანტიზებული ხ-ს w-ში გადასვლის ერთეული შემთხვევები; ასე, მაგალითად, სირ. rawʔḫānē, მანდ. rurbia (მაგრამ ბიბლ. აარამ. rabʔḫānin) „დიდებულები“; მანდ. ʔwd დაღუპვა“ ნაცვლად ʔbd-სი და ზოგი სხვა.

თანხმოვანთა გ ე მ ი ნ ა ც ი ა არამეულ ენაში ჩვეულებრივი მოვლენაა; მაგრამ, არაბულისაგან განსხვავებით და ებრაულის მსგავსად, აქ ყველა თანხმოვანი არ ორკეცდება. მასორეტული ტრადიციის თანახმად, ბიბლიის არამეულში არ ორკეცდებიან ფარინგალი და ლარინგალი თანხმოვნები და r. ამის დადგენა, თუ როდის წარმოიშვა ეს მოვლენა, ძნელია (ლენდერი უშვებს თანხმოვნის გაორკეცების შესაძლებლობას ეგვიპტურ-არამეულში)¹⁵. აღმოსავლურ სირიულში არ ორკეცდება ʔ და r. ამასთანავე, რიგ შემთხვევებში გემინაციის სანაცვლოდ შეინიშნება წინამავალი ხმოვნის საკომპენსაციო გაგრძელება: ბიბლ. აარამ. mʔḫārāk <*mʔbarrak „კუთხეულა“, mēʔarā <*miʔarā <*min ʔrā „მიწიდან“, სირ. gērā <*gi/ar-rā „ისარი“. იქ, სადაც საკომპენსაციო გაგრძელება არ ხდება, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გემინაცია დაცულია, მაგრამ გრაფიკულად არაა ასახული (როგორც c, ḫ, h-ს შემთხვევაში ბიბლიის არამეულში).

არამეული ენისათვის დამახასიათებელია გემინატების დისიმილაცია, რომელიც გვხვდება სხვა სემიტურ ენებშიც (განსაკუთრებით

¹⁴ შდრ. G. Bergsträsser, Einführung in die semitischen Sprachen, Darmstadt, 1963, გვ. 62.

¹⁵ P. Leander, დასახ. ნაშრ., გვ. 21, § 9, b.

აქადურის ბაბილონურ დიალექტში): გემინატის პირველი ელემენტი მონაცვლეობს n თანხმოვანთან (ბიბლ. არამ. tinda < tidda „შენ გაიგებ“, ეგვიპტ. არამ. knkr < kakkar „ტალანტი“ (წონის ერთეული)“, აღმ. სირ. ganbārā < gabbārā „გემირი“. ეს მოვლენა განსაკუთრებით ხშირია მანდეურში, სადაც გაორკეცებული მჟღერი ხშულები მარტივდება ნაზალიზაციის ხარჯზე: tangara „ვაჭარი“ < taggārā, Cumba „უბე“ < Cubbā და ა. შ.).

არამეულ დიალექტებში შეინიშნება გემინატის სრული გამარტივების (ნაზალიზაციის გარეშე) შემთხვევებიც. მაგალითად, დასავლურ სირიულში თანხმოვანთა პირველადი გაორკეცება მოშლილია, მაშინ როცა აღმოსავლურ სირიულში ის ჯერ კიდევ დაცულია: აღმ. სირ. lebbā, დას. სირ. lēbō „გული“. გემინაციის მოშლა ჩვეულებრივი მოვლენაა მანდეურ ტექსტებში¹⁶. გემინატი, პირველ რიგში, მარტივდება თანხმოვნების წინ, რაც ულტრამოკლე ხმოვნების დაკარგვასთანაა დაკავშირებული; სირ. reggā < reggō ʾā „სიხარული“, bezta < bezzō ʾā „ნადავლი“.

თანხმოვანთა ასიმილაციისა და დისიმილაციის შემთხვევები უძველეს არამეულ ნაწერებშიცაა დამოწმებული, რომ არაფერი ვთქვათ უფრო მოგვიანო ხანის არამეულ დოკუმენტებზე. მაგალითად, უძველეს ეპიგრაფიკულ ძეგლებში დაცულ შემთხვევათაგან აქ დავასახელებთ სონორი n-ს ასიმილაციას მომდევნო თანხმოვანთან — ფაქტს, რომელიც დამახასიათებელია ებრაული ენისათვის (იაჟდ. ytn < yntn „აძლევს“, ჰადადისადმი მიძღვნილი წარწერა), მაგრამ იგი არათანამიმდევრულადაა გატარებული, რაც კარგად ჩანს ამავე წარწერიდან ამოღებული მეორე მაგალითიდან: Inṣb (ასიმილაციის შემთხვევაში გვექნებოდა lṣb). თანხმოვანთა დისიმილაციის მაგალითად უძველეს არამეულ წარწერებში გამოდგება სიტყვა yktlwk (ნერაბის წარწერიდან), მიღებული *yqtlwk-ისაგან.

როგორც სხვადასხვა წარმომავლობის არამეული ძეგლები გვიჩვენებს, თანხმოვანთა ასიმილაცია ფართოდ გავრცელებულია ყველა დიალექტში. იგი განსაკუთრებით ხეება დენტალებს (d, t, n), რომლებიც სხვა თანხმოვნებთან უშუალო მეზობლობაში ემსგავსებიან მათ როგორც პროგრესული, ისე რეგრესული მიმართულებით: ეგვ. არამ. ʾzdhrw < ʾzthrw „გაუფრთხილდით თავს!“ (zt > zd), სადაც რეფლექსივის თემის ნიშანი t ემსგავსება პირველ ძირეულ თან-

¹⁶ Mand. Gramm., 37, § 39.

ხმოვანს, ეს შოვლენა წესად იქცა სირიულ ენაში, რამაც გრაფიკა-შიც კპოვა ასახვა: ʾeṣṭleḥ „ჯვარცმულ იქნა“ (<ʾeṣṭleḥ (ṣt>ṣt), ʾezdahī „იყო განდიდებული“ (zt>zd). სირიულში რეფლექსივის იმავე t ნიშანთან სრული ასიმილაცია მოუღის კაუზატივის ʾ პრეფიქსს, რის შედეგადაც ვიღებთ გოარკეცებულ თანხმოვანს ft (tʾ>tt): ʾettaqal < *ʾetʾaqal „მან თავი მოაკვლევინა“. სირიულში დასტურდება ორი ზმნა, რომელთა ნაწარმოებ ფორმებში სონორი l სრულ ასიმილაციას განიცდის დენტალ სპირანტებთან z და s-სთან: ʾezal „წავიდა“ და sʾleq „ავიდა“ (ʾāzzīn „წამსვლელნი“ < *ʾāzʾlīn, nessaq „ის აღის“ < *neslaq).

nsq ზმნაში თანხმოვანთა ხსენებული ასიმილაცია (sl>ss) უფრო ადრეული ძეგლებიდან დამოწმებულია ბიბლიურ ტექსტებში: კაუზატივი, 3 პ. მრ. რ. hassīqū, კაუზატივის პასივი 3 პ. მხ. რ. hus-saq (< *haslīqu, *huslaq).

სირიულიდან შეიძლება სხვა მაგალითების მოტანაც, სადაც არა მარტო ზემოთ ნაჩვენები დენტალები, არამედ სხვა თანხმოვნებიც, ანალოგიურ შემთხვევებში გადადიან სათანადო მკლერ და ყრუ კორელატებში. იგივე ვითარებაა მანდუურშიც, თუმცა მანდუური დამწერლობა ბევრად უფრო კონსერვატიულია, ვიდრე წარმოთქმა¹⁷. მანდუურში შეინიშნება აგრეთვე n-ს m-ში გადასვლის შემთხვევები ლაბიალური თანხმოვნის ხ-ს წინ. ასე იქცევა ჩვეულებრივ ინფიქსალური თანხმოვანი¹⁸.

რეგრესული ასიმილაციის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ პრეფიქსალური t-ს (რეფლექსივის ნიშანი) ასიმილაცია მომდევნო დენტალთან სირიულში, აგრეთვე ცალკეული შემთხვევები, სადაც ასიმილირებად თანხმოვნად გვევლინება სონორი n. ამ უკანასკნელის მაგალითებს ვპოულობთ ისეთ ძველ არამეულ დიალექტებშიც კი, როგორიცაა ეგვიპტის არამეული (ʾtt „ქალი“ ʾntt-ს გვერდით, ḫṭn ~ ḫnṭn „ხორბალი“), ბიბლიის არამეული (ზმნებში npl „დაცემა“ და ntn „მიცემა“: yittʾninnah „ის აძლევს მას“, yippel „ის ვარდება“). მსგავსი შემთხვევები გახშირდა საშუალო არამეულში, განსაკუთრებით სირიულში (სირ. ʾappeq „მან გამოიყვანა [იგი]“ < *ʾanpeq (ʷnpq); gabbā „მხარე“ < *ganbā; ʿp̄petā „ვაზი“ < *ʿp̄pentā).

¹⁷ Mand. Gramm., 58, § 40; შდრ. აგრეთვე N ö l d e k e, Syrische Grammatik, Darmstadt, 1963, გვ. 15, § 22.

¹⁸ R. M a c u c h, Altmandäische Bleirollen, I (Fr. Altheim—R. Stiehl; Die Araber in der Alten Welt, IV, Berlin, 1961), გვ. 103.

თანხმოვნის რეგრესული ასიმილაცია დასტურდება მანდეურშიც (ath „ქალი“ < *n̥th)¹⁹.

თანხმოვანთა ასიმილაციასთან ერთად არამეულში (ძირითადად სირიულში) გვხვდება ხმოვანთა ასიმილაციის (ე. წ. ხმოვანთა ჰარმონიის) შემთხვევები: სირ. ineq „წოდა ძუძუს“ < inaq (< *ȳnaq), šaḥā „ხელება“ < *šaḥā; განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფუძის გადახმოვნება, რომელსაც ადგილი აქვს თანხმოვანთა თავმოყრის შემთხვევაში ორი მარცვლის მიჯნაზე ხმოვნის რედუქციის დროს: სირ. ʕmurta „ნახშირი“ < *ʕumr̥tā.

თანხმოვანთა დისიმილაციის მაგალითებიდან შეიძლება დავასახელოთ q-ს გადასვლა k-ში ემფატიკური ო-ს წინ ეგვიპტის არამეულში (kšph „მისი რისხვა“ < qšp, kšyr „მკა“ < qšyr); საერთოარამ. ḥ(>ḥ) სიტყვაში mh) „ცემა“ < *mḥ (შდრ. ებრ. mḥš, არაბ. mḥd); C...(>)...C სირიულ სიტყვაში *C(ēā)elCā „ნეკნი“ (შდრ. ებრ. šēlaC); შდრ. აგრეთვე სირ. lamṭā ~ namṭā „ქეჩა“ < სპარს. namat, zabnā „დრო“ < zamnā და სხვ.

ხშირად დისიმილაციის ნიადაგზე თანხმოვნები იკარგვის: სირ. šēšaltā „ჩაქვი“ < *šēšeltā, ḥḏāḏē „ერთმანეთი“ < ḥḏḥḏ-ē.

არამეულ დიალექტებში ცნობილია აგრეთვე ხმოვანთა დისიმილაციის შემთხვევებიც. მათ ეკუთვნის ძველი არამეული (ეგვიპტ. არამ., ბიბლ. არამ.) ū...ū>ū...ī, როგორც, მაგ., ʔḥūhī „მამამისი“ < *ʔḥūhū; შდრ. აგრეთვე სირ. šāʔēmōn „სოლომონი“ < ებრ. šāʔōmō და ზოგიერთი სხვა.

თანხმოვანთა მეტათეზისის შემთხვევათაგან ზოგიერთი საერთოარამეული ხასიათისაა. ასეთია, მაგალითად, ყველა ძველ არამეულ დიალექტში რეფლექსივის მაწარმოებლის t-ს მეტათეზისი დენტალეზთან და ალვეოლარ სპირანტებთან (ეგვიპტ. არამ. yštīḥ „გაგზავნილ იქნება“ < šīḥ „გაგზავნა“, ბიბლ. არამ. mištakkal „მეთვალყურე“ < ški „თვალყურის დევნება“, სირ. ʔestḥar „ის ჭეჩვენება“ < sbr „დაიმედება“ და სხვ. აქვე შეიძლება დავასახელოთ r>rc სიტყვაში tarC „კარი, კარიბჭე“ < tarC (შდრ. ებრ. šaCar და არაბ. taḡr), rgl>lgr მანდეურ სიტყვაში ligra „ფეხი“, რომელიც ჯერ კიდევ ფანამუ II-სადმი მიძღვნილ წარწერაშია დამოწმებული (lgr). მეტათეზისის შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია მანდეურში: nhq „დახრჩობა“ < hnq, arqba „მორაელი“ < <qrh, ʔarbk „დაჩოქება“ < brk, Cuhra „გზა“ < ʔurḥā და yahra „თვე“ < yarḥā და სხვა.

¹⁹ R. Macuch, დასახ. ნაშრ., გვ. 103 და 195.

ძველ არამეულ დიალექტებში დასტურდება სხვა ფონეტიკური პროცესებიც, როგორცაა ბგერების განვითარება და დაკარგვა, ბგერათმონაცვლეობა და სხვ.

3. მორფოლოგია

3.1. სახელო

3.1.1. სახელების წარმოება. სახელადი ფუძეების წარმოება არამეულ ენაში, განსაკუთრებით ძველ არამეულში, საერთოსეპტურ სქემას გასდევს; სახელებზე საუბრისას ზოგადად მხედველობაში აქვთ ყოველგვარი სახელი, გარდა ნაცვალსახელებისა, ე. ი. არსებითი, ზედსართავი, ნაზმნარი და რიცხვითი სახელები. მათ ბევრი რამ აქვთ საერთო და ეს ძირითადად სწორედ ფუძეების წარმოებას ეხება (ზმნური ფუძეების წარმოება, იგულისხმება ზმნის პირიანი ფორმები, არსებითად განსხვავდება სახელადი ფუძეებისაგან).

3.1.1.1. რამდენადაც სემიტური ძირი მხოლოდ თანხმოვნებისაგან შედგება, სახელადი ფუძეები ძირის შემადგენლობის მიხედვით იყოფა ერთთანხმოვნიან, ორთანხმოვნიან, სამთანხმოვნიან და ოთხთანხმოვნიან ფუძეებად. ასევეა დაყოფილი არამეული სახელებიც. მათ უმრავლესობას შეადგენს სხვადასხვაგვარად გახმოვნებული სამთანხმოვნიანი ფუძეები. ამ თვალსაზრისით სახელებს აჯგუფებენ გარკვეულ ტიპებად. ამასთანავე, მათ შორის გამოყოფენ სახელებს, რომლებიც ერთ-ერთი ძირეული თანხმოვნის გემინაციისა ან განმეორების გზით იწარმოება. აღნიშნული ეხება სახელებს, რომლებიც ნაწარმოებია თვით ფუძის ფარგლებში, ე. წ. სახელთა შინაგანი წარმოება. არამეულში, ისევე როგორც საერთოდ სემიტურ ენებში, ადგილი აქვს აგრეთვე სახელადი ფუძეების „გარეგან“ წარმოებასაც—წარმოება აფიქსაციის გზით. რაც შეეხება ხმოვნებს, ფუძეებში გვხვდება მათი როგორც მოკლე, ისე გრძელი სახეობანი, რომლებიც ერთ და ორმარცვლიან სახელად ფუძეებს ქმნიან. სახელთა წარმოების ცალკეული ტიპები, ჩვეულებრივ, მკიდროდაა დაკავშირებული მოცემული სახელების სემანტიკურ მხარესთან. ძველი არამეული მასალების მიხედვით ეს განსაკუთრებით საგრძნობია ფუძეების სუფიქსალური წარმოებისას.

ერთმარცვლიანი ფუძის მქონე სამთახმოვნო სახელებს ამოსავალ ფორმაში აქვთ მხოლოდ მოკლე ხმოვნები (ტიპი $C_1VC_2C_3$). ამ სახით ისინი დაცულია ვოკალური დაბოლოებიან ფორმებში (მრ. რიცხვის, მდგრადი. სქესისა და არტიკლიანი ფორმები): $si\bar{p}\bar{r}\bar{a}$ „წიგნი“, $ga\bar{b}\bar{r}\bar{a}$ „ადაშიანი, კაცი“, $qar\bar{n}\bar{a}$ „რქა“, $mil\bar{h}\bar{a}$ „მარილი“, ბიბლ. არამ. $\bar{a}ar\bar{k}\bar{a}$ „სიგრძე“, სირ. $gu\bar{s}am\bar{a}$ „სხეული“, $ci\bar{g}l\bar{a}$ (მდ. სქ.) „ეტლი“ და ა. შ. იმ ფორმებში კი, სადაც სუფთა ფუძეა წარმოდგენილი (st. abs. და st. cstr. მხ. რიცხვში), შეინიშნება ორი სახის წარმოება: 1) პირველი, გავრცელებული ყველა არამეულ დიალექტში, როდესაც მეორე ძირეულთან სრული ხმოვანია, ხოლო პირველ ძირეულს მოსდევს ულტრამოკლე ხმოვანი (შვა): * abd „მონა“ > $abed$, * $mil\bar{h}$ „მარილი“ > $m\bar{l}ah$, * $gabr$ „კაცი“ > $g\bar{b}ar$ და ა. შ.; 2) მეორე შემთხვევაში კი, რომელიც მხოლოდ ბიბლიის არამეულში შეიმჩნევა, II და III ძირეულებს შორის ჩნდება მეშვიედი ხმოვანი e , რაც იწვევს გარკვეულ ცვლილებას პირველ მარცვალში (როგორც ეს გვაქვს ებრაულში „სელოლატებად“ წოდებულ სახელებში): $q\bar{e}\bar{r}\bar{e}\bar{n}$ „რქა“ < $qar\bar{n}$, $\bar{a}\bar{e}\bar{l}\bar{e}\bar{p}$ „ათასი“ < $\bar{a}alp$, $\bar{a}\bar{e}\bar{h}\bar{e}\bar{n}$ „ქვა“ < $\bar{a}abn$ და ა. შ. ამგვარად, ბიბლიის არამეულში, სხვა არამეული დიალექტებისაგან განსხვავებით, დამოწმებულია პარალელური ფორმები, მიღებული ერთმარცვლიანი სამთახმოვნო სახელებისაგან: $\bar{s}alm$ „ხატი“ > $\bar{s}\bar{e}\bar{l}em$ და $\bar{s}\bar{l}em$. როგორც ცნობილია, ბიბლიური ტექსტებისა და, მათ რიცხვში, არამეული ტექსტების გახმოვნება საკმაოდ გვიანდელია და კეთდებოდა იგი ებრაულთან ერთად. ბიბლიის არამეული ტექსტების სახელთწარმოების შედარება სხვა არამეულ გახმოვნებულ ტექსტებთან ნათელყოფს, რომ სუფთა ფუძეების სახით წარმოდგენილ სახელთა გახმოვნებაში დაცულია ორი ტრადიცია: არამეული და ებრაული. „სელოლატები“ წარმოადგენს ტიპიურ წარმოებას, დამახასიათებელს ებრაული ენისათვის, მაშინ როდესაც ფუძეები რედუცირებული ხმოვნებით I ძირეულთან და სრული ხმოვნებით II ძირეულთან — ტიპიურია არამეული ენისათვის²⁰. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ძველი არამეული ენისათვის, ერთმარცვლიანი სახელადი ფუძეების წარმოებისას, ამოსავლად უნდა მივიჩნიოთ ფუძე, დაცული st. emph.-ში, ხოლო st. abs.-ისა და st. cstr.-ის ფორმებში მოცემული

²⁰ პ. ლეანდერი ასახელებს „სელოლატებს“ ეგვიპტურ-არამეულში, ეყრდნობა რა ბიბლიის არამეული ენის მონაცემებს (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 103—106). ბიბლიის არამეულიდან გამოდის იგი სახელთა წარმოების სხვა ტიპების განხილვის დროსაც (იქვე, §§ 48—59, გვ. 94—114).

ფუძე — მეორეულად (იმავე ტიპისად, რაც ბიბლ. ებრ. $q^{\circ}\tilde{a}l/q^{\circ}\tilde{t}il/q^{\circ}\tilde{u}l$). ერთმარცვლიანი სახელები მეტწილად კონკრეტული მნიშვნელობის მატარებელია („რქა“, „წიგნი“ და მისთ.), იშვიათად — აბსტრაქტულ („სიგრძე“, „ძალა“ და ა. შ.) და რიცხვით („ათასი“) მნიშვნელობასაც გადმოსცემს.

ორმარცვლიანი სამთანხმოენიანი ფუძეების სტრუქტურის შესახებ მსჯელობისას უნდა აღინიშნოს, რომ მათი ნაწილი, სახელდობრ, ფუძეები ორივე მარცვალში პირველადი მოკლე ხმოვნებით ($C_1V_1C_2V_2C_3$) სავსებით ემთხვევა ერთმარცვლიან სახელებს. ორმარცვლიანი ფუძეების ყველა სხვა ტიპი კი შეიცავს გრძელ ხმოვნებს (გრძელი ხმოვანი ერთ-ერთ მარცვალშია: $C_1\bar{V}_1C_2V_2C_3$, $C_1V_1C_2\bar{V}_2C_3$; გრძელი ხმოვნები ორივე მარცვალში: $C_1\bar{V}_1C_2\bar{V}_2C_3$). სახელადი ფუძეების წარმოება ამ ნიმუშების მიხედვით ხშირია და გამოსატყვის მათ მნიშვნელობათა დიდ მრავალფეროვნებას. ასე, მაგალითად, $qa\tilde{t}al/q\tilde{t}al$ ჩვეულებრივ გადმოსცემს კონკრეტულ არსებით სახელებს: $dah\tilde{b}-\bar{a}$ (st. cs. $d^{\circ}hab$) „ოქრო“ < * $dahab$ (შდრ. არაბ. $dhahab$), $zimm-\bar{a}$ „ღრო“ (st. cs. $z^{\circ}man$) < * $ziman$ (შდრ. არაბ. $zaman$, აქდ. $sim\bar{a}nu$), $gaml-\bar{a}$ „აქლემი“ (st. cs. $g^{\circ}mal$) < * $gamal$ (შდრ. არაბ. $\check{g}amal$). ტიპი $qa\tilde{t}il$ უმეტეს შემთხვევაში გამოსატყვის ზედსართავეებს: სირ. $gar\tilde{b}-\bar{a}$ „კეთროვანი“ (st. cs. $g^{\circ}reb$) < * $garib$, $da\check{y}\bar{a}$ „სუფთა“ (ბიბლ. არამ. $d\check{a}k\bar{i}$, ეგვ. არამ. zky) < $dakiy$. ფუძეები გრძელი ხმოვნებით $qa\tilde{a}l$ და $q\tilde{a}l$, ისე როგორც $qa\tilde{t}al/q\tilde{t}al$ აღნიშნავს კონკრეტულ სახელებს ($\check{a}at\bar{a}n$ „ქაკი ვირი, ხრდალი“, $d^{\circ}\check{c}\bar{a}r-\bar{a}$ „ხელი“ < * $da\check{c}\bar{a}r$), ხოლო $qa\tilde{t}il$, რომელიც გადადის $q^{\circ}\tilde{t}il$ -ში, ჩვეულებრივ აწარმოებს ზედსართავეების ფუძეებს, ასევე ვნებითი გვარის მიმღებებს: $b^{\circ}a\check{i}\bar{n}$ „ბოროტი, ავი“, $\check{a}ri\check{k}$ „გრძელი“, $k^{\circ}\check{i}\bar{n}$ „დაწერილი“ და ა. შ.

აბსტრაქტულ სახელთა გამოსახატავად ხშირად იხმარება ტიპი $qa\tilde{a}l > q^{\circ}\tilde{a}l$: $p^{\circ}\check{t}\bar{a}y$ „სიფართოვე“. გვაქვს სახელადი ფუძეების სხვა ნიმუშების მიხედვით წარმოების შემთხვევებიც, როგორცაა $qi-\tilde{t}\bar{a}l$, $qa\tilde{u}l$, $qu\tilde{t}ul$, აგრეთვე პირველი ხმოვნის რედუქციით ($q^{\circ}\tilde{t}\bar{a}l$, $q^{\circ}\tilde{t}\bar{u}l$): $h^{\circ}m\bar{a}r$ „სახელდარი“ (არაბ. $him\bar{a}r$), $l^{\circ}\check{h}\bar{u}\bar{n}$ „ტანისამოსი“ და სხვ.

ძირეულთა გემინაციის გზით მიღებულია ტიპები $C_1V_1C_2C_2V_2C_3$ და $C_1V_1C_2C_2\bar{V}_2C_3$, ე. ი. ორმარცვლიანი სახელები მოკლე ხმოვნით პირველ მარცვალში და მოკლე ან გრძელი ხმოვნით — მეორეში. ასეთებია: $qit\tilde{t}\bar{a}l$, $qa\tilde{t}\bar{t}al$, $qit\tilde{t}\bar{a}l$, $qit\tilde{t}\bar{u}l$, $qa\tilde{t}\bar{t}\bar{a}l$, $qa\tilde{t}\bar{t}\bar{u}l$, $qa\tilde{t}\bar{t}\bar{u}l$, $qit\tilde{t}\bar{u}l$, $qa\tilde{t}\bar{t}\bar{a}l$. აქედან ფუძეები ორი მოკლე ხმოვნით წარმოქმნიან კონ-

კრეტულ სახელებს (Ბayyal „ირემი“, Ბippar „ფრინველი“, ეგვ. არამ. Ბnp̄r [Ბinpar]), ფუძეებს გრძელი ხმოვნებით კი იყენებენ ზედსართავი სახელების, განსაკუთრებით ნაზმნარი ზედსართავების წარმოებისას: qat̄il: qarrīḥ „ნათესავი“ (<„ახლობელი“), Cammūḏ „მეისრე“. qat̄īl ჩვეულებრივ გამოხატავს nomen agentis-ს, განსაკუთრებით პროფესიის სახელებს: dayyān „მოსამართლე“. ტიპები qit̄ūl და qut̄ūl უმრავლეს შემთხვევაში აბსტრაქტული მნიშვნელობის მატარებელია: bizzūz „გაძარცვა“, rukkāḥ „შედგნა“, qit̄īl კი — კონკრეტულსა: liššān „ენა“, Ciqqār „ფესვი“.

ძველ არამეულ ენაში გვხვდება აგრეთვე ფუძეები, რომლებშიც მეორდება III ძირეული (qat̄ilūl.: zaᲑrūr „შინდი“, qat̄il: zah-rīr-ā „სხივი“) ან ორი უკანასკნელი ძირეული (სირ. ᲑāmluᲑm-ā „სრული; სრულყოფილი“).

რიგი სახელები შეიცავს ო რ თ ა ხ მ ო ვ ნ ი ა ნ ძირებს, რომელთა ფუძეებში გვხვდება როგორც მოკლე, ისე გრძელი ხმოვნები (C_1VC_2 და $C_1\bar{V}C_2$). ორთანხმოვნიანი სახელები მოკლე ხმოვნით ძირითადად ნათესაობას აღნიშნავს: Ბab „მამა“, Ბah „ძმა“, bar „ვაჟიშვილი“; ორთანხმოვნიანია აგრეთვე სახელები Ბil „ღმერთი“, Ciq „ხე“, Ბim/Ბum „სახელი“; გრძელი ხმოვნებით: ᲑiᲑ „ადამიანი“, nūn „თევზი“ და ზოგიერთი სხვა. აქვე უნდა დავასახელოთ სახელები გემინირებული ძირეულებით ($C_1VC_2C_2$): qall: kapp „ხელი“, qill: libb „გული“; qull: kull „ყველა, ყოველი“ და ა. შ. შეინიშნება ორთანხმოვნიანი ფუძეების რედუპლიკაციის შემთხვევებიც: kankar „ქანქარი“ <karkar.

ო თ ხ თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ი ა ნ ფუძეებს, რომელთა შორის განსაკუთრებით ხშირია ცხოველთა სახელები, აქვთ სტრუქტურა $C_1aC_2C_3aC_4$, როგორცაა Caqrab „მორიელი“, Caqbar „თაგვი“. ჩვეულებრივ აქვე შემოაქვთ სახელები, რომლებშიც პირველი ძირეული ალფეია, გაჩენილი სამთანხმოვნიანი სახელის თავში ენის განვითარების ადრეულ საფეხურზე, როგორც ᲑarbᲑ-ā „ოთხი“ (შდრ. ებრ. ᲑarbaᲑ „ოთხი“ და reᲑaᲑ „მეოთხედი“) <ᲑrbᲑ.

ე რ თ თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ი ა ნ ა დ ი თ ვ ლ ე ბ ა ძ ი რ ი ს ი ტ ყ ვ ი ს ა pumᲑ „პირი“ (ეგვ. არამ. pm), სადაც m ძირეული არ უნდა იყოს (შდრ. ებრ. pē „პირი“, არაბ. fī წინდ. „-ში“).

3.1.1.2. სახელადი ფუძეების წარმოებას აფიქსაციის გზით ადგილი ზქვს არამეული ენის არსებობის მთელ მანძილზე. ამასთან აფიქსებს სრულიად გარკვეული სიტყვათმწარმოებელი მნიშვნელობები აქვთ.

პრეფიქსებიდან დამოწმებულია: -, h-, m-, t-. მაწარმოებელი ა არამეულში გაცილებით უფრო იშვიათად გვხვდება, ვიდრე სხვა სემიტურ ენებში. ასეთად ჩანს ა სიტყვაში ʾawṣrā (იუდ. არამ. ʾwṣrā, ეგვ. არამ. ʾwṣr) „განძი“, ანდა ა მაწარმოებელი სიტყვაში ʾuṣṣarnā (ეგვ. არამ. ʾṣrn) „მოწყობილობა (ბინის)“²¹. h გამოიყოფა სიტყვაში haymanūtā (ეგვიპტ. hymnw) „რწმუნა“. განსაკუთრებით ხშირად დასტურდება პრეფიქსალური თანხმოვანი m, რომელიც იხმარება a და i ხმოვნებთან ერთად (ma-, mi-). იგი აწარმოებს იარაღის აღმნიშვნელ სახელებს (masmar/mismar „ლურსმანი“), ასევე მოქმედების ადგილის სახელებს (miḏbaḥ „სამსხვერპლო“ <dbḥ „მსხვერპლის შეწირვა“, masgʾdā „ტაძარი“ <sgd „თაყვანისცემა“) და სხვ. იგივე თავსართები აწარმოებს ნახმნარ სახელებსაც (ინფინიტივებსა და მიმღებებს)²². მაწარმოებელი პრეფიქსია აგრეთვე t(ta-), რომელიც უმთავრესად ინფინიტივებთან გვხვდება. იხმარება იგი აბსტრაქტული და კონკრეტული სახელების საწარმოებლადაც (შდრ., მაგალითად, ეგვ. არამ. tkwnh „მოწყობილობა“, სირ. tal-miḏā „მოწაფე“).

უფრო მრავალფეროვანია სიტყვაწარმოებითი სუფიქსები. მათ რიგს ეკუთვნის: -ān, -in, -ōn, -it, -ūt, -āy. სუფიქსი -ān აწარმოებს: ა) აბსტრაქტულ სახელებს (მოქმედების სახელებს), როგორცაა ḥuṣḥān „ანგარიში, თვლა“ (<ḥṣb), ṣalṭān „ბატონობა“ (<ṣlt); ბ) კონკრეტულ სახელებს, როგორცაა ʾilān „ხე“ (<ʾly); გ) ზედსართავეებს: raḥmān „მოწყალე“ (<rḥm); -in და -ōn სუფიქსებით ნაწარმოები სახელები: sakkīn „დანა“ (<skk), diḡrōn-ā „მოგონება“ (<dkr), აგრეთვე კნინობითი მნიშვნელობისა, როგორცაა, მაგალითად, kʾṭāḥōn-ā „პატარა წიგნი“, „წიგნაკი“ (შდრ. kʾṭāḥā „წიგნი“). სუფიქსი -it (ან -i st. abs.-ში) გვხვდება ზოგიერთ აბსტრაქტულ და კონკრეტულ სახელში, როგორცაა ʾaḥīṭīṭ „დასასრული, ბოლო“. სუფიქსი -ūt (st. abs.-ში -ū) ძირითადად აბსტრაქტულ სახელებს აწარმოებს: malkūt „მეფობა“, „ბატონობა“ <malk-ā „მეფე“. გ. ბერგშტრესერის მიხედვით, ეს ფორმანტი შეიძლება ნასესხები იყოს აქადურიდან და არამეულის გზით შესული სხვა სემიტურ ენებში²³. სუფიქსი -āy ფართოდ იხმარება მიმართებით სახელთა საწარმოებლად: ʾarināy-ā „არამელი“, parsāy-ā „სპარსელი“. იგი-

²¹ შდრ. Leander, დასახ. ნაშრ., გვ. 84.

²² იხ. ქვემოთ „ზმნა“, გვ. 67—68.

²³ Bergsträsser, დასახ. ნაშრ., გვ. 69.

ვე სუფიქსი აწარმოებს რიგობით რიცხვით სახელებსაც: qadmäy-ä „პირველი“, rñĭčāyĭä „მეოთხე“ (მდ.) და ა. შ.

8.1.1.8. სირიულში დასტურდება სახელები რთული ფუძეებით (კომპოზიტები), რაც არაა დამახასიათებელი სემიტური ენებისათვის, და მათ რიცხვში, ძველი არამეულისთვისაც. მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ სიტყვა bēṭ qñr-ä „საფლავი“ (მრ. bēṭ qñr-r-ē „სასაფლაო“), რომელიც გენეტიურ კონსტრუქციას წარმოადგენს (ზუსტ. „საფლავის სახლი, ადგილი“) და მისთ.

8.1.2. სახელის ფლექსია. არამეული სახელი არჩევს ორ სქესს (მამრობითსა და მდედრობითს), რიცხვის სამ ფორმას (მხოლოდობით, ორობითსა და მრავლობითს) და სახელის სამ მდგომარეობას (აბსოლუტურს, მართულსა და განსაზღვრულს).

8.1.2.1. ბრუნების საკითხისათვის. ბრუნვათა დაბოლოებანი, რომლებიც სემიტურ ენებში ხმოვნებით გამოიხატება (მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, მოკლე ხმოვნებით) არამეულ ენაში არ შენახულა. გამოჩნდა იაუდის წარწერები, სახელდობრ, ფანამუ I-ის წარწერაში დასტურდება სიტყვა ἰlh „ღმერთები“, რომელიც წარმოადგენს მრ. რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმას, სადაც w გადმოსცემს გრძელ ἰ-ს — მამრობითი სქესის სახელთა სახელობითი ბრუნვის საერთოსემიტურ ნიშანს მრ. რიცხვში. ამავე წარწერაში გვხვდება ხსენებული ფორმისგან განსხვავებული მრავლობითი რიცხვის ირიბი ბრუნვის ფორმა—ἰhy, milky, სადაც y გადმოსცემს მამრ. სქესის სახელთა ნათესაობითი და ბრალდებითი ბრუნვების საერთოსემიტურ ნიშანს მრ. რიცხვში—გრძელ ἰ-ს (აქედან—milky „მეფეებისა“, ἰhy „ღმერთებისა“). რაც შეეხება ბრუნვათა დაბოლოებებს მხ. რიცხვში, რამდენადაც ისინი სემიტურ ენებში მოკლე ხმოვნებით გადმოიცემა, ხოლო ეს უკანასკნელი კონსონანტურ ტექსტებში არ აისახება, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ისინი ხსენებულ ძეგლებში არ დასტურდება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მეცნიერი (პ. ლეანდერი, თ. ნელდკე და სხვ.) ცდილობს ხმოვნებში, რომლებიც აab „მამა“ ტიპის „არასწორ“ სახელებში გვხვდება სუფიქსების წინ, ძველი ბრუნვების ფორმანტების ნაშთი დაინახოს. ასეთია ხმოვანი ḿ ნაცვალსახელური სუფიქსების წინ: ḿḥmĭ „შენი (მამრ.) მამა“, ḿḥmĭ „მისი (მამრ.) მამა“ და ა. შ. დასახელებული ავტორების მიხედვით, ḿ არის ნაშთი ძველი სახელობითი ბრუნვისა (შდრ. არაბ. ḥmĭka „შენი მამა“, ḥmĭhu „მისი მამა“ და ა. შ.). იგივე მეცნიერები (პ. ლეანდერი, კ. პროკელმანი) მიცემითი ბრუნვის ფორმანტ a-ს ხედავენ ადგილის ზმნისართებში და ძვ. ებრაული ლო-

კატევის დაბოლოებაში ā (kollā „ყველა“, bārā „გარედან, გარეთ“, 𐌆𐌹𐌸𐌹 „ქვემოთ“ და სხვ.). უნდა ითქვას, რომ ებრაულში -ā ლოკატევის მოქმედი ფორმანტია (შდრ. koll „ყოველი“ და kollā „ყველა“, 𐌆𐌹𐌸 „დღეამიწა“ და 𐌆𐌹𐌸𐌹 „ქვემოთ“ და ა. შ.), მაშინ როდესაც *ṣ*-ში ძნელი საცნობია ბრუნვის დაბოლოება. საესებით დასაშვებია, რომ ბრუნვათა დაბოლოებების დაკარგვა არამეულის განვითარების ადრეულ საფეხურზე მოხდა. რაც შეეხება 𐌆b ტიპის სახელებს, ისინი ასეთივე სახით, ე. ი. გრძელი *ṣ*-თი სუფიქსების წინ, მემკვიდრეობით უნდა შეეთვისებინა არამეულ ენას პროტოსემიტურისაგან. მიმართებანი, რომლებიც ბევრ სემიტურ ენაში ბრუნვების გამოყენებით გამოიხატება, აქ გადმოიკემა ანალიტიკური გზით — გარკვეული ნაწილაკების მოხმობით, რომლებიც არეგულირებენ მოცემულ მიმართებებს. ასეთებია: ნაწილაკი *l*², რომელიც დამატების ბრუნვას (მიცემითი, ბრალდებითი) გამოხატავს, ნაწილაკი *d ~ dī (zī)* გამოხატავს გენეტიურ მიმართებას და ა. შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძველ არამეულში არსებობდა გენეტიური კონსტრუქციის გადმოცემის სამი გზა: 1) ჩვენთვის უკვე ცნობილი *status constructus*-ის საშუალებით (*millat 𐌶lahā* „სიტყვა ღვთისა“), 2) ზემოხსენებული ნაწილაკის *d ~ dī (zī)* დამხმარებით (*millā dī 𐌶lahā* ან *melta dallahā*), 3) რელაციური ნაწილაკისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელური სუფიქსის მეშვეობით (*millateḥ dī 𐌶lahā*, ანდა *melteḥ dallahā*). უკანასკნელმა ორმა საშუალებამ ფართო გავრცელება ჰპოვა გვიანდელ დიალექტებში (მაგ., სირიულში, მანდეურში და სხვ.).

3.1.2.2. ს ქ ე ს ი. არამეულ ენაში არის შემთხვევები, როდესაც გრამატიკული სქესი, რომელიც ემთხვევა რეალურს, გამოიხატება სხვადასხვა სიტყვით (ძირით), მაგალითად, *ḥmr* „სახედარი“, „ვირი“ და *ṯn* „ჭაკი ვირი“. ჩვეულებრივ კი არამეულში მდებრობით სქესს, განსხვავებით მამრობითისაგან, აქვს საგანგებო ნიშანი, რომელიც დაიყვანება მდებრობითი სქესის საერთოსემიტურ ფორმანტამდე—*t*. კონსონანტურ ტექსტებში მდებრობითი სქესის სახელებს აქვთ *t* დაბოლოება, გახმოვნებულ ტექსტებში კი *t*-ს წინ მოკლე *a* ხმოვანი ჩანს (-*at*). მდებრობითი სქესის სახელთა ასეთი დაბოლოება შეესაბამება საერთოსემიტურს (შდრ., მაგ., არაბ. -*at*, ან აქად. -*at*) და შემოინახა სახელის მართულ მდგომარეობაში (ე. წ. *status constructus*-ში): ეგვ. არამ. *brt*, იუდ.-არამ. *bʾrat* „ასული“; *šʾnat* „წელიწადი“; *niddat* „გამოსაღები“; *lʾḥīdat* „სამუშაო,

საქმე“, მაშინ როდესაც status absolutus-ში მდებარეობითი სქესის დაბოლოება აქ გადავიდა \bar{a} -ში (როგორც ეს ხდება ებრაულ ენაში): $\text{\$idq\bar{a}}$ „სამართლიანობა“, $\text{mill\bar{a}}$ „სიტყვა“, $\text{mugill\bar{a}}$ „გრაფილი“, $\text{\$appir\bar{a}}$ „ლამაზი“. ევევიტის არამეულ ტექსტებში დაბოლოება - \bar{a} , მსგავსად ებრაულისა და ბიბლიურ-არამეულისა, გადმოცემულია h-ს სახით: brh (= $\text{br\bar{a}}$) „ასული“, mnh (მდრ. ბიბლ. არამ. $\text{minh\bar{a}}$) „მსხვერპლი“, ash (მდრ. ბიბლ. $\text{ae\text{\$}\text{\$}\bar{a}}$) „ცეცხლი“. $\text{\$nh}$ „წელიწადი“; იშვიათად გვხვდება პალეოცი (h-ს ნაცვლად): იგივე br „ასული“, hnt „ხორბალი“ და სხვ. მდებარეობითი სქესის ნიშანი t, მაგრამ რედუცირებული ხმოვნით, დაუთავს აგრეთვე სახელის არტიკლიან ფორმას, ე. წ. status emphaticus-ს ($\bar{a}\text{t}\text{-}\bar{a}\text{t}$).

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ულტრამოკლე რედუცირებული ხმოვანი მახვილის გავლენით სრულიად იკარგება, ხოლო სპირანტიზებული თანხმოვანი t გადადის ხშულ t-ში. ეს ხშირად ხდება გრძელი ხმოვნის შემტველი მარცვლის შემდეგ: ბიბლ. არამ. $\text{th\bar{i}d\bar{t}\bar{a}}$ „მუშაობა; შრომა“, $\text{\$}\bar{a}\bar{e}\bar{l}\bar{t}\bar{a}$ „თხოვნა“; სირ. $\text{but\bar{t}\bar{a}}$ „ქალიშვილი“, მაგრამ სირ. $\text{malku\bar{t}\bar{a}}$ „დედოფალი“, $\text{cellu\bar{t}\bar{a}}$ „მიზეზი“²⁴. მდებარეობითი სქესისაა აგრეთვე სიტყვები, რომლებიც - $\bar{i}\bar{t}$ (st. abs.-ში - \bar{i}) ან - $\bar{u}\bar{t}$ (st. abs.-ში - \bar{u}) ფორმანტებით ბოლოვდებიან. ესენი ჩვეულებრივ ის სახელებია, რომლებიც მამრ. სქესში \bar{i} -ზე და \bar{u} -ზე მთავრდება, როგორც, მაგალითად, ნისბა: $\text{ar\bar{c}\bar{i}\bar{t}}$ „მიწიერი“ $\langle \text{ar\bar{c}}\text{-}\bar{a}$ „მიწა“, $\text{yh\bar{u}d\bar{i}\bar{t}}$ „ებრაელი“, ანდა სახელები, რომელთაც III ძირეული y ან w აქვთ: $\text{q\bar{a}r\bar{i}\bar{t}\bar{a}}$ „კოჭი, დირე“, $\text{b\bar{a}c\bar{u}\bar{t}\bar{a}}$ „თხოვნა“²⁵. t მდებარეობითი სქესის ნიშნად გვხვდება სიტყვებში, რომელთაც მესამე ძირეული n აქვთ (სირ. * $\text{\$ant\bar{a}}$ $\langle \text{\$ant\bar{a}}$ „წელიწადი“), აგრეთვე სიტყვაში * bart $\langle \text{bart}$ „ასული“ (მდრ. bar „ძე“). მდებარ. სქესის ფორმა გრძელი ხმოვნით - $\bar{a}\bar{t}$ დასტურდება ზოგიერთ ორთანხმოვნიან სახელთან, როგორიცაა $\text{ah\bar{a}\bar{t}}$ „და“ (მდრ. ებრ. $\text{ah\bar{o}\bar{t}}$) $\langle \text{ah}$ „ძმა“; მდებარ. სქესის სხვა დაბოლოებათაგან უნდა დაეასახელოთ -ay (სირ. tenway „პირობა“), - \bar{e} (სირ. $\text{\$esr\bar{e}}$ მეორე დეკადის „10“, რომელიც მდებარეობითი სქესის სახელებთან იხმარება: $\text{ham\text{\$}a\text{\$esr\bar{e}}$ „15“).

არამეულ ენაში გვაქვს შემთხვევები, როდესაც სახელთა უკანასკნელი ძირეული t აღიქმება მდებარეობითი სქესის ნიშნად: სირ. $\text{\$abb\bar{a}}$ „შაბათი“ (st. abs.) \langle ებრ. $\text{\$abb\bar{a}\bar{t}}$, მანდ. $\text{\$uta}$ ($\langle \text{\$uht\bar{a}}$) „უანგი“. ზოგ-

²⁴ ახ. ზემოთ, გვ. 42.

²⁵ - $\bar{i}\bar{t}$ და - $\bar{u}\bar{t}$ სუფიქსიანი სახელების შესახებ იხ. გვ. 50.

ჯერ, პირუკუ, მდებარ. სქესის სახელთა დაბოლოება ძირეულ თანხმონადაა გაგებული: სირ. dūcā „ოფლი“, მრ. dūctē (<ydc), მანდ. buta <bʰcūcā „ლოცვა“ (<bcy). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მდებარობითი სქესის სახელები, რომელთაც სათანადო ნიშნები არ გააჩნიათ და ამ მხრივ არ განსხვავდებიან მამრობითი სქესის სახელთაგან. ასეთ სიტყვათა რიგს ეკუთვნის სხეულის წყვილეულ ნაწილთა სახელები: yad „ხელი“, rʿgal „ფეხი“; სირ. šehcā „თითი“, cayn „თვალი“ (მაგრამ ეგვიპტის არამეულში ისინი მამრობითი სქესისაა); ქალაქებისა და ქვეყნების სახელები, აგრეთვე ეგვ. არამ. arq, ბიბლ. arcā „მიწა“; bʿr „ჭა“, napšā „სული“; ეგვ. არამ. cnz, სირ. cezzā „თხა“; ბიბლ. ʾeben „ქვა“ (ეგვიპტის არამეულში ხი მამრ. სქესისაა), šippar „ფრინველი“ და სხვ. გვხვდება ისეთი სახელებიც, რომლებიც ხან მამრობითი და ხან მდებარობითი სქესისაა (ბიბლ. არამ. და სირ. rūhā „სული“, ბიბლ. არამ. nūr „ცეცხლი“²⁶ და სხვ.).

3.1.2.3. რ ი ც ხ ვ ი. არამეულ ენაში სახელის მრავლობითი რიცხვი გამოხატულია მხოლოდ სუფიქსაციის საშუალებით (ე. წ. სწორი მრავლობითი), თუმცა ზოგიერთ (ერთეულ) შემთხვევაში სახელის ფუძე წარმოადგენს შინაგანი წარმოების მრ. რიცხვის ფორმას (ე. წ. მსხვრეული მრავლობითი, დამახასიათებელი არაბულ სახელთათვის). მრ. რიცხვის დაბოლოებანი გარჩეულია არა მხოლოდ სქესის, არამედ სახელის მდგომარეობის (სტატუსის) მიხედვით. მამრ. სქესის სახელები st. absolutus-ში ბოლოვდება īn-ზე: qīṭrin „კვანძები, ნასკვებები“ <qʿṭar, rēšīn „თავეები“ <rēš. ანალოგიური წარმოება შეინიშნება ძველ არამეულ წარწერებშიც: ʾlhn „ღმერთები“, mlkn „მეფეები“ (სეფ., ზაქ.), თუმცა იაუდის წარწერებში, როგორც ეს ზემოთ იყო ნაჩვენები, īn დაბოლოების ნაცვლად, გვხვდება ū (w): ʾlhw>მრ. რ. ʾlhw, ირიბ ბრუნვაში— ī (y): ʾlhy. īn დაბოლოების ნაცვლად st. emph.-სა და st. cstr.-ში გვხვდება ay, რომელიც ბიბლიის არამეულში st. cstr.-ში კონტრაქციის შედეგად გვაძლევს ē-ს (bʰnē „ვაჟები“, gibbārē „გოლიათები“), st. emph.-ში კი -ā არტიკლის წინ შენახულია ayyā-ს სახით (ორ ხმოვანს შორის ნახევარხმოვანი y-ის გაორკეცებით): šʾmayyā „ცანი“, ginzayyā „განძნი“. გვიან, მრ. რიცხვის დაბოლოებამ st. emph.-ში -ayyā-მ კონტრაქციის შედეგად მოგვცა -ē, პირვანდელი სახით კი მხოლოდ ზოგიერთ ორთანხმოვანი სიტყვაშია წარმოდგენილი (მდრ. სირ. ʾīdā „ხელი“>მრ. ʾīdāyyā,

²⁶ სირიულში nūrā მხოლოდ მდებარ. სქესისაა.

tōdā „მკერდი“ > მრ. tōdayyā), აგრეთვე სიტყვებში III ყ-ით, რომლებშიც მრ. რიცხვის წარმოება დაკავშირებულია აბლაუტთან: სირ. gadya „თხა“ > მრ. gōdayyā. ამასთანავე, სირიულში st. emph.-ში არსებული კონტრაქციის გვერდით st. cstr.-ში დაცულია ბოლოციდური დიფთონგი ay: malkay, b'nay და ა. შ. მდედრ. სქესის სახელები, ისე როგორც სხვა სემიტურ ენებში, აქაც იწარმოება ფორმანტისეული ხმოვნის გაგრძელებით: -at > -āt. ასეა st. cstr.-ში, სადაც დაცულია მდედრ. სქესის სახელთა საერთოსემიტური დაბოლოება -āt: napšāt „სულელები“, malx'wāt „სამეფოები“. -āt დასტურდება st. emph.-შიც, სადაც ამ ფორმანტს უერთდება განსაზღვრული არტიკლი -ā (-ātā): napšātā, malx'wātā.

განსაკუთრებით საინტერესოა მდედრ. სქესის სახელთა მრ. რიცხვის მაწარმოებელი st. abs.-ში, სადაც საერთოსემიტური āt დაბოლოების ნაცვლად გვაქვს ān: ბიბლ. არამ. matt'nān „საჩუქრები“, saggī'nān „ღიღები“ (მდედრ.). დაბოლოება ān მოცემულ სახელთა მრ. რიცხვის ერთადერთ ნიშნად ჩანს st. abs.-ში ყველა შემდეგდროინდელ არამეულ ტექსტშიც. მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, უძველეს არამეულ წარწერებში მოცემულ შემთხვევაშიც (st. abs.-ში) გვხვდება საერთოსემიტური -āt, უკვე ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნის ძეგლში კი — არფადის წარწერაში — ხშირად ხმარებულ t-ს (=āt) შემცველ ფორმასთან ერთად დასტურდება n-იანი (=ān) ფორმაც. ვარაუდობენ, რომ -ān დაბოლოება უნდა გაჩენილიყო მამრ. სქესის სახელთა მრავლობითი რიცხვის ზემოხსენებულ ფორმანტ -īn-ის ანალოგიით²⁷.

არამეულ ენაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მამრობითი სქესის სახელებს დაერთვის მდედრობითი სქესის სახელთა მრავლობითი რიცხვის დაბოლოება. მაგალითად, ბიბლ. არამ. šum „სახელი“ > მრ. š'māhāt (st. cs.), აეšbaC „თითი“ (მამრ. სქ.) > მრ. აეšb'Cān (st. abs.) და პირუკუ, მდედრობითი სქესის რიგი სახელები მრავლობითობას აწარმოებს მამრ. სქესის სახელთა მსგავსად: ბიბლ. არამ. millā „სიტყვა“ > მრ. millayyā (st. emph.), š'nā „წელიწადი“ > მრ. š'nīn (st. abs.), სირ. dārtā „ეზო“ > მრ. dārē (st. emph.). დაბოლოს უნდა აღინიშნოს ისეთი სახელები, რომელთაც ორი ტიპის მრავლობითი აქვთ — მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელთა მსგავსად: სირ. Caynā „თვალი; წყარო“, მრავლობითი Caynātā „წყაროები“ და Caynē „თვალები“.

²⁷ Introduction, გვ. 91—92.

რიგი ორთანხმოვნიანი სახელი მრავლობითი რიცხვის წარმოებთან ასფართოებს ფუძეს: მოცემულ სახელთა მრ. რიცხვის ფუძეში ჩაერთვის თანხმოვანი მესამე ძირეულის სახით. ასეთია თანხმოვანი *h* სიტყვებში *šum* „სახელი“ > მრ. *šʷmāhāṭ*, ბიბლ. არამ. *ʔab* „მამა“ > მრ. *ʔḥāhān* (მდღერ. სქესის დაბოლოებით), სირ. *ʔabāhātā* ~ *ʔabāhē* ან *w* სახელებში *māṭā* „სოფელი“ > მრ. *maṭwāṭā*, *ʔumtā* „ხალხი“ > მრ. *ʔemwāṭā* და სხვ. ფიქსირებულია მრ. რიცხვის გამოხატვის შემთხვევები ფუძის რედუპლიკაციის გზით, მაგრამ მათ სათანადო დაბოლოებებიც დაერთვის: ბიბლ. არამ. *raḥ* „დიდი“, *rabbā* „დიდი“ (მდღერ. სქ.) > მრ. *raḥrḥīn* და *raḥrḥān* (სირ. *rawrḥē* და *rawrḥānē*). „მსხერეული მრავლობითის“ მაგალითად გამოდგება მრ. რიცხვის ფუძე სიტყვისა *bayt* (*byt*) „სახლი“: მრ. *batt-īn*; სირ. *ḥʷmārā* > მრ. *ḥemrā*, *qʷrīṭā* „სოფელი“ > მრ. *quryā*.

ორობითი რიცხვი ბიბლიის არამეულსა და ეგვიპტის არამეულში ჯერ კიდევ იხმარება, თუმცა მეტად შეზღუდულად. მაგალითად, ორობითი რიცხვი დაცულია ბუნებრივი წყვილების აღმნიშვნელ სახელებთან, როგორცაა „ხელები“ — *yʷdayin*, „ფეხები“ — *raḡlayin*, აგრეთვე რიცხვით სახელებთან. ორობითი რიცხვის დაბოლოებაა *-ayin*, რომელიც ბიბლიის არამეულში, ებრაულის მსგავსად, გვაძლევს *-ayin*-ს (*i* ჩნდება *ay* დიფთონგსა და *n* თანხმოვანს შორის). საინტერესოა ისიც, რომ ბუნებრივი წყვილების აღმნიშვნელ სახელთა ორობითი რიცხვის ფორმამ შეიძლება მოცემულ სახელთა მრავლობითობაც გამოხატოს: *qarnayin* *ʕḡar* „ათი რქა“. საშუალო არამეულის დიალექტებში (სირიულში, მანდეურში და სხვ.) ორობითი რიცხვის მაწარმოებელი გვხვდება მხოლოდ რიცხვით სახელებში „2“ და „200“: სირ. *tʷrēn* (<*trayn*), მდღერ. სქ. *tartēn* „2“ და *māṭēn* (<*mā* „100“) „200“.

§.1.2.4. სტატუსი. როგორც უკვე აღინიშნა, სემიტურ სახელს ახასიათებს მდგომარეობის კატეგორია — სტატუსი, რომელიც არამეულში სამია: 1) *status emphaticus* — სახელი, განსაზღვრული სუფიქსალური არტიკლით, 2) *status constructus* — სახელის დამოკიდებული მდგომარეობა, როცა სახელი განსაზღვრულია მომდევნო სახელით, დაბოლოს 3) *status absolutus* — განუსაზღვრელი სახელი. სახელის ყველა ეს სტატუსი კარგადაა გამოხატული ძველ არამეულში, მაგალითად, ეგვიპტის არამეულსა და ბიბლიის არამეულში.

მამრ. სქესის სახელებს მხოლოდობითი რიცხვის *status absolutus*-ში ნულოვანი დაბოლოება აქვთ, ე. ი. ფორმა წარმოდგენილია სუფთა ფუ-

ძის სახით. მდედრობითი სქესის სახელები status absolutus-ში ბოლოვდება \bar{a} -თი (ძვ. არამ. წარწერებში იგი გამოიხატება h -თი, ებრაულის მსგავსად): *malkā* „დედოფალი“, *mōdīnā* „ოლქი“, *bīšā* „ბოროტი, ავი“ (მდედრ.). აბსტრაქტულ სახელთა დაბოლოება *st. abs.*-ში ბევრ არამეულ დიალექტში წარმოითქმის როგორც გრძელი \bar{u} ($\bar{u}t$ -ის ნაცვლად): *malkū* „მეფობა“, *ḥadū* „სიხარული“ <*ḥadūt*. იგივე ვითარებაა ზოგიერთ ძველ არამეულ წარწერაშიც, მაგალითად, 𐤎𐤁𐤗 „ძალა“ (ჰად.). (Status absolutus-ში სახელთა მრავლობითი რიცხვის შესახებ იხ. ზ. გვ. 54—55).

მხ. რიცხვის status constructus-ში მამრ. სქესის სახელებს ნულევანი დაბოლოება აქვს, ისე როგორც *st. absolutus*-ში: *bīš* „ბოროტი“, *rēš* „თავი“. მრ. რიცხვში ფუძეს დაერთვის დაბოლოება *ay* (ხშირად \bar{e} -ს სახით): სირ. *malkay*, ბიბლ. არამ. *malkē*, სირ. *rēšay*, ბიბლ. არამ. *rēšē*.

მდედრ. სქესის სახელებმა მხ. რიცხვის *st. cs.*-ში დაიცვეს საერთოსემიტური დაბოლოება $-at$ (რომელიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, *st. abs.*-ში გადადის \bar{a} -ში): *mḥnt mrʾh* „მისი ბატონის ბანაკი“ (ფან.), *malkat*, *bīšat* და მისთ. მრ. რიცხვში ხმოვანი დაბოლოებანი გრძელდება ($-at > -āt$): *malkāt*, *bīšāt*.

სახელის განსაზღვრა სუფიქსალური არტიკლის $-ā$ -ს საშუალებით, ე. წ. status emphaticus-ი, კარგადაა გამოხატული ბევრ ძველ არამეულ წარწერაში: $qšʾ$ (სეფ. I) „მშვილდი“, $nšb$ (ზაქ.) „ქვის სტელა“, lyl „ლამე“ (ჰად.) და სხვ. როგორც მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, status emphaticus-ის დაბოლოება \bar{a} გრაფიკულად გადმოცემულია ალფეთით, მაგრამ არცთუ იშვიათად ზემოხსენებული ხმოვნის (\bar{a} -ს) გადმოსაცემად გამოიყენება h ასოც: 𐤎𐤏 (ზაქ.) „მე“, 𐤎𐤏𐤕 (ზაქ.) „ეზ“, $lylh$ „ლამე“ (სეფ. I) და სხვ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ status emphaticus-ის ფორმები არ გვხვდება იმ არამეულ წარწერებში, რომლებშიც დატულია ბრუნვათა დაბოლოებანი, მაგალითად ბარ-რაქიბის წარწერაში (ფან.). ამის საფუძველზე ზოგიერთმა მეცნიერმა (მაგ., სტ. სეგერტმა) გამოთქვა მოსაზრება, რომ *st. emphaticus*-ი უნდა წარმოშობილიყო ბრუნვათა დაბოლოებების გაქრობის შემდეგ; ამდენად, იაულის დიალექტი გარდაამავალ საფეხურს წარმოადგენს ენის განვითარების უფრო ძველ (სახელთა ბრუნებით, მაგრამ სუფიქსალური არტიკლის გარეშე) და მომდევნო (ბრუნების გარეშე, მაგრამ სუფიქსალური არტიკლით) ფაზებს შორის²⁸.

²⁸ S. S e g e r t, Aramäische Studien, V, Ar Or 26, 1958, გვ. 584.

Status emphaticus-ი ა დაბოლოებით დასტურდება ყველა არამეულ დიალექტში (ზემოთ ნაჩვენები შემთხვევების გამოკლებით): *bīšā*, *malkā*, *rēšā*. მრ. რიცხვში ეს დაბოლოება მოსდევს მრ. რიცხვის ფორმანტს: მამრ. *malkayyā* (ბიბლ. არამ.) ან *malkē* (სირ.), სადაც *ē* იმავე -*ayyā*-დან მომდინარეობს; მდედრ. *malkāṭā*²⁹.

3.1.2.5. ამგვარად, სახელის ფლექსია სქესის, რიცხვისა და სტატუსის მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

მხ. რიცხვი	
მამრობითი სქესი	მდედრობითი სქესი
St. abs. <i>mélek</i> , <i>m^lak</i> „მეფე“	malkā „დედოფალი“
St. cstr. <i>mélek</i> , <i>m^lak</i>	malkaṭ
St. emph. <i>malkā</i>	malk ^o ṭā

ორ. რიცხვი	
St. abs. <i>raġlayin</i> „ორი ფეხი“	maṭayin „ორასი“
St. cstr. <i>raġlē</i>	

მრ. რიცხვი	
St. abs. <i>malkīn</i> , <i>malkin</i>	malkān
St. cstr. <i>malkay</i> , <i>malkay</i>	malkāṭ
St. emph. <i>malkayyā</i> , <i>malkē</i>	malkāṭā

უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო არამეულში, კერძოდ კი სირიულში, st. abs.-ის ხმარება ფრიად შეზღუდულია. გამოჩენილია ნაზმნარი სახელები, რომლებიც პრედიკატად იხმარება: *ʾāmrīn* (მოქმედებითი გვარის მიმღეობა, მრ. რ.) „ლაპარაკობენ“, *ʾāzil* „მიდის“ და ა. შ. საერთოდ კი სახელები სირიულში გვხვდება st. emphaticus-ში, რომელიც კარგავს თავის განმსაზღვრელ შინაარსს და გადაიქცევა სახელთა ჩვეულებრივ ფორმად. |

სახელის ფლექსიასთანაა დაკავშირებული ცვლილება მოცემული სიტყვის ფუძის გახმოვნებაში. ამას მიუთითებს, მაგალითად, ბიბლიის არამეული ნაწილის მასორეტული ტექსტები და სირიული წერილობითი ძეგლები. ჩვეულებრივ, გახმოვნება არ იცვლება გრძელხმოვნისან ერთმარცვლიან სახელებთან, როგორცაა *ṭūr* („მთა“). მოკლე ხმოვნ-

²⁹ შდრ. ზემოთ, გვ. 54—55.

ნებისანი ფუძეები კი ხშირად იცვლიან ფუძის ვოკალიზმს ფლექსიის დროს (შდრ., მაგ., ბიბლ. არამ. melek — st. abs. და cstr. და mal-kā — st. emph., k'saḥ „ვერცხლი“ — st. abs., st. cstr., მაგრამ kaspā — st. emph.; სირ. ց'šum „სხეული“ — st. abs., st. cstr. და gušmā — st. emph., Ālam „მარადიულობა“ — st. abs., st. cstr. და Ālmā — st. emph.).

3.1.3. სახელის დეტერმინაცია და ინდეტერმინაცია გამოიხატება სტატუსების საშუალებით: განსაზღვრული არტიკლის შემცველი status emphaticus-ი იხმარება დეტერმინირებულ სახელთან, status absolutus-ი კი უპირისპირდება მას როგორც განუსაზღვრელი (ინდეტერმინირებული) სახელის ფორმა: dīn „სასამართლო“ — st. abs. და dīnā — st. emph. (შდრ. ინგლის. court და the court). დეტერმინირებული სახელი status constructus-ში, მაგრამ, განსხვავებით st. emphaticus-ისაგან, აქ მსაზღვრელი ელემენტია არა ნაწილაკი, არამედ მთელი სიტყვა (უფრო ზუსტად — სახელი) ნათესაობით ბრუნვაში (თუმცა ეს უკანასკნელი მორფოლოგიურად არცაა გამოხატული): millat ʾġlāhā „სიტყვა ღვთისა“. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ განსაზღვრა (დეტერმინაცია) ეხება გენეტიური კონსტრუქციის მხოლოდ პირველ წევრს (ე. ი. სახელს, მდგარს st. cstr.-ში), და არა მთელ კონსტრუქციას. რაც შეეხება მთელ გენეტიურ კონსტრუქციას, ის შეიძლება განუსაზღვრელიც იყოს, თუ „მსაზღვრელი“ სიტყვა განუსაზღვრელობის გამომხატველ სტატუს-ში — st. abs.-ში დგას: millat melek (= ინგლ. a king's word). განსაზღვრულია აგრეთვე სახელები, ნახმარი კუთვნილებით ნაცვალსახელურ სუფიქსებთან ერთად: ʿabdi „ჩემი მონა“, ʾahūk „შენ ძმა“ და ა. შ. (კუთვნილებითი ნაცვალსახელური სუფიქსები st. cs.-ში მდგარ სახელებთან იხმარება). ინდეტერმინაცია სპეციალური ფორმანტებით არ გამოიხატება. მაგრამ უკვე ბიბლიის არამეულ ენაში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ინდეტერმინაციის გამოსახატავად მიმართავდნენ რიცხვით სახელს — „ერთი“ ḥad: ʾiggūrā ḥdā „წერილი“ („a letter“), ʾāḥen ḥdā „ქვა“ („a stone“) და ა. შ.

3.2. რიცხვითი სახელები

3.2.1. პირველი ათეულის რაოდენობითი რიცხვითი სახელები („1“ — „10“), რომელთაც სქესის მიხედვით განსხვავებული ორი ფორმა აქვთ (მამრობითი დამდედრობითი), ჩვეულებრივ status absolutus-ში იხმარება: ʾš3 — ʾšlāḥ და ʾšlāḥ, ʾ4 — ʾarbaʿ და ʾar-

ბა^ა და ა. შ. გვაქვს შემთხვევები მოცემული რიცხვითი სახელების ხმა-რებისა st. constructus-შიც (ბიბლიაში იშვიათად, ეგვიპტის არამეულში უფრო ხშირად): ბიბლ. არამ. tʾrē, მდ. tartē, ეგვ. არამ. trty (მაგრამ st. abs.-ში trtyn), rbC „ოთხი“, šbC „შვიდი“. აქ, ისე როგორც სხვა სემიტურ ენებში, რიცხვითი სახელები „1“ და „2“ შეთანხმებულია აღსარიცხ სახელებთან სქესში, ხოლო „3“—„10“ აღსარიცხი სახელების საწინააღმდეგო სქესში დგას; ამასთანავე, რიცხვითი სახელები გარდა „ერთისა“, შეიძლება წინ უძლოდეს ან მოსდევდეს მრ. რიცხვში მდგარ აღსარიცხ სახელს.

მეორე დეკადის რიცხვითი სახელები იწარმოება ერთეულებისა და რიცხვითი სახელისაგან „ათი“: tʾrē Cšar, სირ. treCšar „12“, მაგრამ ეგვ. არამ. Cšrh wtryn. ათეულების აღმნიშვნელი სახელები წარმოადგენს სათანადო ერთეულების მრ. რიცხვს: ეგვ. არამ. ḫmšn „50“ < ḫmš „5“, ებივრ. არამ. šbCy, ეგვ. არამ. šbCn. საშ. არამ. šibCin/ šābCin „70“ < šabC „7“ და ა. შ. გამოხატვისა „20“, რომელიც რიცხვითი სახელის „10“-ის მრ. რიცხვს წარმოადგენს: Cšrīn (ეგვ. არამ. Cšrn).

მეორე ათეულში ერთეულები პირდაპირ ემატება რიცხვით სახელს „10“-ს; გამოხატვისა მოცემული რიცხვითი სახელები ეგვიპტის არამეულში, სადაც ერთეულები ათეულებს „და“ კავშირის (w) საშუალებით უერთდება: šittin wʾtartēn „62“, ისე, როგორც ამას ადგილი აქვს ამავე ენის მეორე დეკადის რიცხვით სახელებში. რიცხვითი სახელი „100“ მდებარ. სქესისაა — mʾā, „200“ წარმოადგენს „100“-ის ორობით რიცხვს — māṭayin, „1000“ მამრ. სქესის სიტყვაა — ʾalp (სირ. ʾālep, ʾalpā).

3.2.2. რ ი გ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი, „მეორის“ გარდა, იწარმოება -āy სუფიქსის საშუალებით: „პირველი“ — მამრ. qadmāy, მდ. qadmāyā, „მესამე“ — მამრ. tʾliṭāy, მდ. tʾliṭāyā (tʾliṭāʾā) და ა. შ. „მეორე“ ნაწარმოებია -ān სუფიქსის დახმარებით: მამრ. tinyān, მდ. tinyānā. მოტანილი მაგალითები წარმოადგენს რიგობით რიცხვით სახელებს st. abs.-ში. მათ ყველა დანარჩენი სტატუსიც აქვთ (st. cs., st. emph.).

3.2.3. მ რ ა ვ ა ლ ჭ ე რ ა დ ო ბ ი ს (მულტიპლიკაციის) გამოხატავად ენა მიმართავს სათანადო რაოდენობით რიცხვით სახელებს მდებარ. სქესის ფორმით (st. abs.-ში), რომელთაც წინ უძღვის რიცხვითი სახელი „ერთი“: ეგვ. არამ. ḫd ʾlp „ათასჯერ“ (ზუსტ.: „ერთ-ჯერ“ ათასი“), ბიბლ. არამ. ḫad šibCā „შვიდჯერ“ (ზუსტ.: „ერთ-ჯერ“ შვიდი“),

3.2.4. წილადები იწარმოება qu! ტიპის მიხედვით (tulṭā = 1/3); მხოლოდ „1/2“-ისათვის გვაქვს საგანგებო სიტყვა p³laḡ (ბიბლ.), სირ. pelḡā.

3.3. ნაცვალსახელები

3.3.1. პირის ნაცვალსახელი ორი სახითაა წარმოდგენილი: დამოუკიდებელი (როცა ის ქვემდებარეს წარმოდგენს) და სუფიქსების სახით (ნაცვალსახელები განსაზღვრებად და დამატებად). დამოუკიდებელი ნაცვალსახელი არჩევს სქესსა და რიცხვს (II და III პირში).

ძველ არამეულ წარწერებში ვპოულობთ ფორმებს, რომლებიც მხოლოდ არამეულის ადრინდელი პერიოდისთვისაა დამახასიათებელი და გვხვდება აქადურ და ქანანურ ენებში. ასეთია, მაგ., მხ. რიცხვის I პირის გავრცობილი ფორმები ḡnk და ḡnky (შდრ. აქად. ḡa-nu-ki, ფინიკ. და მოაბ. ḡnk, ებრ. ḡnōkī). უფრო გვიანდელ არამეულ დოკუმენტებში k ელემენტი პირის ნაცვალსახელებში აღარ დასტურდება (შდრ. ბიბლ. არამ. ḡnā, სირ. ḡenā და მისთ.).

რამდენადმე არქაულია ნაცვალსახელთა ცალკეული ფორმების სტრუქტურა ეგვიპტის არამეულში: II პ. მრ. რ. მამრ. სქ. ḡntm, როგორც ჩანს მოკლე ხმოვნითა და m თანხმოვნით ბოლოში, ნაცვლად გრძელი ხმოვნისა მეორე მარცვალში და ბოლოკიდური n-სი (შდრ. ბიბლ. ḡantūn-ის არსებობა ḡantōm-ის გვერდით და ყველა სხვა გვიანდელი დიალექტის ფორმები -ōn დაბოლოებით). მრ. რიცხვის III პირშიც დაცულია ძველი ფორმა hm, hmw (მამრ.) (შდრ. არაბ. hum, ებრ. hēm), რომელიც ბიბლიის არამეულში ჯერ კიდევ იხმარება (himmō), მაგრამ უკვე გვიანარამეული ḡinnūn-ის (მდ. ḡinnin) გვერდით. არქაული ჩანს მრ. რიცხვის II პირის ნაცვალსახელების დაწერილობაც: მამრ. ḡant, მდ. ḡantī (ეპიგრ. არამ. ḡnt და ḡnly), სადაც ბგერათმეერთება nt ჯერ კიდევ ასიმილაციის გარეშეა წარმოდგენილი, თუმცა გამორიცხული არაა იმის შესაძლებლობა, რომ დაწერილობა ასახავდეს უფრო სიტყვის ეტიმოლოგიას, ვიდრე მის მაშინდელ წარმოთქმას (შემდგომში nt-ს ნაცვლად ყველგან tt გვაქვს). მხ. რიცხვის III პირის ნაცვალსახელები თანხვდებოდა სათანადო სიტყვებს ებრაულში: hū (მამრ.) და hī (მდედრ.).

სირიულში მრ.-ის I პირში იკარგება თავკიდური n, სამაგიეროდ იგი თავს იჩენს ამავე ფორმის ბოლოსა და მრ.-ის III პირში: I პ. მრ. ḡ³nan, III პ. მრ. hennōn, მდედრ. hennēn. მრ.-ის III პირის ანალოგიით

დაბოლოებანი -ōn, -ēn დამკვიდრდა მრ.-ის II პირშიც: ʔattōn, მდ. ʔat-tēn. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სირიულში ნაცვალსახელური-ენკლიტიკის არსებობა, რომლის საშუალებითაც იწარმოება პრედიკატის ნომინალური ფორმები (ე. ი. საერთი, კოპულა ზმნის ფუნქციით იხმარება): qāṭel-nā „მე ვკლავ“ (<„მემკვლელი ვარ“), mʔabbʔiin-an „ჩვენ ვიღებთ“ (<„ჩვენ ვართ მიმღებნი“). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამგვარი წარმოება შემდგომ განვითარდა სრულიად ახალი ტიპის უღვლილების სისტემად თანამედროვე არამეულ დიალექტებში (იხ. ქვემოთ).

ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ უ რ ი ს უ ფ ი ქ ს ე ბ ი იხმარება როგორც სახელებთან. ისე ზმნებთან და წინდებულებათან. პირველ შემთხვევაში ისინი კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფუნქციას ასრულებენ: ʔaḫī „ჩემი მამა“, სხვა შემთხვევაში კი დამატებას გადმოსცემენ: ეგვიპტ. არამ. šʔlahī „გაგზავნე ის!“ (<šʔlah-hū), minnī „ჩემგან“. აქაც, ნაცვალსახელური სუფიქსების ფორმებში, ერთგვარ არქაულობას ამჟღავნებს ეგვიპტის არამეული, სადაც მრ. რიცხვის II და III პირში -kōn-ისა და -hōn-ის ნაცვლად გვაქვს km და hm (მოკლე ხმოვნითა და n-ს მაგიერ m თანხმოვნით), ბიბლიის არამეულში კი ორივე ფორმა პარალელურად იხმარება: -kōn და -kōm, hōn და hōm (ამასთან, ხმოვნები ყოველთვის გრძელია). ძველი არამეულისათვის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს III პ. მამრ. სქ. მხ. რ. სუფიქსიც -hī(-eh-ის პარალელურად, რომელიც გვხვდება უფრო გვიანდელ არამეულში, მაგ., სირიულში). უფრო ძველი ფორმა დაუცავს აგრეთვე მრ. რიცხვის I პ. სუფიქსს -nā-ს, რომელიც შემდგომ შეცვალა უკვე, ძველ არამეულში (მაგ., ეგვ. არამ.) ხშირად ხმარებულმა, მეორე სუფიქსმა -an.

ნაცვალსახელური სუფიქსების ტაბულა ძველ არამეულში ასე გამოიყურება:

	მხ. რ.	მრ. რ.
I პ.	-ī (ზმნებთან -nī)	-na, -n
II პ.	მამრ. -k	-kōm, -kōn (ეგვ. არამ. km)
	მდ. -kī	-kēn
III პ.	მამრ. -eh, -hī	-hōn, -hōm (ეგვ. არამ. hm)
	მდ. -ah	-hēn

ბოლოთანხმოვნიანი სიტყვების შემდეგ ჩნდება ე. წ. მაკავშირებელი ხმოვნები (ჩვეულებრივ a, III პ. მამრ. მხ. რ. -eh). სირიულ-

სირიულში ჩვენებითი ნაცვალსახელები („ეს“, „ესენი“) გავრცობილია hā ელემენტით: hānā < *hādīnā, მდელრ. hādā, მრ. hālēn. ჩვენებითი ნაცვალსახელების — „ის“, „ისინი“ — მნიშვნელობით იხმარება III პირის ნაცვალსახელები hā- დემონსტრაციული ელემენტით: *hāhū > haw (მამრ.), მანდ. hak k ნაწილაკით, როგორც ეს ბიბლიის არამეულშია, ან hanata ~ hanath (ახალწარმოება).

3.3.4. კ ი თ ხ ვ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი, რომელნიც „ვინ“ და „რა“ კლასების მიხედვით განსხვავდებიან, იდენტურია სხვა სემიტური ანალოგიური ნაცვალსახელებისა: man „ვინ?“ და mā „რა?“ (სირიულში ასევე mān და mānā).

3.3.5. მ ი მ ა რ თ ე ბ ი თ (რ ე ლ ა ც ი უ რ) ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ა დ ო რ ი ე ვ ს ქ ე ს ს ა და რ ი ც ხ ვ შ ი ი ხ მ ა რ ე ბ ა zī/dī (ძველ არამეულ წარწერებში მხოლოდ zī). ბიბლიაში დამოწმებულია dī-ს ნაცვალ d-ს ხმარების ერთი შემთხვევა (Ez4₉); შემდგომში კი ეს d^o ცვლის dī ფორმას მთლიანად³⁰. შეინიშნება მიმართებითი ნაცვალსახელების წარმოება კითხვითი და zī/dī მიმართებითი ნაცვალსახელების შეერთებით: ბიბლ. არამ. mandī „ის ვინც“, mādi „ყველაფერი რაც“ (ეპიგრ. არამ. mz < mh + zy), სირ. man d^o, mā d^o.

3.3.6. გ ა ნ უ ს ა ზ ლ ვ რ ე ლ ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ა დ გ ვ ხ ვ დ ე ბ ა: ეგვ. არამ. gbr და ʾyṣ „აღამიანი“ > „ვინმე“, gbr ʾ და ʾyṣ ʾ ან ʾyṣ „არაფინ“, ეგვიპტ. mndc > mddc და სირ. meddem < mddc + mā „რაიმე“.

3.4. ზმნა

3.4.1. არამეული ზმნის უღვლილების სისტემაში, როგორც ტიპიურ სემიტურში, განასხვავებენ ორი სახის უღვლილებას: პრეფიქსალურსა და სუფიქსალურს. პრეფიქსალური უღვლილება გადმოსცემს მოქმედების დაუსრულებლობას და უპირისპირდება სუფიქსალურს, რომელიც გამოხატავს მოცემული მოქმედების დასრულებას. სწორედ მათ აკისრიათ ტემპორალურ მნიშვნელობათა გადმოცემა, რომელთათვის საკუთარი ფორმები არ არსებობს. ამგვარად, უღვლილების სისტემა ძველ არამეულში ასპექტურია და ფორმისა და მნიშვნელობის მიხედვით აქვს ორი საპირისპირო რიგი: ე. წ. პერფექტივი (სრული ასპექტი) და იმპერფექტივი (უსრული ასპექტი). პირველს, გამომდინარე მისი შინაარსიდან, ევალება ნამყო წყვეტილის გადმოცემა, ხოლო მეორეს — გრამატიკული დროებისა, რომელნიც გამოხატავენ მოქმედების

³⁰ იხ. Rosenthal, დასახ. ნაშრ., გვ. 21, § 35.

დაუსრულებლობას, სახელდობრ: აწმყო, მყოფადი და ნამყო უსრული. ზნური შინაარსი ზოჯგერ გადმოიციემა ნაზნარი სახელებითაც. მაგ., ზნის როლში გამოდის მიმლეობა, მაგრამ ასეთ შემთხვევებში ტემპორალური მნიშვნელობა არ არის ნათლად გამოხატული. ასე იყო ძველ არამეულში. მაგრამ საშუალო არამეულში, კერძოდ კი სირიულში, ვითარდება ზნის ანალიტიკური ფორმები, რაშიც განსაკუთრებით იჩენს თავს სირიული ენის ანალიტიკური ბუნება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ასპექტს, რომელიც გამოხატავს გრამატიკულ დროს, სემიტოლოგიურ ლიტერატურაში „დროს“ უწოდებენ. სემიტური ენებისათვის, მათ შორის არამეულისთვისაც, გარდა ცნობილი ზნური კატეგორიებისა (პირი, სქესი, რიცხვი, გვარი და ზემოხსენებული „დრო“), დამახასიათებელია ზნურ თემათა სისტემა.

3.4.2. თ ე მ ა თ ა წ ა რ მ ო ე ბ ა შ ი განასხვავებენ სამ საფეხურს, რომელნიც წარმოდგენილნი არიან ძველ არამეულშიც: I — ძირითადი თემა — ზნის უმარტივესი ფორმა ამოსავალი მნიშვნელობით (qʾal), II — მეორე ძირეულის გაორკეცებით მიღებული, ინტენსივის მნიშვნელობით (qaṭṭil), III — პრეფიქსის მეშვეობით ნაწარმოები თემა, კაუზატივის მნიშვნელობით (ʾaqtīl, haqtīl, šaqtīl). თითოეულ ზემოდასახელებულ თემას არამეულ ენაში აქვს საკუთარი უკუქცევითი ფორმა (რეფლექსივი), ნაწარმოები სპეციალური პრეფიქსის t-ს (<ta) მეშვეობით: ʾitqʾīl, ʾitqaṭṭal, ʾittaqṭal. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ორმაგი რეფლექსივი დამოწმებულია ბარ რაქიბის წარწერაში — hlnʾhw „ისინი მოითხოვენ თავისთვის“ (<yʾb), სადაც t და n უკუქცევითი ფორმების ნიშნებია. როგორც ცნობილია, ამგვარი შერეული ზნური თემები არაიშვიათად გვხვდება აქადურ ენაში და არ არის გამორიცხულა, რომ ძველ არამეულში ანალოგიური ფორმების არსებობა წარმოადგენს აქადურის გავლენის შედეგს.

3.4.3. მოქმედებითი გვარის გვერდით ძველ არამეულში არსებობდა ვნებითიც, რომელიც განსხვავდებოდა მოქმედებითისაგან ზნურ ფუძეთა გახმოვნებით. შინაგანი ფლექსიის გზით იწარმოებოდა სამივე თემის პასივის ფორმები. შედარებით კარგად არის შემონახული პირველი თემის პასივის ფორმა, რომელიც II ძირეულის ხმოვნის დაგრძელების შედეგად დაემთხვა იმავე თემის პასივის მიმლეობას: kʾīḫ „დაწერილი“, „დაწერილია“ (<*katīb და *kutīb). I

თემის პასივის კვალი დადასტურებულია ძველ არამეულ წარწერებშიც (არფადის წარწერა), რომ არაფერი ეთქვათ ეგვიპტის არამეულზე და ბიბლიის არამეულზე. იშვიათად გვხვდება კაუზატივის პასივი, ხოლო ინტენსივის პასივი კიდე უფრო იშვიათად. ქვემოთ მოყვანილია თემათა წარმოების ყველა საფეხურის ზმნური ფორმები (რეფლექსივების ჩათვლით), რომელნიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გვარის მიხედვით (მოყვანილია ბიბლიის არამეულის მასალების მიხედვით):

თემები მოქმედებითი რეფლექსიური ვნებითი

I	qʾtal	hitqʾtel	qʾtīl
II	qattēl	hitqattal	*quṭtal
III	{ haqtēl ʾaqtēl šaqtēl }	*hittaqtal	huqtal/hoqtal

სირიულში რეფლექსივის თემებმა დაიკავეს დაკარგული ფინიტური პასივის ფორმების ადგილი (I თემის რეფლექსივი გადმოსცემს მის პასიურ მნიშვნელობას, II თემის ინტენსივის რეფლექსივი შესაბამის ვნებით გვარს და ა. შ.). შემონახულია მხოლოდ ვნებითი გვარის მიმღებობანი, რომელნიც ანალოგიური გზით აწარმოებენ მოქმედებითი გვარის ზმნურ ფორმებს: qʾtīl ḥ „მე მოვკალი“ (<„ჩემ მიერ არის მოკლული“).

8.4.4. ძველი არამეული ზმნა განარჩევს სამ კილოს: თხრობითს, ბრძანებითსა და პირობითს; მასვე აკუთვნებენ ე. წ. ენერგეტივს, რომელიც ფაქტიურად არ განსხვავდება თხრობითისაგან. ენერგეტივმა თავისიმნიშვნელობა შეინარჩუნა ზაქირის წარწერაში. ყველა სხვა შემთხვევაში ენერგეტივი დადასტურებულია ნეიტრალური მნიშვნელობით მხოლოდ ნაცვალსახელურსუფიქსებიან ზმნურ ფორმებში (როგორც ეს ებრაულ ენაშიცაა). პირობითი კილო არ განსხვავდება თხრობითისაგან, გამოჩაქლისია რამდენიმე ფორმა, სადაც III პ. მრ. რ.-ის ბოლოკიდური n დაკარგულია. ერთგვარი განსხვავება განმოვნებაში შეინიშნება სუსტ ზმნებშიც. ბრძანებით კილოს აქვს მხოლოდ წართქმითი ფორმები; უკუთქმითისათვის კი გამოიყენება პირობითი კილოს ფორმები (ეგვიპტის არამეულში დადასტურებულია თხრობითი კილოსაგან ბრძანებითის უკუთქმითი ფორმების წარმოების ცალკეული შემთხვევები).

საშუალო არამეულში ქრება პირობითი კილო და თხრობითის

ვევრდით გვხვდება მხოლოდ ბრძანებითი კილოს ფორმები: სირ. *neq-ṭal* და *q'ṭal*, მანდ. *nigtal* და *gṭul*.

3.4.5. პირი, სქესი და რიცხვი გამოიხატება პრეფიქსების მეშვეობით (იმპერფექტივი) ან სუფიქსებით (პერფექტივი, ბრძ. კილო).

პერფექტივიში 3 პირის მხ. რ.-ის მამრ. სქ.-ის ფორმა წარმოდგენილია სუფთა ფუძის სახით — *q'ṭal*. ყველა დანარჩენ ფორმას აქვს შესაბამისი სუფიქსები: მხ. რ.: III პ. მდ. სქ. -*aṭ*, II პ. მ. -*t* და მდ. -*ī*, I პ. -*eṭ*; მრ. რ.: III პ. მ. -*ū* და მდ. -*ā*, II პ. მ. -*ūn* (ეგვ. -*ūm*, სირიულში პარალელურად ნულოვანი დაბოლოებითაც: *q'ṭalūn* ~ *q'ṭal*), II პ. მდ. -*ēn*, I პ. -*nā*.

იმპერფექტივიში თხრობით კილოში წარმოების ძირითადი სიმძიმე აწევს პრეფიქსებს, თუმცა ზოგიერთი ფორმა პრეფიქსებთან ერთად სუფიქსებსაც შეიცავს: მხ. რ.: III პ. მ. *y-* (სირ. *n-*, მანდ. *n-*, იშვიათად *l-*, თალმუდ. *n-~l-*), III პ. მდ. *t-*, II პ. მ. *t-*, მდ. *t-īn*, I პ. *ḡ-*; მრ. რ.: III პ. მ. *y-ūn* (ძველ არამეულ წარწერებში *y-ū*, როგორც ებრაულში), მდ. *y-ān*, II პ. მ. *t-ūn*, მდ. *t-ān*; I პ. *n-*.

ბრძანებით კილოში III პ. მ. მხ. რ.-ის ფორმა სუფთა ფუძეა (*q'ṭul*), III პ. მდ. სქ. მხ. რ. -*ī*, მრ. რ.-ში სქესი და რიცხვი გამოხატულია აგრეთვე სუფიქსებით: მ. -*ū* (ძვ. არამეულ წარწერებში -*ūn*, როგორც ზოგჯერ სირიულში), მდ. -*ā*.

3.4.6. „ღროსი“ ფორმათა წარმოებაში დიდ როლს თამაშობს ფუძის გახმოვნება. პერფექტივის და იმპერფექტივის ფუძეთა დაპირისპირება გამოხატულია არა მარტო ზემოთ მოტანილ აფიქსებში, არამედ გახმოვნებაშიც. უკანასკნელს უკავშირდება ზმნის გარდამავლობაც, სახელდობრ: გარდამავალ ზმნებს პერფექტივში აქვთ ხმოვანი *h* (მეორე ძირეულის შემდეგ), ხოლო იმპერფექტივში — *u/o* ან *i/e*, გარდაუვალ ზმნებს კი, პირიქით — პრეფექტივში ხმოვანი *i/e*, იმპერფექტივში — *a*. მაგალითად, შდრ. ბიბლ. არამ. *q'ṭal* და *yiq-ṭul*, ანდა სირ. *q'ṭal* და *niqṭal* (<*qṭ*! „მოკვლა“) გარდაუვალ ზმნებს ბიბლ. არამ. *š'ṭeṭ* და *yīšlat* (<*šṭ*! „იყო ძლიერი“), ან სირ. *d'ḥel* და *nidḥal* (<*dḥ*! „ეშინოდა“).

3.4.7. ინფინიტივი გვხვდება ჩველებრივ I^o ნაწილაკთან (*nota dativi*), რომლის გარეშეც ისინი სუბსტანტივიზებულნი არიან. ინფინიტივის წარმოებაში ზოგჯერ მონაწილეობას იღებს *m* პრეფიქსი (გამონაკლისია უძველესი არამეული), რომელიც გალი-

ლურში გვხვდება ყველა თემაში. სხვა არამეულ დიალექტებში (იუდ.-არამ., მანდ.) ნაწარმოებ თემებში, ინფინიტივი დასტურდება როგორც *m* პრეფიქსით, ისე პრეფიქსის გარეშე: იუდ.-არამ. *mbrkh* „კურთხევა“ და *kmšh* „მსახურება“ (ინტენსივი), მანდ. *arbukia* „დაჩოქება“ და *mašlumia* „დასრულება“ (კაუზატივი), მაგრამ I თემაში ყოველთვის *m* პრეფიქსით — *miqtal*, ასევეა რეფლექსივის თემებში სირიულში: *metq'ālū*, *metqat'ālū*, *mettaqt'ālū*.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ინფინიტივები ძველ არამეულ წარწერებში გადმოცემულნი არიან სუფთა ძირის მეშვეობით (არამეულ დიალექტებში გავრცელებული *m*-პრეფიქსის გარეშე), მაშინ, როდესაც ეგვიპტის არამეულში უკვე დადასტურებულია ნაზმნარ სახელთა მწარმოებლად თანხმოვანი *m*.

3.4.8. ორივე გვარის მ ი მ ლ ე ო ბ ა ს (მოქმედებით და ვნებითს) თავისუფლად შეუძლია შეასრულოს არსებითი სახელებისა და ზედსართავეების ფუნქცია. I თემის მიმღობის წარმოება განსხვავდება დანარჩენებისაგან, უპირველეს ყოვლისა იმით, რომ I თემის მიმღობანი იწარმოებიან მხოლოდ შინაგანი ფლექსიით (მოქმ. *qāṭil*, ვნებ. *q'ṭil*), მაშინ, როდესაც ნაწარმოებ თემათა მიმღობანი განეკუთვნებიან პრეფიქსალურ წარმოებას (ისევე და ისევე *m*-პრეფიქსით: ინტენსივი — *m'qat'el* და *m'qat'al*, კაუზატივი — *maq'el* და *maq'al*).

3.4.9. ზოგიერთი გადახვევა ზემომოყვანილი ზმნური ფორმებიდან შეინიშნება ზმნებთან, რომელთაც I ძირეულად აქვთ *n* („ნუნ“) და *ḡ* („ალეფი“), აგრეთვე, ე. წ. გემინირებულ და სუსტ ზმნებთან, რომელნიც ზოგიერთ ფორმაში ორთანხმოვნიან ძირს გვიჩვენებენ.

3.4.9.1. *n* თანხმოვნით დაწყებული ზმნების უღვლილებადში გადახვევები გამოწვეულია პირველი ძირეულის მომდევნო თანხმოვანთან ასიმილაციით: *ytn* „იგი გაძლევს“ (მამრ.) <*n**tn* (ჰად.), ეგვ. არამ. *yḥtwn* „ისინი მალა აღიან“ <*n**ḥt*, ბიბლ. არამ. *yippel* <*y**in**pel* „ვარდება“ <*n**pl*, სირ. *netṭar* <*n**e**ṭar* „იტავს“ <*n**ṭr*. ასეთ დამსგავსებას ეგვიპტის არამეულში აქვს გამონაკლისის ხასიათი; ჩველურივე *ḡi* I თემის იმპერფექტივში *n* შენარჩუნებულია: *ḡntn* „მე მიცემ“ (<*n**tn*), ხოლო ბიბლ. არამ. *yintēn*-ის გვერდით არის *yitt'ninnah* „იგი აძლევს მას (მდ.)“. ბრძ. კილოში პირველი *n* გამოტოვებულია: ეგვ. არამ. *ḥt* (= *hut*) „ამოდი!“ <*n**ḥt*, *ṭr* (= *ṭar*) „თვალყური ადევნე!“ <*n**ṭr*, ბიბლ. არამ. *puqū* „გადით!“ <*n**pq*, სირ. *sab* „აილე!“ (*nsb*) და სხვ.

3.4.9.2. ზოგიერთი ზ მ ნ ა თ ა ე კ ი ღ უ რ ი ა ლ ე ფ ი თ

კარგავს I ძირეულს I თემის იმპერფექტივსა და ინფინიტივში: ეგვ. არამ. mmmr, ბიბლ. არამ. mēmar (<mi>mar) „თქმა“ <mr>, ბიბლ. არამ. yēmar (სირ. nēmar) „ამბობს“. კაუზატივში ა-ს, როგორც ჩანს, ენაცვლება w. ამიტომ პრეფიქსალური ხმოვნის ა-ს (მოქმ. გვარი) და u-ს (ვნ. გვარი) შემდეგ ზოგიერთ დიალექტში გვაქვს ო (<aw) და ū (<uw): ბიბლ. არამ. t^hhōbēd „დაანგრევს“ <bδ, huḅad „იგი დანგრეულ იქნა“, მაგრამ სირ. ᾰawkel „იგი მას აკმევს“ <akl. სირიულში, ზოგიერთი ზმნის I თემის ბრძ. კილოში, პირველი ძირეული არ არის წარმოდგენილი: zel „წადი!“, მაგრამ ბიბლ. არამ. ᾰezel, მანდ. (zil და azil I ა)-ის შენარჩუნებით.

8.4.9.8. y-ით დაწყებულ ზმნებში საკმაოდ არიან ისეთი ზმნებიც, სადაც y მოდის w-დან. მოცემული ზმნების უმეტესი ნაწილისათვის დამახასიათებელია ძირეული y-ის დაკარგვა იმპერფექტივსა და ინფინიტივში და მისი კომპენსაცია მომდევნო თანხმოვნის გარკვევების ან ნაზალიზაციის საშუალებით (უკანასკნელი არ შეინიშნება ეგვიპტის არამეულში, ხოლო, რაც შეეხება მეორე ძირეულის გემინაციას, ეს სავეებით შესაძლებელია, მაგრამ გრაფიკულად არ ჩანს): ბიბლ. არამ. yittih „დაღდება“ <yth, ან tindaC „იცის (მღ.)“ <tiddaC (შდრ. ეგვ. არამ. tδC, შესაძლებელია, იკითხებოდეს როგორც tiddaC). ეგვ. არამეულ ინფინიტივში y-ის ნაცვლად გვევლინება w იმ ზმნებშიც, რომელთაც აქვთ თავკილური y: yiq>mwinq „ძუძუს მოწოვა“. ბრძანებით კილოში მოცემული ზმნები კარგავენ თავკილურ თანხმოვნებს ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე: hab „მოძეცი!“ <yhb, daC „იტოღე!“ <yδC.

კაუზატივის თემაში დადასტურებულია პირველადი თანხმოვნის w-ის არსებობა, რომელიც მელავნდება უკანასკნელის კონტრაქციაში: პრეფიქს a (მოქმედებითი გვარის ფორმებში) და u ხმოვნებთან (პასივის ფორმებში): ბიბლ. არამ. hōḅdaC „მან აცნობა“ (<hawdaC) და ვნებ. *hūḅdaC (<huwdaC) (შდრ. hūs³¹paḷ „იგი იქნა დამატებული“ <ysp).

8.4.9.4. ზმნები II w და y მრავალ შემთხვევაში ითლლვიან ერთნაირად. პერფექტივში მათ აქვთ ერთმარცვლიანი ფუძე გრძელი ხმოვნით (ā—მოქმ. გვარში, ī—ვნებ. გვარში): ბიბლ. არამ. qām „იგი ადგა“ (Vqwm), šām „მან დაღო“ (Všym), ეგვ. არამ. šim³¹ „იგი

³¹ შდრ. Rosenthal, დასახ. ნაშრ., გვ. 49, § 133; აგრეთვე გვ. 65, სადაც არ არის გამორიცხული šim ფორმის კვალიფიკაცია ბიბლოს არამეულში როგორც პერფექტივის ვნებითი გვარისა.

დადებულ იქნა“. იმპერფექტივში ჩვეულებრივ გვხვდება \bar{u} (ეგვ. არამ. mwt „შენ მოკვდები“ $\langle \sqrt{\text{mw}} \text{t}$, ბიბლ. არამ. $\text{y}^{\text{u}}\text{qum}$), მაგრამ დადასტურებულია შემთხვევები გრძელი \bar{i} ხმოვნით (ეგვ. არამ. tšym , ბიბლ. არამ. $\text{y}^{\text{šim}}$)³², ხოლო \bar{a} ხმოვნით ზმნაში hwk „წასვლა“ (ბიბლ. არამ. $\text{y}^{\text{hāk}}$ „იგი წავა“, შდრ. ეგვ. არამ. ḫk „მე წავალ“). ბრძანებითი კილოს ფორმები ყოველთვის შეიცავენ \bar{u} და \bar{i} გრძელ ხმოვნებს (qum , šim), ხოლო ინფინიტივი—გრძელ \bar{a} -ს ($\text{m}^{\text{hāk}}$ „წასვლა“). აღსანიშნავია, რომ I თემის მოკმ. გვარის მიმღეობებში მამრ. სქ. მხ. რ.-ში II w/y შენაცვლებულია ხორახისმიერი ხშული თანხმოვნით: $\text{qā}^{\text{u}}\text{em}$. I თემის რეფლექსივში გვხვდება რეფლექსივის მაჩვენებლის t-ს გემინაცია და ფუძეში გრძელი ხმოვანი (\bar{i} ან \bar{a}): ბიბლ. არამ. $\text{yitt}^{\text{šim}}$, შდრ. ეგვ. არამ. ytšym (= * $\text{yitt}^{\text{šim}}$). ეგვიპტის არამეულში ბიბლიური არამეულისაგან განსხვავებით, ინტენსივის რეფლექსივის თემაში დადასტურებულია ფორმები w-ით II ადგილზე (y-ის ნაცვლად): ytrwm „იგი მედიდურობს“. კაუზატივში გვხვდება ბოლო თანხმოვნის გამეორების შემთხვევები: $\text{m}^{\text{rōm}}\text{em}$ (მიმღ.) „ამალღებული“ $\langle \sqrt{\text{rwm}}$.

3.4.9.5. ზ მ ნ ე ბ ი ბ ო ლ ო კ ი დ უ რ ი -ით გადავიდნენ III w/y ზმნებში. გამონაკლის ქმნიან ზმნები nč „აღება“ და šn „მეძულება“, სადაც č დაცულია.

3.4.9.6. ზ მ ნ ე ბ ი ბ ო ლ ო კ ი დ უ რ ი ს უ ს ტ ი (w, y) თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი თ I თემის ($\text{P}^{\text{C}}\text{al}$) პერფექტივში წარმოდგენილი არიან ორი ფორმით $\text{q}^{\text{t}}\text{al}$ და $\text{q}^{\text{t}}\text{il}$: $\text{b}^{\text{u}}\text{nā}$ „ააშენა“, ištī „გადააქცია“ ($\langle \text{bny}$ და šty). მოცემული ზმნების ფორმები ყოველთვის ბოლოვდებიან გრძელ ხმოვნებზე, თუ მათ არ მოსდევთ კონსონანტური ფორმანტები. ამ ხმოვნებში შეიმჩნევა ბოლოკიდური სუსტი თანხმოვნების კვალი ($\bar{e} \langle \text{ay}$ —იმპერფექტივში, $\bar{o} \langle \text{aw}$ —მრ. რ., მამრ., სქ.-ის III პ.-ის დაბოლოებაში): ეგვ. არამ. išt^{w} „თქვენ დალევთ“, ბიბლ. არამ. $\text{b}^{\text{u}}\text{nō}$ „მათ ააშენეს“. y შემონახულია პერფექტივის I და II პ. მხ. რ.-ის ფორმებში (ეგვ. არამ. klytk „მე შენ დაგაკავე“, ბიბლ. არამ. $\text{b}^{\text{u}}\text{na-yt}^{\text{ah}}$ „მე იგი ავაშენე“). ბრძანებითი კილოს დაბოლოებანია: მხ. რ. \bar{i} , მრ. რ. \bar{o} : $\text{b}^{\text{u}}\text{nī}$, $\text{b}^{\text{u}}\text{nō}$. ინფინიტივი, მოკმ. და ვნ. გვარის მიმღეობა ბოლოვდება \bar{e} -ზე: $\text{l}^{\text{m}}\text{i}^{\text{h}}\text{nē}$ „აშენება“, čānē „პასუხის გამცემი“, $\text{b}^{\text{u}}\text{nē}$ „აშენებული“. \bar{i} -ზე ბოლოვდებიან ნაწარმოები თემების ყველა პერფექტივისა და ბრძანებითის ფორმები (bannī , $\text{hah}^{\text{u}}\text{nī}$ და სხვ.). ნაწარმოები თემების ინფინიტივებში შენარჩუნებულია ძირე-

³² შდრ., Rosenthal, დასახ. ნაშრ., გვ. 49, § 134.

ული y (bannāyā, habnāyā, hiṭb'nāyā, hiṭbannāyā. შდრ. ეგვ. არამ. hšqy „დალევინება“).

3.4.9.7. გემინირებული ზმნებისათვის დამახასიათებელია კონტრაგირებული ფორმები. ბიბლიისა და ეგვიპტის არამეულში ისინი გვხვდებიან პერფექტივის III პ.-ში, ასევე იმპერფექტივში, ძირითადი თემის ბრძანებით კილოსა და ინფინიტევში და კაუზატივში, ხოლო საშუალო არამეულ დიალექტებში ყველა ფორმაში (ბიბლ. არამ. III პ. მ. სქ. მხ. რ. Cal, მაგრამ II პ. მამრ. მხ. C^olatā, შდრ. სირ. baz, bazt და ა. შ. <II „შესვლა“, bzz „ძარცვა“). თუ ბოლო ძირეულს მოსდევს ვოკალური დაბოლოება, მაშინ ძირეული ორკეცდება (როგორც ებრაულში): შდრ. Cal „იგი შევიდა“ და Calū „ისინი შევიდნენ“. იმპერფექტივში და კონსონანტურ პრეფიქსებიან ფორმებში II ძირეულის ნაცვლად ორკეცდება I ძირეული, რასაც არამეულისათვის დამახასიათებელ მოვლენად თვლიან: სირ. nebboz (<bzz) „გაძარცვავს“; P^oCal-ის ფორმებთან, სწორედ, მხოლოდ I თემის მიმღეობა იწარმოება: მოქ. გვ. Cālel და ვნებ. გვ. C^oil, მაგრამ სირიულში მხოლოდ უკანასკნელი—b^oziz „გაძარცული“, მოქმედებითი გვარის მიმღეობა კი იწარმოება როგორც სუსტ ზმნებთან — bā^oez. აღსანიშნავია, რომ მანდეურში გემინირებული ზმნები მთლიანად დაემთხვა II w ზმნებს (შდრ. აგრეთვე ახალი არამეული დიალექტები). თემები, რომელნიც II ძირეულის გაორკეცებით იწარმოებიან (ინტენსივი PaCCal და მისი რეფლექსივი IpaCCal) სწორი ზმნებისაგან არ განსხვავდებიან.

3.4.10. ზმნები ნაცვალსახელური სუფიქსებიით. დამატება, ჩვეულებრივ პირდაპირი, გამოიხატება ნაცვალსახელური სუფიქსების მეშვეობით, რომელნიც დაერთვიან ზმნას. აღნიშნული სუფიქსები გვხვდება ყველა პირში, გამოჩაქოსია III პ. მრ. რ., სადაც ამ მიზნით გამოიყენება დამოუკიდებელი პირის ნაცვალსახელები: ბიბლ. არამ. hōd^oCāḫ „მან გაცნობა შენ“, სირ. qatlah „მან მოკლა იგი“, მაგრამ q^otal-ḡennōn „მან მოკლა ისინი“.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმპერფექტივის წარმოება ნაცვალსახელური სუფიქსებით. მოცემულ შემთხვევებში სუფიქსების წინ ჩნდება n ელემენტი, რომელიც შეესაბამება ენერგეტივის მაწარმოებელს სხვა სემიტურ ენებში, თუმცა ზმნის მნიშვნელობას არ ცვლის (ბიბლიის არამეულში -inn-ის სახით, <*-an-n, მაგ., yitt^oninnah „იგი იძლევა მას (მღ.)“ <ntn „მიცემა“). საშუალო არამეულში ე. წ. „ენერგეტივის ნუნი“ არ გვხვდება.

აღსანიშნავია, რომ ზმნურ ფორმებში, რომელნიც შეიცავენ ობიექტურ სუფიქსებს, შემონახულია პირის დაბოლოებათა ბოლოკიდური ხმოვნები, რომელნიც თავისუფალ აუსლაუტში იკარგვიან. შდრ. სირ. q̄ʔalt „შენ (მდ.) მოკალი“ და q̄ʔaltiŋ „შენ (მდ.) მოკალი იგი“ (სირ. q̄ʔalt=ბიბლ. არამ. q̄ʔalti).

3.4.11. Verbum existentiae. როდესაც ზმნებზე ვსაუბრობთ, აქვე არ შეიძლება არ ვახსენოთ ე. წ. verbum existentiae („არსებობის ზმნა“), რომელმაც შემდგომში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არამეულ ენაში.

Verbum existentiae თავის მხრივ წარმოადგენს სიტყვას, რომელსაც არ გააჩნია ფლექსია: ʔiʔay „არის, არსებობს“, ხოლო უარყოფითი ნაწილაკით — „არ არის, არ არსებობს“. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი მეცნიერი (პ. ლეანდერი და სხვ.) verbum existentiae-ს ზმნისართებთან ან ნაწილაკებთან, ე. ი. მეტყველების ფორმულულ ნაწილებს შორის ასახელებს. ბიბლიის არამეულში verbum existentiae-ს აქვს ზემოხსენებული ფორმა, ეგვიპტის არამეულში კი ʔyty-ის გვერდით გვხვდება შეკვეცილი ფორმა ʔyt, რომელიც შემდგომ ფართოდ გავრცელდა. Verbum existentiae ნაცვალსახელურ სუფიქსებთან ერთად გამოხატავს მაკავშირებელ ზმნას (კოპულას): ბიბლ. არამ. ʔiʔēkōn ʕiʔdīn „თქვენ (ხართ) მზად“, სირ. ʔiʔayk „შენ ხარ“, მანდ. aʔtak mn iuma qadmaia „შენ არსებობ პირველ დღიდანვე“.

3.5. ზმნისართი

ზმნისართად შეიძლება შეგვხვდეს არსებითი და ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი და ზმნაც კი. ზოგიერთ მათგანს ისეთი ფორმა აქვს, რომელიც სახელთა ფლექსიაში გვხვდება, სახელდობრ: -t, -it ან -ūt დაბოლოებით, რომლებიც დამახასიათებელია მდ. სქესის ზოგიერთი სახელისათვის; გვხვდება სახელები სუფთა ფუძითაც (status absolutus-ის ფორმა). ასეთებია: ბიბლ. არამ. ʔʷaʔ „მარხულობით“, tinwānūʔ „კიდევ ერთხელ; მეორედ“; ეგვ. არამ. ʔrmyt „არამეულად“, სირ. rebbaʔ „ძალიან“. ამას შეიძლება მივაკუთვნოთ ზმნისართები ʔ დაბოლოებით, როგორც ბიბლ. არამ. yaʔtirā „მეტისმეტად“ (შდრ. ეგვ. არამ. და სირ. yaʔtir „ბევრი“, -ʔ დაბოლოების გარეშე), ეგვ. არამ. ʔħrh „შემდეგ, შემდგომ“³³.

³³ პ. ლეანდერის მიერ მოყვანილი მაგალითები მოკლე a ხმოვნით დაბოლოებული ზმნისართებისა არ მოკვაქვს, რადგან ამ მოკლე a-ს არსებობა ეგვიპტური მასალების მიხედვით არ დასტურდება.

ხშირად status absolutus-ში მდგომი სახელები იხმარებიან ზმნისართებად: saggī „ძალიან; ბევრი“, gʷmīr „მთლიანად“. ზმნური ფორმის ზმნისართად გამოყენების მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს სიტყვა tuḫ „ისევ; კიდევ“, რომელიც წარმოადგენს tuḫ ზმნის („დაბრუნება“) ბრძ. კილოს.

ძველ არამეულში ბევრი სხვა ზმნისართი გვხვდება, რომელთაც აქვთ მხოლოდ ადვერბიალური მნიშვნელობა. მათ შორის უმრავლესობა საერთოსემიტურია. ასეთია, მაგალითად, ა დ გ ი ლ ი ს ზ მ ნ ი ს ა რ თ ი: tamnā / tammān „იქ“; ეგვ. არამ. tnh, სირ. tʾnān „აქ“; ბიბლ. არამ. kā „აქ“; დ რ ო ს ზ მ ნ ი ს ა რ თ ი: ეგვ. არამ. ḏdyrn, ბიბლ. არამ. ʾḏdayin, სირ. hāyden „მაშინ“, ბიბლ. არამ. kʾḏan, kʾḏenet, kʾḏet „ახლა“; ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ზ მ ნ ი ს ა რ თ ი: ḏaykā „როგორ“, kēn „ამგვარად, ასე“ და სხვ.

სამუშალო არამეულ დიალექტებში (განსაკუთრებით ხშირად სირიულში) გვხვდება დაბოლოება -āʾiḫ, რომელიც ზედსართავეებისა და არსებითი სახელებისგან აწარმოებს რიგ ზმნისართებს: ḏallahā „ღმერთი“, აქედან ḏallahāʾiḫ „ღვთაებრივად“, šappīrā „ლამაზი“, აქედან šappīrāʾiḫ „ლამაზად“.

3.6. ნაწილაკები

ნაწილაკებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მიმართებითი ნაწილაკი zī/dī/d, რომელიც კავშირდაც იხმარება³⁴.

ძველ არამეულ ტექსტებში (წარწერები, ეგვ., ბიბლ.) გვხვდება ორი უარყოფითი ნაწილაკი: ḏal და lā (=ებრ. ḏal, lō), რომელთაგან მოგვიანებით იხმარება მხოლოდ უარყოფითი ნაწილაკი lā. ḏal ნაწილაკი ჩვეულებრივ გამოიყენება ბრძანებით უკუთქმით წინადადებაში, ხოლო ნაწილაკი lā—უარყოფის ყველა დანარჩენ შემთხვევაში. ეგვიპტის არამეულში იმავე ფუნქციით გამოიყენება ნაწილაკი lam (lm). მიმართებითი dī/d ნაწილაკთან ერთად უარყოფითი ნაწილაკი შეადგენს უარყოფით წინდებულებს: ბიბლ. არამ. dīlā, სირ. dʾlā „გარდა“.

ბიბლიის არამეულში იხმარება კითხვითი ნაწილაკი hā (უარყოფასთან ერთად hāʾlā), როგორც ეს ცნობილია ბიბლიის ებრაული ენიდან.

³⁴ იხ. ქვემოთ.

3.7. წინდებულები

ხმარების თვალსაზრისით წინდებულები ორ ჯგუფად იყოფა: დამოუკიდებელი და შერწყმული.

შერწყმული წინდებულები საერთოსემიტური წარმოშობისაა და უმეტეს შემთხვევაში გამოხატავს სივრცისეულ დამოკიდებულებას. ასეთია, მაგალითად, ხ „-ში“, l „-კენ“. შერწყმული წინდებულები k გამოხატავს შედარებას — „როგორც, ვითარცა, -ვით“. l^o წინდებულები ხშირად გვხვდება nota dativi-ს (მიცემითი ბრუნვის მაჩვენებელი) მნიშვნელობით, ჩვეულებრივ იხმარება სახელებთან „ქონების“ ცნების გადმოსაცემად და აგრეთვე ინფინიტივებთან. საშუალო არამეულის დიალექტებში l^o ხშირად ფიქსირებულია როგორც nota accusativi, რომლის ფუნქციასაც ძველ ძეგლებში ასრულებს wāt/yāt ნაწილაკი. wāt-ის სახით დასტურდება იგი ძველ არამეულ წარწერებში (მაგ., ჰად. wt), მოგვიანებით იგი გადადის yāt-ში (ბიბლ.), პირვანდელი სახით კი დაცულია წინდებულში l^owāt „-თან“.

დამოუკიდებელი წინდებულებია: min „-გან“, cad „-მდე“, cim „ერთად“, cal „-ზე“ (ბიბლიის არამეულში cal ზოგჯერ იხმარება ზემოხსენებული l^o-ს მნიშვნელობითაც მოძრაობის მიმართულების გამოსახატავად, რაც ასე გავრცელდა თანამედროვე დიალექტებში), ʔel „-კენ“ (< l^o), სირ. ʔal (< k^o) და ზოგიერთი სხვა. ყველა ეს წინდებულები პირველადია. მეორეული წარმოშობის წინდებულებად ითვლება: bēn „შორის“, taḥaṭ „ქვეშ“, ʔaḥirē „შემდეგ“, bātar (იგივე), ḥilāp „ნაცვლად“ და სხვ. მათი ნაწილი იხმარება სხვა ნაწილაკებთან და წინდებულებთან ერთად (რთული წინდებულები): qōdām, სირ. qōdām „წინ“, min qōdām, min qōdām „წინიდან“; ʔad „მხარე“, აქედან l^oʔad „მხარეს“, ან miṣṣad (< min ʔad) „მხრიდან“; gō „-ში; შიგ“, აქედან b^ogō, l^ogō „შიგ“, „შიგნით“, min gō „შიგნიდან“ და ა. შ.

3.8. კავშირები

მ ა ე რ თ ე ბ ე ლ ი კავშირებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ w^o~m „და“, რომელიც აკავშირებს როგორც ცალკეულ სიტყვებს, ისე მთელ წინადადებებს. გვხვდება აგრეთვე მაჯგუფებელი კავშირი ʔap, მანდ. uap „აგრეთვე“, მაპირისპირებელი lāhēn, b^oram „მაგრამ“, მაცალკეებელი ʔaw~ō „ან“ და სხვ.

განსაკუთრებით მრავალფეროვანია მ ა ქ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ ე-
ლი კავშირები, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია მი-
მართებით სიტყვას $zī \sim dī$, სირ. d^o „რომელიც“. ეს უკანასკნელი
მონაწილეობს ბევრი მაქვემდებარებელი კავშირის შედგენაში: მიზ-
ნის—ეგვ. არამ. bzy , $mn zy$, $Cl zy$, $Cl dbr zy$ „რათა“; დროის—ეგვ.
არამ. kzy , $mn zy$ (სირ. $men d^o$), ბიბლ. არამ. $k^o dī$, $Ca d dī$ „მას შემდეგ,
რაც“; შედარების—ეგვ. არამ. kzy ; მიზეზის (ახსნით)—ეგვ.
არამ. kzy , ბიბლ. არამ. $kol-q^o hēl-dī$ „რადგანაც, იმიტომ რომ“. ზოგჯერ
მხოლოდ $zī/dī/d^o$ გადმოსცემს კავშირებს „რათა“, „რადგანაც“. გარდა
ზემოთ ჩამოთვლილისა, ხშირად ხმარებულ კავშირებს ეკუთვნის:
პირობისა — lw არამეულ წარწერებში, $hen \sim en$, $ʔelū$ „თუ“,
ეგვ. არამ. lmh , hnl , lhn , სირ. $ʔellā$ „თუ არ“, ეგვ. არამ. ky „რად-
განაც, იმიტომ რომ“ (მდრ. ებრ. $kī$) და სხვ. ძველ არამეულ წარწე-
რებში ვხვდებით კავშირს gm „აგრეთვე“, რომელიც მხოლოდ ებ-
რაულ ენაშია გავრცელებული (gam).

4. სინტაქსი

4.1. შესიტყვება

ძველ არამეულს ახასიათებს ორივე სახის შესიტყვება: თანწყობი-
ლი და ქვეწყობილი.

თ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ი შესიტყვებები იქმნება ზემონსე-
ნებული მატრებელი კავშირების მეშვეობით³⁵. ასეთებია, მაგ., ბიბლ.
არამ. $kaspā w^o dahbā$ ³⁶ (Ez 7₁₈) „ვერცხლი და ოქრო“, $ʕamayyā$
 $w^o arcā$ (Ez 5₁₁) „ცა და დეღამიწა“, მანდ. $adam w^o hawa$ „ადამი
და ევა“, $bin waʕkanin$ „ჩვენ ვეძებთ და ვიპოვეთ“, სირ. $w^o h̄arrek$
 $waq^o ʕā w^o yāh l^o hōn$ „... და დალოცა და მოუტეხა და მისცა მათ
[პური]“, და ა. შ.

რაც შეეხება ქ ე ე წ ყ ო ბ ი ლ შესიტყვებებს, ისი-
ნი სამი ტიპისაა: სახელადი (ნომინალური), ზმნური (ვერბალური)
და ზმნისართული (ადვერბიალური). სინტაქსური კავშირი შესიტყ-
ვების ცალკეულ წევრებს შორის ხორციელდება შეთანხმების, მარ-
თვის ან მირთვის საშუალებით.

სახელადი (ნომინალური) შესიტყვებების ნაწილი წარმოადგენს

³⁵ იხ. გვ. 74.

³⁶ $dahbā$ -ს გამო იხ. G. Bergsträsser, დასახ. ნაშრ., გვ. 62.

გენეტიურ კონსტრუქციებს, რომელთა შესახებ ზემოთ გვექონდა საუბარი³⁷. ასეთ შემთხვევებში შესიტყვებების წევრები არსებითი სახელებია.

განსაკუთრებით ხშირია შესიტყვებები, რომლებშიც არსებითებს უკავშირდება ზედსართავეები და ნაცვალსახელები (ჩვენებითი, კუთვნილებითი): ბიბლ. არამ. melek rab (Ez 5₁₁) „დიდიმეფე“, სირ. mādittā hūdā z'ōrtā „ერთი პატარა ოლქი“, მანდ. maya hayi „ცოცხალი წყალი“ (მრ. რ.); ბიბლ. არამ. wa l'ḥīdā dāk (Ez 5₉) „ის სამუშაო“, uššarnā d'nā (Ez 5₉) „ეს შენობა“; სირ. hālēn t'mihātā rawr'ḥātā „ეს დიდი სასწაულები“, talmīdā dilāk „შენი (მღერ.) მოწაფე“; მანდ. hak alma „ის სამყარო“, ahat dilia „მისი (მღ.) და“ და ა. შ.

როდესაც ვსაუბრობთ ზმნურ (ვერბალურ) შესიტყვებებზე, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ პარონომაზიის შემთხვევები, როდესაც ზმნის პირიან ფორმასთან ერთად მოცემულია მისი უპირო ფორმა — ინფინიტივი (ზმნური შინაარსის გაძლიერების მიზნით): მანდ. u'kisia umkisia „ისინი დამალულები არიან“ (აძლიერებს რა შინაარსს, რ. მაცუხი თარგმნის — „ღრმად არიან დამალულები“³⁸). სირ. ʾellā mestar satrin-wā „მაგრამ მათ დაანგრიეს [ყველაფერი]“, ʾāp kaḏ mezkā nezkōn „როცა ისინი იმარჯვებენ“, იუდ.-არამ. md' td' „იციოდე!“ და სხვ.

4.2. მარტივი წინადადება

4.2.1. წინადადების სახეები. არამეულში მიუთითებენ წინადადების ორი ძირითადი ტიპის არსებობას: ზმნურისა და სახელადისა. ზმნურ (ვერბალურ) წინადადებებში შემასმენელი, ბუნებრივია, ზმნის პირიანი ფორმით გადმოიცემა, სახელად (ნომინალურ) წინადადებებში კი — სახელებით (უმათვრესად ზედსართავეებითა და ნაზმნარი სახელებით).

ნომინალ წინადადებებში სახელი შემასმენლის როლში, როგორც წესი, status absolutus-ში დგას (ე. ი. განუსაზღვრელ მდგომარეობაშია, ისე, როგორც სხვა სემიტურ ენებშიც): ბიბლ. არამ. ʿāp'yeḥ šappīr (Dan 4₉) „მისი ფოთლები შშვენიერნი [არიან]“, სირ. bā'cēn „ისინი

³⁷ იხ. გვ. 52.

³⁸ R. Macuch, Altmand. Bleirollen, I, გვ. 120—121.

ეძებენ“ (bācēn მოქმ. გვარის მიმღ. ხცყ-დან „ძებნა“), kad sʷmīk „როცა ის ინახით იჯდა“ (sʷmīk — ვნებ. გვარის მიმღ. smk-დან „ბიჯვის, ბოძის შედგმა“), მანდ. ram hu „ის (მამრ.) მალა-ლია“ (ram „მალალი“), Cmiṣan ainaihun „მათი თვალები დახუ-ჭულია“ (ვნებ. გვარის მიმღეობა Cmṣ-დან „დახურვა“).

ნომინალურია ის წინადადებაც, რომელშიც გვხვდება რთული შე-მასმენელი, რომლის წევრებს სახელთან ერთად წარმოადგენს აგრეთ-ვე verbum substantivum და verbum existentiae. Verbum existen- tiae (აქ, უარყ. ფორმა layt/lēṭ), რომელიც არ იცვლება სქესისა და რიცხვის მიხედვით და მხოლოდ III პირს გამოხატავს, არსებით, ზედ-სართავ, რიცხვით სახელებთან და ნაცვალსახელებთან ერთად შეადგენს ნომინალური წინადადების ერთიან შემასმენელს. მაგ., ბიბლ. არამ. lā ʾiṭaynā pālʰīn (Dan 3₁₈) „ჩვენ არ ვიმსახურებთ“, სირ. bʰkūl ʾaṭar gēr wabʰkūl cam ʾiṭ ʾattirē wʷmeskēnē „მაგრამ ყოველ ქვეყანაში არსებობენ (არიან) მდიდრები და ღარიბები“, მანდ. bdmu marganiata aitunun „ისინი მარგალიტებს ჰგვანან“, იუდ.-არამ. lēṭ- nā mashīd (იერუსალ. თარგ. Deut 32₁) „მე არ ვუხმობ მოწმეებს“ (ზუსტ.: „მე არ ვარ მომხმობი მოწმეებისა“) და ა. შ.

ანალოგიური ვითარებაა verbum substantivum-თან, რომელ-საც ყველა ზმნური ფორმა აქვს და არჩევს პირს, სქესს, რიცხ-ვსა და დროს. განსაკუთრებით ხშირია შედგენილი შემასმენელი, რომელშიც verbum substantivum-ი წარმოდგენილია პერფექტივის ფორმით. ასეთი კომბინაცია შემასმენლის სახელად წევრს აძლევს ზმნურ შინაარსს, რომელიც წარსულ დროს განეკუთვნება: მანდ. hua iada „მან იცოდა“ (ზუსტ.: „იყო მცოდნე“), სირ. hū hʷā zaddīq „ის იყო სამართლიანი“, warcā hʷāṭ tōh wʰōh „და მი-წა იყო უდაბურა და ცარიელი“ და ა. შ.

სირიულში აღნიშნული მიზნით ფართოდ გამოიყენება hwy ზმნის შეკვეცილი ფორმები: hāwē-wa peṣḥā dʰpāṭṭirē (Marc 14₁) „და იყო პასუჯა იგი“. შედგენილ შემასმენელს ზოგჯერ hwy ზმნის იმპერ-ფექტივის ფორმა ქმნის (ამ შემთხვევაში შემასმენელი იმპერფექტი-ვის მნიშვნელობას იძენს): ...dʰlā nehwōn gāzrīn „...რომ მათ არ ჩამოჭრან“.

კითხვითი წინადადებათ, სხვა სახის წინადადე-ბებისაგან განსხვავებით, შეიცავს კითხვით სიტყვებს ანდა სათანა-დო ინტონაციას. მხოლოდ ბიბლიის არამეულს აქვს შესაძლებ-ლობა გამოხატოს კითხვა საგანგებო ნაწილაკის მეშვეობით: mian

sām lōkōm t'cēm baytā d'nā l'mibn'uya...? (Ez 5₉) — „ვის გიბრ-
დანათ თქვენ ამ სახლის აშენება...?“, „lāhāk... hay'kil l'šezābūtāk
min-aryāwātā? (Dan 6₂₁)—„შენს ღმერთს... შეეძლო შენი გადარ-
ჩენა ლომებისაგან?“

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ე ბ ი . ყოველთვის ზმნურია
და შეიცავს შემასმენელს ბრძანებით ან პირობით (უარყოფის შემ-
თხვევაში) კილოში: ბიბლ. არამ. ʔel manayya sē, ʔēzel ʔ'hēl-himmō
b'hēklā dībīrūšlem (Ez 5₁₅)—„აილე ეს ჭურჭელნი, წადი და წაილე
ისინი ტაძარში, რომელიც იერუსალიმშია!“, მანდ. truṣ inak el rah-
mak wel šitlak wel tarmidak³⁹—„მიაპყარ თვალნი შენნი შენს მე-
გობრებს, შენს შთამომავლობასა და შენს მოწაფეებს!“

უ კ უ თ ქ მ ი თ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ე ბ ი . შეიცავს ზმნების,
მათ შორის კოპულა-ზმნის ნეგაციურ ფორმებს, რომლებიც იწარმოება
lā ნაწილაკის მეშვეობით: ბიბლ. არამ. ...umin-ʔdayin w'cad-k'can
miḵb'nē w'lā š'lim (Ez 5₁₆)—„...და იმ დროიდან აქამდე ის შენდე-
ბა, და ჯერ არ დამთავრებულა“, სირ. ...w'lā yādCin-wā mānā nēni-
rūn leh... — „და არ იცოდნენ, რა ეთქვათ მისთვის (მამრ.)“, მანდ.
hin haṭayan whauban wskilatan wtiqlatan wšabašatan la šabqat-
lan⁴⁰—„თუ შენ ჩვენს ცოდვებს და ჩვენს დანაშაულთ და ჩვენს
უგუნურებათ და ჩვენს ცდომილებათ და ჩვენს შეცდომათ არ გვა-
პატიებ ჩვენ...“ და მისთ. ბიბლიის არამეულში გვხვდება უკუთქმითი.
წინადადება ʔal ნაწილაკითაც (როდესაც ზმნა პირობით კილოშია):
...ḥelmā ūpīšrē ʔaly'ḥah'ālāḳ (Dan 4₁₆)—„...სიზმარი და მისი მნიშ-
ვნელობა არ არის შენს ხელთ“.

4.2.2. წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს წ ე ე რ ე ბ ი . ქ ე ე მ დ ე ბ ა -
რ ი ს როლში გვევლინება ნაცვალსახელები და ყოველგვარი სახე-
ლები (არსებითი, ზედსართავი, ნაზმნარი, რიცხვითი). როდესაც ვე-
ხებით უ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ს, განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ მიმ-
ლეობები შემასმენლის ფუნქციით ნომინალურ წინადადებებში. ასეთ-
შემთხვევებში მიმლეობები არცთუ იშვიათად გადმოსცემენ აწმყო
დროს, რომელიც გამოხატავს როგორც განმეორებად, მრავალჯერად
და განგრძობით (ე. წ. აწმყო ზოგადს), ისე მეყსეულ მოქმედებებს,
რომელთაც ადგილი აქვთ მოცემულ კონკრეტულ მომენტში (ე. წ.
აწმყო კონკრეტულს). აქედანაა ამ ფორმის ფართოდ ხმარება თხრო-

³⁹ G. Bergsträsser, Einführung..., გვ. 78.

⁴⁰ იქვე.

ბისას. ასეთი შემთხვევები ხშირია ბიბლიის არამეულში, საშუალო არამეულ დიალექტებში (იუდ.-არამ., სირ., მანდ., ბაბილ. თაღმ.) კი მიმდებარის (st. absol.-ში) გამოყენება პირის ნაცვალსახელების ენკლიტიკურ ფორმებთან ერთად შემასმენლად სახვებით ჩვეულებრივი მოვლენა. ამასთან, მოკმ. გვარის მიმდებარე აწმყოს გადმოსცემს, ვნებ. გვარის მიმდებარე კი — ნამყოს (სირ. ʾāmar-nā „მე ვამბობ“, kubbē ʿiqīrīn „ეკლები გამოგლეჯილია“). საინტერესოა შემთხვევები, როდესაც კოპულა-ზმნად გამოყენებულია III პირის ნაცვალსახელები: სირ. rab hū hūʾāheh „დიდია მისი ცოდვა“ (ზუსტ.: „დიდი იგი მისი ცოდვა“), მანდ. ka hu kuṣṭa „აქ არის სიმართლე“ (ზუსტ.: „აქ იგი სიმართლე“), იუდ.-არამ. dēn hū malkā mōšīḥā „ეს არის მეფე მესია“ (ზუსტ.: „ეს იგი მეფე მესია“), ʾilēn ʾiḥnūn mānayyā „ეს არის ქურქელი“ (ზუსტ.: „ესენი ისინი ქურქელი“).

ქვემდებარე და შემასმენელი ჩვეულებრივ შეთანხმებულია სქესსა და რიცხვში. რაც შეეხება სტატუსს, ნომინალურ წინადადებებში ქვემდებარე შეიძლება იდგეს status emphaticus-ში, შემასმენელი კი—status absolutus-ში (ასეა ყოველთვის სირიულში, სადაც st. emphaticus-ი სახელის ჩვეულებრივი მდგომარეობაა, ნეიტრალურია დეტერმინაციის თვალსაზრისით: სირ. malkā ʿāḫā „კარგი მეფე“, ხოლო malkā ʿāḫ „მეფე კარგია“). მაგრამ არამეულ დიალექტებში ცნობილია შემთხვევები, როდესაც წინადადების მთავარ წევრებს შორის ზემოთ ნაჩვენები შეთანხმება არა გვაქვს. მაგ., რამდენიმე ქვემდებარე, რომლებიც ერთმანეთს w^o კავშირით უკავშირდება, ყოველთვის არ ეთანხმება რიცხვში შემასმენელს (ეს უკანასკნელი შეიძლება იდგეს როგორც მრავლობით, ისე მხოლოდობით რიცხვში). მაგალითების მოტანა ყველა არამეული დიალექტიდან შეიძლება (სირ. pāš ʾaḫran wam^odittan „დარჩნენ ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ქალაქი“; ზუსტ.: „დარჩა ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ქალაქი“), მანდ. sina qina uplugia blibaikun lanihuia „სიძულვილი, ექვიანობა და იქვენეულობა არ უნდა იყოს თქვენს გულებში“ (lanihuia — მხ. რიცხვია). ანალოგიური ვითარებაა ქვემდებარესთან, რომელიც კრებითი სახელითაა გადმოცემული. სახელდობრ კი, სულიერი საგნების აღმნიშვნელი კრებითი სახელი შემასმენელს ხშირად მრ. რიცხვში მოითხოვს, თუმცა ქვემდებარის ფორმა მხ. რიცხვისაა: სირ. q^ocaw ʿammā „ყვირის ხალხი“ (ზუსტ.: „ყვირიან ხალხი“), მანდ. šipar pahria trin trin „ფრინველები (კრებ.) ორ-ორი დაფრინავენ“. რიგი სიტყვები, როგორცაა, მაგ., კითხვითი ნაცვალსახელი man „ვინ?“, შემასმენელს ხან მხ. რიცხვში მოით-

ხოვს, ხან მრავლობითში. იგივე უნდა ითქვას სქესში შეთანხმების შესახებაც: შემასმენელი სიტყვასთან man შეიძლება იდგეს როგორც მამრ. სქესში, ისე მდედრობითში, იმისდა მიხედვით, თუ რა შინაარსი აქვს ნაცვალსახელს (ე. ი. რას აღნიშნავს ნაცვალსახელი man: მამაკაცს თუ ქალს, ერთს თუ ბევრს). ასე ხდება მანდეურში და ზოგიერთ სხვა არამეულ დიალექტში.

პ ი რ დ ა პ ი რ დ ა მ ა ტ ე ბ ა ს ზოგჯერ I^o ნაწილაკი (nota accusativi) ახლავს: იუდ.-არამ. šbqyh llbšyh „მან დატოვა თავისი ტანისამოსი“, გალ. rhym lmlk „მას უყვარს მეფე“, მანდ. anihh llibai „მან დაამშვიდა ჩემი გული“, ulman nat̄ria „და ვისაც ისინი იცავენ“, სირ. lab^onaw dēn talmed „მის ვაჟებს ის ასწავლიდა“. ბიბლიის არამეულში, პალმირულში, ნაბატეურსა და იუდეურ-არამეულში დასტურდება სიტყვა yāt^o აკუზატივის ნაწილაკის ფუნქციით, რაც შეესაბამება ებრაულ ენაში გავრცელებულ ნაწ. גַּעַת-ს (ბიბლ. არამ. ...dī manniṭā yāṭhōn ḥal-ḥiḏaṭ mōḏinaṭ bābel (Dan 3₁₂)— „რომლებიც შენ დააყენე ბაბილონის ქვეყნის საქმეებზედ“). უფრო ხშირად კი პირდაპირი დამატება, რომელიც შემასმენელს მოსდევს, სპეციალური ნაწილაკების გარეშეა წარმოდგენილი (როგორც, მაგ., ბიბლ. არამ. bānayin bayṭā (Ez 5₁₁) „ჩვენ ვაშენებთ სახლს“). მაგრამ სიტყვების სხვაგვარი დალაგებისას, სახელდობრ კი იმ შემთხვევაში, როდესაც პირდაპირი დამატება შემასმენლის წინ დგას, ის წარმოდგენილია ზმნის ფორმასთან სათანადო ნაცვალსახელური სუფიქსით: ბიბლ. არამ. ūḫayṭā ḏnā saṭreḥ (Ez 5₁₂) „და მან დაანგრია მისი სახლი“ (ზუსტ.: „და სახლი ეს მან დაანგრია-იგი“), სირ. I^omalkā qat̄leh „მან მოკლა მეფე“ (ზუსტ.: „მეფე მან მოკლა-იგი“).

ი რ ი ბ ი დ ა მ ა ტ ე ბ ა წინადადებაში, როგორც წესი, ზემოხსენებულ I^o ნაწილაკთან ერთადაა წარმოდგენილი (ასეთ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ე. წ. nota dativi-სთან): ბიბლ. არამ. k^oṭāḫḫā ʾeqre I^omalkā (Dan 5₁₇) „მე წავუკითხავ წერილს მეფეს“, სირ. ʾumarleh I^ohannan „და უთხრა მან ჰანანს“, მანდ. mipal maia larqa „მიეხეთქა წყალი მიწას“ და ა. შ.

4.2.3. ს ი ტ ყ ე ე ბ ი ს რ ი გ ი. სიტყვების თანამიმდევრობა ვერბალურ და ნომინალურ წინადადებებში ძველ სემიტურ ენებში ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. პირველ შემთხვევაში (ზმნურ წინადადებებში) რიგი ასეთი იყო: შემასმენელი — ქვემდებარე — პირდაპირი დამატება, მეორე შემთხვევაში კი პირველ ადგილზე გადმოინაცვლებდა ქვემდებარე. დასაშვებია, რომ არამეული ენაც თავისი განვითარების აღრეულ

საფეხურზე იმეორებდა ამგვარ წყობას. ის დაუკლო ბიბლიის არამეულ-ში მხოლოდ ქვეწყობილ წინადადებებში, და ისიც იშვიათად. უფრო გავრცელებული ჩანს წინადადება მთავარი წევრების ასეთი დალაგებით: პირდაპირი დამატება — შემასმენელი — ქვემდებარე. და თუ ასეთი დამატება არა გვაქვს: ქვემდებარე — შემასმენელი. ეს უკანასკნელი სულ უფრო იკიდებს ფეხს სირიულში, თუმცა, ძირითადად, შემასმენლის, მათ შორის სახელადი შემასმენლის, ადგილი მკაცრად განსაზღვრულია. სიტყვათა დალაგების მხრივ შედარებით დიდი თავისუფლება შეინიშნება მანდეურშიც, თუმცა ქარბობს შემთხვევები, როდესაც შემასმენელი მოსდევს ქვემდებარეს, პირდაპირი დამატება კი — შემასმენელს (განსაკუთრებით მაშინ, როცა ზმნა პერფექტივშია). მიუთითებენ აგრეთვე ზმნის შემდეგ ქვემდებარე-ნაცვალსახელის ხმარების შემთხვევებსაც: *aša hu* „იგი მოვიდა“⁴¹.

მსაზღვრელი, როგორც წესი, საზღვრულს მოსდევს და ეთანხმება მას სქესსა, რიცხვსა და სტატუსში: *malkā tāhā* „კარგი მეფე“, ბიბლ. არამ. *bēṭ ʾēlāhā rabīā* (Ez 5₆) „დიდი ღმერთის სახლი“ (ზუსტ.: „მეფე კარგი“, „სახლი ღმერთისა დიდისა“). მაგრამ გვაქვს შემთხვევები, როდესაც მსაზღვრელი უსწრებს საზღვრულს. მაგალითად, ზედსართავებთან, როგორცაა *sagḡī* „ბევრი“, *qallil* „ოცოტა“ და ზოგიერთი სხვა. სიტყვების ზემოხსენებული თანამიმდევრობა ხშირად ირღვევა პოეტურ თხზულებებში.

5. ლექსიკა

5.1. ძველი არამეული დიალექტების ლექსიკური მარაგი საუკუნეების განმავლობაში ივსებოდა უცხო ენებიდან და სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა წყაროებიდან და სხვადასხვა ინტენსივობით წარმოებდა.

უძველეს შრედ უცხოურ ლექსიკაში უნდა მივიჩნიოთ აქ აღწერილი წარმოშობის სიტყვები, რომლებიც მეტწილად კულტურულ და ადმინისტრაციულ სფეროს განეკუთვნება: ბიბლ. არამ. *hēklā* „სასახლე; ტაძარი“, *korsē* „სკამი“, *sʿgan* „პრეფექტი“, *peḥā* „მმართველი; განმგებელი“, *ʾigḡrā* „წერილი“, *šaklil* და *šēṣī* „დამთავრება“; სირ. *ʾizgādā* „შიკრიკი“, *ʾumānā* „ხელოსანი“, *ʾāšyā* „ეჭიმი“; მანდ. *abula* „ჭიშკარი“, *tangara* „ვაჭარი“ და სხვ.

⁴¹ R. M a c u c h, *Allmand. Bleirollen*, I, გვ. 112.

აქემენიანთა დროიდან არამეულ ენაში მკვიდრდება სპარსული წარმომავლობის სიტყვები. ძველი სპარსული ნასესხობების ძირითად ნაწილს სახელმწიფოებრივ-ადმინის ტრაციული შინაარსის სიტყვები შეადგენს, როგორიცაა ბიბლ. არამ. ʾḫšārpaʾnayyā „სატრაპები“, dīābrayyā „კანონმდებლები“ და სხვ. უფრო გვიანდელ ხანაში არამეულში, განსაკუთრებით აღმოსავლურარამეულ დიალექტებში, ფეხს იკიდებს სხვადასხვა ხასიათის სპარსული სიტყვები, როგორიცაა, მაგ., იულ.-არამ. ʾandarūn „ოთახი“, piḷgām „სიტყვა“; სირ. bāzī „შევარდენი“, gawnā „ფერი“, gazzā „განძი“, ḫšā-mīlā „ტაბლობა, პურის ჭამა“, მანდ. zanga „ზარი“, ṭrunḡa „ლიმონი“, marzbana „საზღვარი“ და ა. შ.

ბიბლიის არამეულ ენაში შეინიშნება ებრაული ს დიდ გავლენა, რაც ვლინდება ამ დიალექტის ლექსიკაშიც. საილუსტრაციოდ შეიძლებოდა დაგვესახელებინა სიტყვები: nḥnā „წინასწარმეტყველება“, malʾak „ანგელოზი“, kāḥnayyā „მღვდლები“ და სხვ. ებრაული ენის გავლენა ვლინდება სხვა არამეულ დიალექტებშიც, და, პირველ რიგში, იუდეურ-არამეულში: ʾādām „ადამიანი“, ʾōrēaḥ „მოგზაური“, zē „ეს“ (მამრ.), ṣēl „ჩრდილი“ (მდრ. სირ. ṭella, მანდ. ṭlala); სირ. šabbūlā „კვირა“, šīḡōrā „ტრომბონი“, მანდ. kahua „ძლიერი“ და სხვ.

საშუალო არამეულ დიალექტებში, როგორიცაა იუდეურ-არამეული, სირიული, მანდეური და სხვ., ადვილად იკრება ბერძნული და ლათინური წარმომავლობის სიტყვები: იულ.-არამ. zōg „წყვილი“, qʾlas „შექება, ხოტბის შესხმა“, ʾisṭrāṭēs „ჯარისკაცი“, ʾisṭrāṭā „ქუჩა“; სირ. ʾespuggā „ღრუბელი (მცენარე)“, ʾespirā „ბურთი, სფერო“, ṭupsā „ტიპი“, lampēḏā „ჩირალდანი“, sēmā „ვერცხლი“, peṣḥā „პასეჟი“ და მრავალი სხვა; მანდ. aiar „ჰაერი, ატმოსფერო“, qlida „გასაღები“, arkun „განმგებელი“ და ა. შ.

საგანგებოდ უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ საშუალოარამეული დიალექტებიდან საერთოარამეული ლექსიკა ყველაზე უკეთ დაუცავს მანდეურს, რომელშიც უცხოური სიტყვებიდან სპარსული და არაბული ჭარბობს. თუმცა ბერძნული ნასესხობანი ყველა საშუალო-არამეულ დიალექტს ახასიათებს, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით მდიდარია სირიული ენა, რომელშიც ვხვდებით არა მარტო სხვადასხვა შინაარსის ბერძნულ ტერმინებს, არამედ ბერძნულ წინადადებებს, კავშირებს, სახელის მაწარმოებელ აფიქსებსა და მთელ სინტაქსურ კონსტრუქციებსაც.

დღეს არამეულად ლაპარაკობს ცალკეული კომპაქტური ჯგუფები, რომლებიც გაბნეულია საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე — ანტილიბანის მთებიდან (სირაა), ვიდრე ურმიის ტბამდე (ირანის აზერბაიჯანი). მათი არამეული მეტყველება წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი დიალექტით, რომლებიც, როგორც უკვე აღინიშნა, უპირისპირდება ძველ და საშუალო არამეულ დიალექტებს, როგორც ცოცხალი მეტყველება მკედარ ენას. ამდენად, ახალ არამეულ დიალექტებს უწოდებენ თანამედროვე არამეულ დიალექტებსაც. თანამედროვე დიალექტები გეოგრაფიული პრინციპით შეიძლება დავაჯგუფოთ სამად: დასავლური, ცენტრალური და აღმოსავლური.

6.1. დასავლური არამეული წარმოდგენილია სირიაში (ანტილიბანის მთებში) არსებული სამი სოფლის (მაღლულა, ბახსა, ჯუბ-ადინ) მეტყველებით, რომელიც ერთ-ერთი ამ სოფლის — მაღლულას დიალექტის სახელითაა ცნობილი. ეს დიალექტი, როგორც ეს ქვემოთაც ჩანს, განსაკუთრებულ სიახლოვეს პალესტინის არამეულ დიალექტებთან იჩენს.

მაღლულაზე მოლაპარაკეთა რიცხვი შედარებით მცირეა¹. ამასთანავე, ისინი ცხოვრობენ არაბულენოვან გარემოში და ამის გამო თავისუფლად ფლობენ არაბულ ენასაც. ასეთმა ენობრივმა სიტუაციამ შექმნა პირობები არაბული ენის ძლიერი გავლენისათვის ცოცხალ დიალექტზე. არაბებთან ასიმილაციის პროცესის (ენის თვალსაზრისით) ერთგვარად ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ამ დიალექტზე მოლაპარაკეთა დიდი ნაწილის მიერ ჯერ კიდევ დაულოქრისტიანული სარწმუნოება.

მაღლულას დიალექტზე გაკეთებული პირველი ჩანაწერები ეკუთვნის XVIII ს-ის მეორე ნახევარს², ხოლო მეტ-ნაკლებად მნიშვნე-

¹ დაახლოებით 4000-დე (1963 წლის მონაცემებით. იხ. O. Jastrow, Laut- und Formenlehre des neuaramäischen Dialekts von Midin im Tur Abdin, Bamberg, 1967, გვ. VIII).

² C. Niebuhr, Beschreibung von Arabien, Kopenhagen, 1772, გვ. 92.

ლოვანი ტექსტები ამ დიალექტზე გამოიცა 1863 წელს³. მას შემდგომ ტექსტები ამ დიალექტზე არა ერთხელ ჩაწერილა და გამოცემულა (ყ. პარიზო, ე. პრიმი, ა. სოცინი, მ. ბერგმეტრესერი, ს. რაიხი, ა. შპიტალერი, ვ. კანტინო)⁴.

6.2. ცენტრალურ დიალექტებად ვვარაუდობთ ტურ-აბდინის მთებში გავრცელებულ არამეულ დიალექტებს (მიდლოაო, მიდიოაო, ივარნოაო და სხვ.), რომლებიც ხშირად ერთი სახელითაა ცნობილი (ტორანი, ტუროაო, ტურ-აბდინის დიალექტი)⁵. ტურაბდინელი არამეელები, რომლებიც თურქეთის ქურთისტანში თურქულენოვანი და ქურთულენოვანი მოსახლეობის მეზობლად ცხოვრობენ, მშობლიურ ენასთან ერთად ფლობენ თურქულ და ქურთულ ენებსაც, რაც ტურაბდინელთა არამეულ მეტყველებაზე გარკვეულ კვალს ამჩნევს. ტუროაოს (resp. ტორანის) საშუალო ადგილი უჭირავს დასავლურარამეულსა (მაცლულას) და ქვემოთ აღნიშნულ აღმოსავლურ დიალექტებს შორის. აქედან ტუროაოს სახელწოდებაც — ცენტრალურარამეული.

ტუროაოს ტექსტების პირველი მნიშვნელოვანი გამოცემა ეკუთვნის ე. პრიმსა და ა. სოცინს (1881)⁶. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჰ. რიტერის მიერ გაწეული დიდი შრომა ცენტრალურ-არამეული დიალექტების ტექსტების გამოცემის საქმეში⁷, ასევე ო. იასტროვის პუბლიკაციები.

6.3. აღმოსავლურ არამეულ დიალექტთა ჯგუფი განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია. ამ დიალექტების მატარებელნი თავისთავს „ასურელებს“ (aturāy, äsürāy) უწოდებენ, თელიან რა თავს ძველი ასურეთის მკვიდრთა შთამომავლებად. ისინი ცხოვრობენ ირანში (ურმიის ტბის მახლობლად და დიდ ქალაქებში), ერაყში (მოსულისა და ბაკუბას რაიონში), თურქეთში (ქურთისტანის მთებში და ვანის ვილაიეთში), სირიაში (მდ. დიდი ხაბურის ნაპირებზე, ხასეკესა და რას-ელ-აინს შორის), ასევე ხსენებული ქვეყნების საზღვრებს გარეთაც, ძირითადად, საბჭოთა კავშირში (ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში, როგორცაა მოსკოვი, ლენინგრადი, ხარკოვი და სხვ.) და ამერიკის

³ I. Ferrette, On a Neo-Syriac Language still spoken in the Anti-Libanon, JRAS, 1863, გვ. 431—436.

⁴ იხ. თანდართული ბიბლიოგრაფია, გვ. 254—257.

⁵ იხ. O. Jastrow, დასახ. ნაშრ., გვ. VIII.

⁶ Der neuaram. Dialekt des Tûr (Abdin, Göttingen).

⁷ Turoyo, B. I (1967), B. II (1969), B. III (1971), Beirut.

შეერთებულ შტატებში (კალიფორნიასა და მსხვილ სამრეწველო ქალაქებში, როგორცაა ჩიკაგო, ფილადელფია და სხვ.).

აღმოსავლური არამეულის მატარებელთა დიდი ნაწილი ქრისტიანებია, რომელთა შორის გვხვდება სხვადასხვა მიმართულების მიმდევარნი (უმეტესად—ნესტორიანელები და იაკობიტები, ასევე კათოლიკები და მართლმადიდებელნი), ნაწილი — იუდეველები.

აღმოსავლურარამეული დიალექტებიდან უნდა დავასახელოთ: უ რ მ ი უ ლ ი, რომელიც საფუძვლად დაედო თანამედროვე ასურულ ლიტერატურულ ენას, ვ ა ნ ი ს, ს ა ლ ა მ ა ს ი ს, მ ო ს უ ლ ი ს ა და მთის დიალექტები (ჭ ი ლ უ, ტ ი ა რ ი, თ ხ უ მ ი და სხვ.). ცალკე დიალექტებს ქმნის ე ბ რ ა ე ლ თ ა ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ ი ა რ ა მ ე უ ლ ი მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა (ირანის აზერბაიჯანი: ურმია, სალამასი, და ერავი: ზახო). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ერთი და იმავე რაიონის ქრისტიანებისა და ებრაელების (იუდეველების) მეტყველება საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან (მაგ., ურმიის რაიონის ქრისტიანთა და ებრაელთა არამეული მეტყველება).

პირველი ცნობები ახალ აღმოსავლურ არამეულ დიალექტებზე ეკუთვნის უკვე ხსენებულ კ. ნიბურს, რომელმაც მაღლულას დიალექტის შესახებაც გამოაქვეყნა პირველი ცნობები⁸. პირველი ტექსტები ხსენებულ დიალექტებზე გამოაქვეყნეს მისიონერებმა, რომლებიც მოღვაწეობდნენ ამ დიალექტების მატარებელთა შორის (XIX ს-ის I ნახევარი). გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან იქმნება სტამბა (ურმიისში), სადაც იბეჭდება ლიტერატურა ახალ არამეულ („ასურულ“) ენაზე, რისთვისაც გამოიყენება სირიული დამწერლობა.

ლიტერატურული ენის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა თვით ამ ენის მატარებელმა ხალხმაც — ე. წ. ასურელებმა, რომელთა შორის პირველი ადგილი, სავსებით სამართლიანად, ეთმობა თანამედროვე ასურული ლიტერატურის ფუძემდებელს თ ო მ ა უ დ უ ს (ო დ ო ს) (1853—1917). ახალ ლიტერატურულ ენაზე გამოდის გაზეთები და ჟურნალები, სასწავლო და მხატვრული ლიტერატურა. იწერენ და აქვეყნებენ ტექსტებს ცალკეულ აღმოსავლურ არამეულ დიალექტებზე (ა. მერქსი, ა. სოცინი, ე. პრიმი, რ. დიუვალი, ა. ზახაუ, ა. კალაშევი, კ. წერეთელი, ი. გარბელი, ა. გამრიელოვა, ი. ფრიდრიხი, ე. ჩერული, ფ. ა. პენაკიეტი და სხვ.).

⁸ C. Niebuhr, დასახ. ნაშრ., გვ. 92.

7.1. ახალი არამეულის ბგერითი სისტემა ერთგვარად განსხვავდება ძველი არამეულისაგან. დაკარგულია ზოგიერთი თანხმოვანი (თუმცა არა ყველა დიალექტში), განვითარდა ახალი, ძველ არამეულში უცნობი ბგერა.

ძველი არამეულის კონსონანტიზმი კარგადაა დაცული დას. არამეულში — მაღლულაში, სადაც „ძველ თანხმოვნებთან“ ერთად გვხვდება ზოგიერთი ახალი თანხმოვანიც — ალვეოლარული აფრიკატები ჭ (მყდერი) და ჯ (ყრუ), ასევე ალვეოლარული სპირანტი მყდერი ჯ. იგივე სურათი შეინიშნება დიალექტების ცენტრალურ ჯგუფში (ტურ.), მაშინ, როცა აღმ. არამეულში (მოსულის, ურმიის, სალამასისა და სხვ.) კონსონანტიზმი საკმაოდ მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის, რაც ძირითადად ემფატიკური და ფარინგალური თანხმოვნების დაკარგვაში გამოიხატება (გამონაკლისია მოსულის დიალექტი, სადაც დამოწმებულია ფარინგალური ყრუ ჰ-ს ხმარება). აქვე უნდა აღვნიშნოთ აბრუპტივების (მკვეთრების) განვითარება აღმ. არამეულში (p, t, k, ʔ = ქართ. პ, ტ, კ, ჭ), ასევე იმ თანხმოვნების არსებობა, რომლებიც ძველ და საშუალო არამეულში გვხვდებოდა როგორც ალოფონები ხმულებისა პოსტვოკალურ პოზიცი-აში, ხოლო ახალ არამეულში — დამოუკიდებელი ფონემებია (f, v, ɣ, ʕ, ɖ, ɗ).

ამრიგად, თანხმოვნების ტაბულა ახალ არამეულში ასე გამოიყურება:

ბ ი ლ ა ბ ი ა ლ უ რ ი :	მყდერი ხმული	b
	ყრუ ხმული	p
	მკვეთრი ხმული	p (აღმ. არამ.)
	ნახალი ხმული	m
	ნახეყარხმოვანი	w

ლ ა ბ ი ო დ ე ნ ტ ა - ლ უ რ ი :	მყდერი სპირანტი	v
	ყრუ სპირანტი	f

დ ე ნ ტ ა ლ უ რ ი :	მყდერი ხმული	d
	ყრუ ხმული	t
	მკვეთრი ხმული	t (აღმ. არამ.)

	ემფატიკ. მკლერი ხშული	ძ (ტურ.)
	ემფატიკ. ყრუ ხშული	ჭ (მაცლ., ტურ.)
	ნაზალი ხშული	ნ
	ლატერალი ხშული	ლ
	მკლერი სპირანტი	ზ
	ყრუ სპირანტი	ს
	ემფატიკ. ყრუ სპირანტი	ჭ (მაცლ., ტურ.)
	ემფატიკ. მკლერი სპირანტი	ჯ (მაცლ.)
	წინაენისმიერი ვიზრანტი	რ
ინტერდენტალური:	მკლერი სპირანტი	ძ
	ყრუ სპირანტი	ჭ
	ემფატიკ. მკლერი სპირანტი	ჭ (მაცლ.)
ალვეოლარული:	მკლერი სპირანტი	ჯ
	ყრუ სპირანტი	წ
	მკლერი აფრიკატა	ჭ
	ყრუ აფრიკატა	წ
	მკვეთრი აფრიკატა	ჭ (ალმ. არამ.)
პალატალური:	მკლერი სპირანტი	ყ
	ყრუ სპირანტი	ჩ
ველარული:	მკლერი ხშული	გ
	ყრუ ხშული	კ
	მკვეთრი ხშული	კ (ალმ. არამ.)
	მკლერი სპირანტი	გ
	ყრუ სპირანტი	ხ
უველარული:	ყრუ ხშული	კ
ფარინგალური:	მკლერი სპირანტი	ც
	ყრუ სპირანტი	ჩ
ლარინგალური:	ყრუ ხშული	კ
	ყრუ სპირანტი	ხ

კონსონანტიზმის თვალსაზრისით დიალექტებში შეინიშნება გარკვეული სხვაობა. უპირველეს ყოვლისა, აქ უნდა დავასახელოთ ხშულების გადასვლა სათანადო სპირანტებში სიტყვის თავში მაჩლულას დიალექტში (გამონაკლისია ხ თანხმოვანი, რომელიც უცვლელად რჩება, რამდენადაც ხსენებულ დიალექტში ხ-ს სპირანტიზებული წარმოთქმა დაკარგულია): \underline{d} ნაცვლად \underline{d} ხშულისა: $\underline{d}\bar{e}\bar{s}\bar{a}$ „მგელი“ ($\langle \underline{d}\bar{e}\bar{s}\bar{a} \rangle$), \bar{y} (\bar{y}) გ-სათვის: $\bar{y}\bar{a}\bar{n}\bar{n}\bar{a}$ „ბალი“ ($\langle \underline{g}\bar{a}\bar{n}\bar{n}\bar{a} \rangle$), \bar{k} (\bar{h}) კ-სათვის: $\bar{k}\bar{e}\bar{f}\bar{a}$ „ქვა“ ($\langle \underline{k}\bar{e}\bar{r}\bar{a} \rangle$). რაც შეეხება \underline{p} -ს, ის ყველგან შეცვლილია \bar{f} -თი: $\bar{f}\bar{e}\bar{l}\bar{k}\bar{a}$ „ნახევარი“ ($\langle \underline{p}\bar{e}\bar{l}\bar{g}\bar{a} \rangle$), $\bar{k}\bar{e}\bar{s}\bar{f}\bar{a}$ „ვერცხლი“ ($\langle \underline{k}\bar{e}\bar{s}\bar{p}\bar{a} \rangle$), $\bar{o}\bar{l}\bar{e}\bar{f}$ „ათასი“ ($\langle \underline{a}\bar{o}\bar{l}\bar{e}\bar{p} \rangle$). \bar{f} გვხვდება \underline{p} -ს ნაცვლად ტუროიოშიც: $\bar{f}\bar{a}\bar{l}\bar{g}\bar{o}$ „ნახევარი“, $\bar{a}\bar{l}\bar{f}\bar{o}$ „ათასი“, ხოლო აღმ. არამეულში ხშული \underline{p} ხსენებულ პოზიციაში დაცულია, ამასთანავე იგი გვხვდება იმ შემთხვევაშიც, სადაც \underline{p} -ს სპირანტიზაციით \bar{f} სპირანტი იყო მოსალოდნელი: $\bar{k}\bar{i}\bar{p}\bar{a}$ „ქვა“ ($\langle \underline{k}\bar{e}\bar{r}\bar{a} \rangle$), $\bar{a}\bar{p}\bar{r}\bar{a}$ „მიწა“ ($\langle \underline{a}\bar{p}\bar{r}\bar{a} \rangle$) და სხვ. დასავლურ და ცენტრალურ არამეულში დაცულია ფარინგალები \bar{c} და \bar{h} , სხვა დიალექტებში კი ფარინგალური \bar{h} გადადის ველარ \bar{x} -ში; გამონაკლისია აქ მოსულის დიალექტი, სადაც \bar{h} -დან მიღებული \bar{x} -ს გვერდით დამოწმებულია ფარინგალური \bar{h} -ს ხმარების შემთხვევები: მაჩლ. $\bar{a}\bar{h}\bar{h}\bar{a}\bar{d}$, ტურ. $\bar{h}\bar{a}$, მოს. $\bar{h}\bar{a}$, მაგრამ ურმ. $\bar{h}\bar{a}$ „ერთი“; ტურ. $\bar{h}\bar{e}\bar{l}\bar{m}\bar{o}$ და მოს. $\bar{h}\bar{i}\bar{l}\bar{m}\bar{a}$ „სიზმარი“, მაგრამ ურმ. $\bar{h}\bar{i}\bar{l}\bar{m}\bar{a}$.

მაჩლულას დიალექტში შეინიშნება მკვდერი ხშულების (\underline{b} , \underline{d} , \underline{g}) დაყრუება, თუ ისინი არ გადაიწევიან სპირანტებში, როგორც ამაზე ზემოთ ითქვა, და, სახელდობრ: $\underline{b} > \underline{p}$, $\underline{d} > \underline{t}$, $\underline{g} > \underline{k}$. ამრიგად, ამ დიალექტში არსებული ყრუ ხშული \underline{p} მეორეული წარმოშობისაა მხოლოდ, რომელიც ხ-ს დაყრუებითაა მიღებული, ხოლო მკვდერი ხ სპირანტიზებული \bar{x} -ს ნაცვალია: $\bar{q}\bar{a}\bar{b}\bar{r}\bar{a}$ „საფლავი“ $\langle \bar{q}\bar{a}\bar{b}\bar{r}\bar{a} \rangle$, მაგრამ $\bar{h}\bar{e}\bar{l}\bar{p}\bar{a}$ „ძალი“ $\langle \bar{k}\bar{a}\bar{l}\bar{b}\bar{a} \rangle$. დაყრუება განიცადეს გაორკეცებულმა მკვდერებმაც: $\bar{l}\bar{e}\bar{p}\bar{p}\bar{a}$ „გული“ $\langle \bar{l}\bar{e}\bar{b}\bar{b}\bar{a} \rangle$. შდრ., ასევე, $\bar{d}\bar{e}\bar{b}\bar{s}\bar{a}$ „თაფლი“ ($\langle \bar{d}\bar{e}\bar{b}\bar{s}\bar{a} \rangle$) და $\bar{t}\bar{e}\bar{l}\bar{k}\bar{a}$ „თოვლი“ ($\langle \bar{t}\bar{e}\bar{l}\bar{g}\bar{a} \rangle$), $\bar{g}\bar{a}\bar{d}\bar{y}\bar{a}$ „თიკანი“ ($\langle \bar{g}\bar{a}\bar{d}\bar{y}\bar{a} \rangle$) და $\bar{g}\bar{e}\bar{l}\bar{t}\bar{a}$ „ტყავი“ ($\langle \bar{g}\bar{e}\bar{l}\bar{d}\bar{a} \rangle$). რაც შეეხება ყრუ ხშულებს (\underline{p} , \underline{t} , \underline{k}), აქ მდგომარეობა ასეთია: პირველი მათგანი (\underline{p}), როგორც ეს უკვე აღინიშნა, ყველგან შეცვლილია \bar{f} სპირანტით, \underline{k} დაცულია ასეთივე სახით, ხოლო ყრუ ხშული \underline{t} სიტყვის შიგნით გადადის ყრუ აფრიკატ $\bar{t}\bar{s}$ -ში; $\bar{q}\bar{e}\bar{l}\bar{f}\bar{a}$ „ქერქი“ ($\langle \bar{q}\bar{i}\bar{l}\bar{p}\bar{a} \rangle$), $\bar{m}\bar{a}\bar{l}\bar{k}\bar{a}$ „მეფე“ ($\langle \bar{m}\bar{a}\bar{l}\bar{k}\bar{a} \rangle$), მაგრამ $\bar{t}\bar{a}\bar{r}\bar{c}\bar{i}$ „ორი“ ($\langle \bar{t}\bar{a}\bar{r}\bar{l}\bar{e}\bar{n} \rangle$); ასევეა გაორკეცებულ \underline{t} -სთანაც ($\underline{t}\bar{t} > \bar{c}\bar{c}$): $\bar{h}\bar{a}\bar{c}\bar{c}\bar{a}$ „ახალი“ (მდ.) ($\langle \bar{h}\bar{a}\bar{t}\bar{l}\bar{a} \rangle$).

ახალი თანხმოვნებიდან დასავლურმა და ცენტრალურმა არამეულმა

დიალექტებმა შეიძინეს მკლერი ემფატიკური თანხმოვნები — ხშუ-
ლი d და სპირანტი d (რომელიც ბედუინთა არაბული დიალექტები-
სათვისაა დამახასიათებელი), ხოლო აღმ. არამეულმა დიალექტებმა
კი შეეთრები — p , t , k , č , ასევე შეიშინა თანხმოვნები — z , g , z .

7.2. ვოკალიზმთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს,
რომ თანამედროვე არამეულში ხმოვანი ფონემები ძირითადად იგი-
ვეა, რაც საშუალო არამეულში დასტურდება (მოკლე და გრძელი
 a , e , i , o , u), მაგრამ გარკვეულ შემთხვევაში ცვლილებები შეინიშ-
ნება ცალკეული ხმოვნებისა თუ ხმოვანთა ჯგუფების მიმართ. ამ
ცვლილებების დაწყებას ვამჩნევთ ჯერ კიდევ ძველ დიალექტებში.
მაგალითად, ორთანხმოვნიანი დაწყების შემთხვევაში ულტრამოკ-
ლე ხმოვნები, როგორც წესი, იკარგვის: $\text{q}t\text{il}\text{a}$ „მოკლული“ < $\text{q}t\text{il}\text{ā}$;
გრძელი ხმოვნების დავიწროება, რაც დამახასიათებელი იყო დასავ-
ლური სირიულისათვის, შემდგომში გავრცელდა ყველა აღმოსავლურ
დიალექტზეც, სადაც პირველადი $\text{ō} > \text{ū}$ და $\text{ē} > \text{ī}$ (ძვ. აღმ. სირ. rēšā ,
მაგრამ თანამედრ. აღმ. სირ. rīšā „თავი“, ahūna „ძმა“ ʾaḥōnā -სა-
გან და ა. შ.). ტუროიოში ამას დაემატა $\text{ā} > \text{ō}$, ხოლო ერთ-ერთ აღმო-
სავლურ არამეულ დიალექტში ჯილუში $\text{ā} > \text{ē}$ (brēta „გოგონა“ < brā-
 tā). უმახვილო მოკლე ბოლოკიდური ხმოვნების მოკვეცა, რაც ძვე-
ლი არამეულის მასალების მიხედვით ცნობილია, გვხვდება ახალ არა-
მეულ დიალექტებშიც. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ბო-
ლოკიდური ხმოვნის დაკარგვა ზმნის პრეტერიტის ფორმაში ვა-
ნის დიალექტში: li „მოვიდა“ < li . განსაკუთრებით უნდა აღი-
ნიშნოს a ხმოვნის დავიწროება დახურულ მარცვალში — მოვლენა,
რომელიც ებრაული ენისთვისაა დამახასიათებელი. ასეა ვანის,
სალამასის, ჯილუს დიალექტებში (სალ. bišil „ხარშავს“
< baššil , ჯილ. leḥma „პური“ < laḥma). ხმოვნები ხშირად იცვ-
ლება როგორც კვალიტეტურად, ისე კვანტიტეტურად მარცვლის ტი-
პისა და მახვილიანობის მიხედვით. ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხა-
ზი: თანამედროვე დიალექტებში, როგორც წესი, გრძელი ხმოვნები
გვხვდება მხოლოდ ღია მახვილიან მარცვალში.


ამრიგად, ახალი არამეული ვოკალიზმისათვის მიიღება შემდეგო-
სურათი:

ხმოვანი ფონემები და ძირითადი ალოფონები
 ა. მოკლე ხმოვნები:



ტუროიოში აღნიშნავენ ფონემა ა-ს (ირაციონალური ხმოვნის) არსებობასაც⁹.

ბ. გრძელი ხმოვნები:



ხმოვან (ა)-ს არა აქვს გრძელი სახეობა.

ტაბულაში მოცემულია ალოფონების ძირითადი სახეობანი, რომლებიც მიიღება მოკლე და გრძელი ხმოვანი ფონემების რეალიზაციისას კონკრეტულ შემთხვევებში.

ამრიგად, ყოველ ხმოვნურ ფონემას (გარდა ა ხმოვნისა ტუროიოში) შეიძლება ჰქონდეს ხმოვნების სამი რიგი: წინა (რბილი ტემბრით), უკანა (მაგარი ტემბრით) და საშუალო (საშუალო ტემბრით).

7.3. ფონეტიკურ მოვლენათა განპირობების აღსანიშნავია ხშულთა სპირანტიზაცია, რაც ძველი და საშუალო არამეული დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი. ამ ფონეტიკურმა კანონმა, რომლის თანახმად ხშული თანხმოვნები ხმოვნის შემდეგ სპირანტებით შეინაცვლებიან, დაკარგა ძალა, მაგრამ მისი კვალი შემოინახა. იგი მდგომარეობს იმ სპირანტების არსებობაში, რომლებიც მძღებულ იქნა პოსტოკალურ პოზიციაში ხშულების სპირანტიზაციის შედეგად, მაგრამ ამჟამად დაცულია მოცემულ სიტყვაში ყველა პოზიციაში. ასე მიღებულია d და t თანხმოვნებისაგან: ა) $\underset{\cdot}{d}$ და $\underset{\cdot}{t}$ მაკლულასა, ტუროიოში და ზოგიერთ აღმოსავლურ არამეულ დიალექტშიც, უმთავრესად მთის დიალექტებში; ბ) z და s ზახოს ებრაელთა არამეულ მეტყველებაში; გ) $\underset{\cdot}{t}$ > l სალამასელ ებრაელთა არამეულ დიალექტში. ცალკეულ შემთხვევებში დასტურდება სპირანტიზებული $\underset{\cdot}{t}$ -ს ნაცვლად სპირანტების $\underset{\cdot}{z}$, h და

⁹ იხ. O. Jastrow, დასახ. ნაშრ., გვ. 11 და შემდ.

ჯ-ს წარმოთქმა (აშითა, ტიარი). ხ-ს სპირანტიზაციის შედეგად მიღებული ლაბიო-დენტალი v გვხვდება აღმ. არამეულ დიალექტებში, ხოლო სპირანტიზებული ო და k დაცულია ო (იშვიათად) და k (სისტემატურად) თანხმოვნების სახით. ზმნებში, სადაც ერთი და იგივე ძირეული თანხმოვნები სხვადასხვა პოზიციაში გვხვდება, ყველგან ამ თანხმოვნის მხოლოდ ერთი სახეობა დასტურდება: ხმული ან სპირანტი, რომელიც ამგვარად ძირეულ თანხმოვნად წარმოგვიდგება: brk < brk „კურთხევა“, მაგრამ brk დარჩა „დაჩოქების“ მნიშვნელობით, zvn < zbn „ყიდვა“, მაგრამ zbn „გაყიდვა“ და მისთ.

საყურადღებოა ფარინგალური ჩინისა და ემფატიკური თანხმოვნების დაკარგვა ზოგიერთ დიალექტში. იქ, სადაც ის თანხმოვნები დაკარგულია (აღმ. არამეული დიალექტები), მოცემული სიტყვების ხმოვნები ვ ე ლ ა რ ი ზ ა ც ი ა ს განიცდის. ველარიზაცია ეხება პალატალურ l-საც, რომელიც ასეთ შემთხვევაში გადადის „მაგარ“ (ე. წ. პოლონურ) ჯ-ში. მაგარ ტემბრში, რომელიც სიტყვაში რჩება ჩინისა და ემფატიკური თანხმოვნების დაკარგვის შემდეგ, ზშირად მკლერი თანხმოვნები ყრუვდება, ხოლო ფშინიერები მკვეთრდება: ურმ. tšā „მელა“ (<tačā), tšā „ოფლი“ <dačā), supra „თითი“ (<sičā). უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ დიალექტებში, განსაკუთრებით ურმიულში, დასტურდება ფონეტიკური მოვლენა, რომელიც გამოიხატება მოცემული სიტყვის ხმოვანთა ასიმილაციაში ერთ-ერთი მათგანის ტემბრის მიხედვით (სინჰარმონიზმი). ამის შედეგად მიიღება სიტყვები, რომლებიც მხოლოდ ტემბრით განირჩევა ერთმანეთისაგან: mālā „სოფელი“ და mātā „მუწუკი“, tšā „ხაფანგი“ და tšā „მელა“. შეინიშნება ხმოვანთა ჰარმონიის შემთხვევები ლაბიალობის მიხედვით: ურმ. ušqā „სკოლა“, მაგრამ išqap „კარადა“, ორივე ნასესხები სიტყვაა, სადაც პროთეტიკული ხმოვნები განვითარდნენ ფუძისეული ხმოვნის შესაბამისად. სინჰარმონიზმის საფუძველს აქ წარმოადგენს ტემბრის მიხედვით მკვეთრი დაპირისპირება, რაც მიიღწევა სემიტური კონსონანტიზმისათვის სპეციფიკური არტიკულაციის შედეგად.

გ ლ ო ტ ა ლ ი თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი, რომლებიც ჯერ კიდევ ძველ არამეულში, და განსაკუთრებით საშუალო არამეულში, ავლენდნენ ტენდენციას დაკარგვისადმი, თანამედროვე არამეულში უფრო ხშირად იკარგვის. მაგალითად, მარცვლის ბოლოს ხორხისმიერი ხმულ-მსკდომი ყოველთვის დაკარგულია; ხშირად იკარგვის (განსაკუთრებით აღმოსავლურ დიალექტებში) ხორხისმიერი სპირანტი h-ც:

ურმ. nāra „მდინარე“ (<nahrā), bāra „სინათლე“ (<bahrā), მანლ. alō „ღმერთი“ (<alōhō), mina „საიდან“ <min hān, ტურ. kāwi „ის იყო; ის გახდა“ <k-hāwi, manat „ვინ მოვიდა?“ <man ʔāti.

არც ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც თავიკიდური გლოტალი დაკარგულია მომდევნო თანხმოვანთან ერთად: მანლ. hōla „საქმე-ლი“ <ʔāḵōlā, მანლ. hōna, ტიარ. hōna „ძმა“ <ʔāhōnā. ანალო-გიურ შემთხვევაში იკარგვის არა მარტო გლოტალი, არამედ სხვა თანხმოვნებიც: dānā „დრო“ <iddānā, būla „თავთავი“ <šibbūlā და სხვ. იშვიათად შეინიშნება ო-ის შენაცვლება ფარინგალი ცი-ნით; მაგალითად, მანლულაში (როგორც ეს გვხვდება მანდეურშიც): šC1 „შეკითხვა“ <š1, emca „ასი“ <emʔā.

ზოგიერთი ცვლილება დასტურდება თანხმოვნის გ ე მ ი ნ ა-ც ი ი ს თვალსაზრისითაც. დასავლურსა და ცენტრალურ არამეულში გაორკეცებული თანხმოვნები დატულია (მანლ. šēčča „ექვსი“ „hoppa „ეკალი“; ტურ. qallan „ყალიონი“, haqq „უფლება“). მაგრამ აღმოსავლურ არამეულ დიალექტებში გემინაცია დაკარგულია, თუმცა მისი კვალი დღესაც შეიგრძნობა: ხმული თანხმოვნის არსებობა პოსტოკალურ პოზიციაში (dabāša „ფუტკარი“ <dab-bāšā), a ხმოვნის i-დ დავიწროება სალამსურსა და ვანის დიალექტებში (bišil „ხარშავს“ <iššil <baššil)¹⁰, მოკლე ხმოვნის შენარჩუნება მახვილიან ღია მარცვალში (libā „გული“ <libbā).

თანამედროვე არამეულ დიალექტებში ფართო გავრცელება პო-ვეს ისეთმა ფონეტიკურმა მოვლენებმა, როგორიცაა ა ს ი მ ი ლ ა-ც ი ა და დ ი ს ი მ ი ლ ა ც ი ა. ყველა დიალექტში ძლიერადაა წარმოდგენილი თანხმოვანთა კონტაქტური ასიმილაცია, ამასთანავე, უმეტესად, რეგრესული მიმართულებისა. ნაწილობრივი ასიმილაცია ეხება თითქმის ყველა თანხმოვანს (dumba „კული“ <dunbā, atḥa „ასე“ <hadḥa და ა. შ.), ხოლო სრულ ასიმილაციას მეტწილად სონორები (r, l, n) განიცდიან, ნაკლებად დენტალები (d, t): ურმ. ʔzā, ტურ. cezo „თხა“ <inzā, მანლ. hanna „ეს“ <hādnā.

თანხმოვანთა დისიმილაციის შემთხვევები გაცილებით უფრო იშ-ვიათად გვხვდება და ძირითადად სონორებს ეხება (მანლ. šobnā „ზეთი“ <šomnā, ურმ. nābil ||lābil „წალბა“ <mābil).

ახალ არამეულში ძლიერია ტენდენცია თანხმოვნების პალატა-ლიზაციისადმი. მაგალითისათვის შეიძლებაოდა დავესახელებინა t თან-

¹⁰ შდრ. ზემოთ, გვ. 90.

ხმოვნის გადასვლა ჯ-ში და k თანხმოვნისა k'-ში მაღლულას დიალექტში (არაბულიდან ნასესხებ სიტყვებშიც კი) და ველარული ხშულების g, k და k-ს ტენდენცია პალატალიზაციისადმი აღმოსავლურ დიალექტებში (g > g', k > k', k > k', რომლებიც ხშირად და საბოლოოდ აფრთხილებს იძლევიან: ḡ, ḥ, ḥ; მაგ.: ḡärmā „ძვალე“ < garmā, ḥālbā „ძალი“ < kalbā და მისთ.).

7.4. მ ა ხ ე ლ ი, მცირე გამოჩენის გარდა, ეცემა ბოლოდან მეორე მარცვალზე და იწვევს ხმოვნის გაგრძელებას, თუ მარცვალი ღიაა.

8. მორფოლოგია

8.1. სახელი

8.1.1. ს ა ხ ე ლ ი ს ფ უ ძ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ა. სახელის ფუძის წარმოების თვალსაზრისით ახალი არამეული დიალექტები ძველთან შედარებით ბევრს არაფერს იძლევა ახალს, თუ არ ვიგულისხმებთ ზოგიერთ ცვლილებას სახელის ფუძეში, რომელთაც ადგილი აქვთ ფონეტიკურ ნიადაგზე (ულტრამოკლე ხმოვნის დაკარგვა, გრძელი ხმოვნების დამოკლება და სხვ.). ახალ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ რთული შედგენილობის ფუძეების მქონე სიტყვების, ე. ი., კომპოზიტების არსებობა, რომელთა უმრავლესობა წარმოადგენს ძველ გენეტიურ კონსტრუქციას, წარმოებულს status constructus-ის დახმარებით: ურმ. qišṭimārān „ცისარტყელა“, მრ. qišṭimārāni (< qišṭi „მშვილდი“ st. cstr.-ში და mārān „ჩვენი უფალი“, ე. ი. „მშვილდი უფლისა ჩვენისა“), ტურ. reşdayro „მონასტრის წინამძღვარი“ (< reş „თავი“ და dayro „მონასტერი“, ე. ი. „თავი მონასტრისა“) და სხვ. კომპოზიტთა შორის განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ზედსართავი სახელები, რომლებიც mar ან māri (< māryā) სიტყვის დახმარებით იწარმოება (māryā „პატრონი, უფალი“, აქ st. construclus-ში): maršima „ცნობილი“ (= „სახელის პატრონი“), marāqil „გონიერი“ (= „გონების პატრონი, გონების მქონე“) და ა. შ. გვხვდება ისეთი კომპოზიტებიც, რომლებიც მიიღება ორი სახელის მარტივი შეერთებით (ეს სახელები მათთვის ჩვეულებრივ ფორმაში — st. emphaticus-შია წარმოდგენილი): ტურ. cezoṭūro „ქურციკი“ (< cezo „თხა“ და ṭūro „მთა“).

სიტყვაწარმოებით სუფიქსებს შორის გვხვდება ახალი რთული შედგენილობის სუფიქსებიც, როგორცაა აღმ. არამეული -anāya

და -nāya, მიღებული ორი, ძველ არამეულში ცნობილი სუფიქსების -ānā და -āyā-ს შერწყმით: ṭūra „მთა“, აქედან — ṭuranāya „მთელი“, urusnāya (<urus) „რუსი“ და მისთ., აგრეთვე უცხოური წარმოშობის სუფიქსები, როგორცაა პროფესიის მაწარმოებელი თურქული სუფიქსი -çi: ურმ. ṭaḥançi „მეწისქვილე“ ṭaḥāna-ს გვერდით, urḥaçi „მოგზაური“ <urḥa „გზა“; კნინობითის მაწარმოებელი ქურთული სუფიქსი -ek: ტურ. ḥmōrek „ჩოჩორო“ <ḥmōro „ვირი“.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა სახელმა, რომელიც კნინობითის მაწარმოებელი სუფიქსის -ōna (-ūna)-ს მეშვეობითაა ნაწარმოები, დაკარგა თავისი დიმინუტიური გაგება და მთლიანად შეცვალა მოცემული სახელების პირველადი ფორმები. ასეთი შემთხვევები გვაქვს პიროვნების აღმნიშვნელ სახელებთან: ურმ. aḥūna, ვან. ḥōna, ტურ. aḥūno „ძმა“; მაცლ. ḡabrōna „კაცი“, šunīta „ქალი“ (<ʾnš), psōna „ბიჭი“, bisnīta „გოგონა“ (< bāḥšōnīṭā) და მისთ.

8.1.2. სახელის ფლექსია.

8.1.2.1. სტატუსი. სახელის ჩვეულებრივი ფორმა დღეს status emphaticus-ია, რომელმაც კარგა ხანია დაკარგა თავისი დეტერმინაციული (განმსაზღვრელი) ძალა. სხვა სტატუსები (absolutus, constructus) ფაქტიურად გავიდნენ ხმარებიდან და დაცულია მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში, და სახელდობრ: status absolutus-ში გვხვდება ის სახელები, რომლებიც პრედიკატიული მნიშვნელობით იხმარება, ასევე ათეულების გამომხატველი რიცხვითი სახელები. ამ შემთხვევაში ერთეულების აღმნიშვნელი რაოდენობითი რიცხვითი სახელები მოცემულია მრავლობით რიცხვში status absolutus-ში: ურმ. ḥamši (<ḥamšīn) „ორმოცდაათი“ — მრ. <ḥamša „ხუთი“, მაცლ. ʾlētī „ოცდაათი“ <ʾlētīn, ტურ. arbci „ორმოცი“ <arbcīn. კიდევ უფრო იშვიათად გვხვდება სახელი status constructus-ში. იგი განდევნა ფართოდ გავრცელებულმა აღწერითმა გენეტიურმა კონსტრუქციებმა და დაცულია მხოლოდ რთული შედგენილობის სახელებში (კომპოზიტებში) და ზოგიერთ სპეციფიკურ შესიტყვებაში: მაცლ. bē šultōna „სულთნის სახლი“ (bē <bēt, st. cs.), barnaš „აღამიანი“, ზუსტ. „ძე კაცისა“ (bar „ძე“, st. cs.), ტურ. barḥmāho „მამამცილი“, ურმ. rišaqla „მუხლი“ (ზუსტ. „ფეხის თავი“; riš „თავი“, st. cstr.), და სხვ.

8.1.2.2. სქესი. რამდენადაც სახელები ძირითადად status emphaticus-ში გვხვდება, რამდენად სქესისა და რიცხვის მაჩვენებლებით გვევ-

ლინება ის დაბოლოებანი, რომლებიც მოცემული სტატუსისთვისაა დამახასიათებელი. ამრიგად, მდებრობითი სქესის ყველაზე უფრო გავრცელებული დაბოლოებაა -lā, რომელიც შემდეგი სახით დასტურდება დიალექტებში: -lā და -čā მაცლულაში (māclīnča „ქალაქი“ < mōclīntā), -to~ -tō ტუროიოში (dārtō „ეზო“, čamto „მამიდა“) და -lā აღმოსავლურ დიალექტებში (ურმ. mālikā „დედოფალი“, qarta „სიცივე“ და ა. შ.). გვხვდება მდ. სქესის სახელთა სხვა დაბოლოებანიც, როგორცაა -i ურმიულში (zārdā და მდ. zārdi „ყვითელი“), -e და -a ტუროიოში (lavna „ხალიჩა“, barneča „ქული“).

8.1.2.3. რიცხვი. მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლებად იგივე დაბოლოებანი გვხვდება, რაც ახასიათებდათ სახელებს st. emph.-ში ძველ არამეულში: ა) მამრობითი სქესის სახელებთან: (1) -i აღმ. არამეულში და -e ცენტრალურში, ორივე < ē (ტურ. malke, ურმ. malki), (2) -āni (ტურ. -ōne) < -ānē (ურმ. ḫaqlāni „ყანები“, ტურ. rišōne „თავეები“); ბ) მდედრობითი სქესის სახელებთან: (1) -āti (ტურ. -ōte), (2) -yāti (ტურ. yōte), (3) -wāti (ტურ. -awōte), როგორცაა, მაგალითად, ურმ. dārtā „ეზო“ < მრ. dārāti, šišiltā „ჯაქვი“, > მრ. šišilyāti, urḫa „გზა“ < მრ. urḫavāti, ტურ. ʔido „ხელი“ > მრ. ʔidōte, čisaqto „ბექედი“ > მრ. čisaqyōte, ʔaḫro „ქვეყანა“ > მრ. ʔaḫrawōte.

მაცლულაში მამრობითი სქესის სახელების მრავლობით რიცხვს აწარმოებს -ōya დაბოლოება, უფრო ხშირად ōy და ḡ-ს სახით (yūmōy „დღეები“ < yūmo „დღე“, ḫčurḡ „მოხუცები“), ხოლო მდებრობითი სქესის სახელებს — -ōte, -yōte დაბოლოებანი (kelmīta „სიტყვა“ > მრ. kilimōta, sūsca „ფაშატი“ > მრ. susyōte).

მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელთა შორის გვხვდება თურქული სუფიქსი -lar lari-ს სახით (არამეული -i დაბოლოებასთან ერთად): āga „ბატონი“ > მრ. āgalāri (მაგრამ ტურ. āḡawat).

დიალექტებში დაცულია სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოება ბოლოკიდური ძირეულის გამეორებით (ურმ. gilā „ბალახი“ > მრ. gilāli) და შინაგანი მრავლობითის ზოგიერთი ფორმა, რომლებიც ძველი არამეულიდანაა ცნობილი: ურმ. bayta (ტურ. bayto) „სახლი“ > მრ. bāli (ტურ. bōte), მაცლ. ḡḍo „თიკანი“ > მრ. ḡḍya. ასეთი ტიპის წარმოება (შინაგანი ფლექსიით) განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ტუროიოში: ḫāywan „ცხოველი“ > მრ. ḫayēwan, zəniḡir „ჯაქვი“ > მრ. zinéḡar და სხვ.¹¹.

¹¹ O. Jastrow, დასახ. ნაშრ., გვ. 225.

ორბითი რიცხვი დაცულია მხოლოდ რიცხვით სახელში „ორი“ *tre* (st. abs.) <*trēn* < **tʰrayn*.

8.1.2.4. სახელის დეტრმინაცია მხრივ ყურადღებას იქცევს ახალი განსაზღვრული არტიკლის განვითარება ცალკეულ დიალექტებში, რამდენადაც ძველმა სუფიქსალურმა არტიკლმა -ā (st. emphat.-ის ფორმამ) თავისი მნიშვნელობა ჯერ კიდევ საშუალო არამეულში დაკარგა¹². პირველ რიგში აქ უნდა დავასახელოთ ტუროო, სადაც განსაზღვრული არტიკლის ფუნქციას ასრულებენ პრეფიქსები *u-* (მხ. რიცხვის მამრ. სქესის სახელთან), *i-* (მხ. რიცხვის მდედრ. სქესის სახელთან) და *a-* ან *ann-* (მრ. რიცხვის სახელთან ორსავე სქესში): *ʒu-malko* „der König“, *ʒi-emmo* „die Mutter“, *ʒa-hwōtē* „die Schwestern“. ეს ნაწილაკები III პირის ნაცვალსახელებიდან უნდა მოდიოდნენ (*u* < *haw*, *i* < *hay*, *a* ~ *ann* < *hānōn*)¹³. ჩვენებითი ნაცვალსახელების განსაზღვრულ არტიკლად გამოყენების ტენდენცია სხვა ახალ არამეულ დიალექტებშიც შეინიშნება. აღმ. არამეულში მხ. რიცხვის მამრ. სქესის სახელებისათვის *o* (*o nā-ša* „der Mensch“), მხ. რიცხვის მდედრ. სქესის სახელებისათვის *e* (*e baḥṭa* „die Frau“), ხოლო მრ. რიცხვის სახელთათვის — *ān* ~ *en* (*en yaḥli* „die Kinder“). ხშირად ამავე როლში გამოდის აქეთა მწკრივის ჩვენებითი ნაცვალსახელი *a* (< *āha*) „ეს“ მხ. რიცხვის ორივე სქესის სახელთათვის: *a nāša*, *a baḥṭa*.

ინდეტრმინაცია ხშირად გამოხატულია რიცხვითი სახელის „ერთის“ მეშვეობით, როგორც ეს გვექონდა ძველ არამეულში: *ḥa malka* „მეფე“ (*a king*). ტუროოში მრ. რიცხვში განუსაზღვრელი არტიკლის ფუნქციით გვევლინება სიტყვა *kmo* „რამდენიმე“: *ḥa zlām* „მამაკაცი“ (*a man*), *kmo saṣye* „ცხენები“¹⁴ (*horses*).

8.2. რიცხვითი სახელი

8.2.1. რაოდენობითი რიცხვითი სახელების ორივე სქესის ფორმები დაცულია დას. არამეულში—მაცლულაში და ცენტრალურ არამეულში — ტუროოში. ყველა სხვა თანამედროვე დიალექტში მდ. სქესის ფორმები (გამონაკლისია რიცხვითი სახელი „ერთი“) დაკარ-

¹² იხ. ზემოთ, გვ. 58.

¹³ A. Siegel, Laut- und Formenlehre des neuaram. Dialektes des Tūr Abdīn, Hannover, 1923, გვ. 67.

¹⁴ J a s t r o w, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

გულია. „ორას“-ის აღმნიშვნელი ძველი არამეული ფორმა, რომელიც „ასის“ ორობით რიცხვს წარმოადგენს, გვხვდება მხოლოდ ტუროიოში, თუმცა, როგორც ჩანს, არა ყველგან: maṭe¹⁵, მაგრამ მიდინში — tremo¹⁶, როგორც ეს აღმოსავლურ დიალექტებშია.

8.2.2. რ ი გ ო ბ ი თ ი რიცხვითი სახელების წარმოების მხრივ ახალ არამეულს ძველ დიალექტებთან შედარებით ახალი არაფერი აქვს.

8.3. ნაცვალსახელი

8.3.1. პ ი რ ი ს ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი, რომლებიც სქესისა და რიცხვის მიხედვით განირჩეოდნენ ძველ არამეულში, დაცულია დას. არამეულში, ხოლო აღმ. არამეულში სქესი დღეს განირჩევა მხოლოდ მხ. რიცხვში, მრავლობითში კი პირის ნაცვალსახელთა მდებრობითი სქესის ფორმები დაკარგულია. მაღლელასა და ტუროიოში II პირში, III პირის ანალოგიით, სიტყვის თავში განვითარდა თანხმოვანი h: მაღლ. hačč (მამრ.) და hač (მდ.), მრ. რ. hačhun (მამრ.) და hačhen (მდ.); ტურ. hat (მხ. რ.) და hātu (მრ. რ.). ყველა სხვა თანამედროვე დიალექტში თავიკიდური h დაკარგულია III პირის ნაცვალსახელში: av (მამრ.) და ay (მდ.), მრ. ḫniy (<haw, hāy, hānīn).

პირის ნაცვალსახელთა ე ნ კ ლ ი ტ ი კ უ რ ი ფორმები გვხვდება მხოლოდ ცენტრალურ არამეულში, მაშინ როცა ნაცვალსახელური სუფიქსები დაცულია ყველა დიალექტში, თუმცა ზოგან სახეშეცვლილი. მაგალითად, მრ. რიცხვის I პირის ნაცვალსახელური სუფიქსის an-ის ნაცვლად გვხვდება ḫ, რომელიც სათანადო ნაცვალსახელიდანაა მიღებული: anah (paiṭah „ჩვენი სახლი“), აღმ. არამეულში მხ. რიცხვის III პირში i (<eh) და a (<āh) შეცვლილია u (მამრ.) და o (მდ.) სუფიქსებით, ხოლო მრავლობით რიცხვში ḫn სუფიქსის ნაცვლად იხმარება č, é (bēu „მისი (მამრ.) სახლი“, bēto „მისი (მდ.) სახლი“, hēté „მათი სახლი“). u და o სუფიქსები ნაცვალსახელური წარმოშობისაა. რაც შეეხება ē (é)-ს, იგი მიღებულია ay დიფთონგიდან, რომელიც ძველ არამეულში გვხვდება მრავლობითი რიცხვის სახელებთან სუფიქსების წინ.

8.3.2. კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ი თ მ ა ნაცვალსახელებმა ფართო გამოყენება პოვეს ცენტრალურ და აღმოსავლურ დიალექტებში, სადაც

¹⁵ A. Siegel, დასახ. ნაშრ., გვ. 118.

¹⁶ Jastrow, დასახ. ნაშრ., გვ. 244.

ისინი ნაცვალსახელური სუფიქსების გვერდით იხმარება. ეს ნაცვალსახელები, როგორც ეს იუდეურ-არამეულიდანაა ცნობილი, წარმოადგენენ ძველ მიმართებით ნაწილსაჲს di-ს, გაძლიერებულს დემონსტრაციული ელემენტით d-თი (აქედან: did), რომელსაც დაერთვის ნაცვალსახელური სუფიქსი: ტურ. didi „ჩემი“ didoh „შენი“ და ა. შ. აღმოსავლურ დიალექტებში (მაგალითად, ურმიულში) სპირანტიზებული d იკარგვის: *didī > dīyi „ჩემი“, diyuh „შენი“ (<*dīduh) და ა. შ.

8.3.3. აქეთა მწკრივის ჩვეებითი ნაცვალსახელი მაცლულასა და ტუროოში იგივეა, რაც სათანადო ნაცვალსახელები საშუალო არამეულში (მდრ. სირ. hānā და მაცლ. hanna, ტურ. hāno „ეს“ (მამრ.); სირ. hādā და მაცლ. hōdī, ტურ. hāti „ეს“ (მდედრ.), მაგრამ აღმ. არამეულში—āha (სქესის განურჩევლად). ამ ტიპის ნაცვალსახელები მრავლობით რიცხვში ყველა დიალექტში ერთნაირია: მაცლ. hannun (მამრ.) და hannen (მდ.), ტურ. hāni, ურმ. āni (<hānin). უნდა აღინიშნოს, რომ ელემენტი k, რომელიც ძველ არამეულში გვხვდებოდა იქითა მწკრივის ჩვენებით ნაცვალსახელებთან, დაცულია ანალოგიურ ნაცვალსახელებში ტუროოში: hāwok „ის“ (მამრ.) და hāyek „ის“ (მდ.), მრ. hānek „ისინი“. ტუროოს დიალექტშივე, დამოუკიდებელი ჩვენებითი ნაცვალსახელების გვერდით არსებობს მათი ენკლიტიკური ფორმები: მხ. āno, āti; მრ. āni (u-malkāno „ეს მეფე“).

8.3.4. კითხვითმა ნაცვალსახელებმა მცირედენი ცვლილებები განიცადეს. ძველი არამეული man „ვინ?“ დაცულია აღმოსავლურ დიალექტებში, ცენტრალურში man-ის გვერდით იმავე მნიშვნელობით დასტურდება ma¹⁷, დასავლურში —mōn. აღმ. დიალექტებში ხსენებული man-ის პარალელურად გვხვდება მისი გაერცობილი სახეობაც — māniy (<mānin). სხვაობას გვიჩვენებს ნაცვალსახელის „რა?“-ს გამომხატველი სიტყვები თანამედროვე დიალექტებში: მაცლ. mo (<საერთოსემიტ. mā), მაგრამ ტურ. mune, men, mu, ხოლო ნაცვალსახელურ ენკლიტიკასთან და წინდებულთან min-ის სახით (l'min „რისთვის?“), ურმ. mūdiy (<mūdīn), mu.

8.3.5. მიმართებით ნაცვალსახელად გამოიყენება ძველ არამეულშივე ცნობილი რელაციური ნაწილაკი di/d, რომელიც დასავლურში (მაცლულაში) li-ს გვაძლევს, ხოლო ყველა სხვა დიალექტში d-ს სახითაა დაცული.

¹⁷ A. Siegel, გვ. 78.

8.3.6. გა ა ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი ს გა-
 მოსახატავად ახალი არამეული ენა იმავე ხერხს მიმართავს, რასაც
 ძველი არამეული: „ვინმე“ ვადმოიცემა სახელით „ადაშიანი“ (მაღლ.
 harš<bariāš, ტურ. nîşo, ურმ. ha nāša), ხოლო „რამე“ — სახე-
 ლით „ნივთი, საგანი“ (მაღლ. mette, ტურ. mede¹⁸, ურმ. mindiy
 ან ha mindiy). ეგვე ნაცვალსახელები ნეგაციურ ნაწილაკთან ერ-
 თად აღნიშნავენ უარყოფით ნაცვალსახელებს: ტურ. nîşo lo „არა-
 ვინ“, ურმ. hiç mindiy „არაფერი“.

8.4. ზმნა

8.4.1. ზმნის უღვლილების სისტემამ ძირეული ცვლი-
 ლებები განიცადა: უღვლილება ასპექტის მიხედვით (პერფექტივი :
 იმპერფექტივი) ცენტრალურ და აღმოსავლურ არამეულ დიალექ-
 ტებში მთლიანად შეიცვალა უღვლილებით დრო-კილოთა მიხედვით,
 ხოლო დასავლურ არამეულში კი ძველი ასპექტური უღვლილების
 გვერდით განვითარდა ტემპორალი ფორმები. ცენტრალურ და აღმო-
 სავლურ დიალექტებში უღვლილების ძველ სისტემასთან ერთად და-
 იკარგა პირის ფორმები (გამონაკლისია ბრძანებითი კილო) და უღვ-
 ლილების მთელ სისტემას საფუძვლად დაედო ნაზმნარი სახელები:
 ინფინიტივები და მიმლეობები. რომელთაგან ზედსართავად მხოლოდ
 st. emph.-ში მდგომი ვნებითი გვარას მიმლეობა იხმარება.

8.4.1.1. და ს ა ვ ლ უ რ ა რ ა მ ე უ ლ შ ი (მაღლულაში), რო-
 გორც ეს უკვე აღნიშნულიც იყო, კარგადაა დაცული ზმნის უღვლილე-
 ბის ძველი სისტემა, მაგრამ, საშუალო არამეულთან შედარებით, შეინიშ-
 ნება ზოგიერთი განსხვავებაც. ასე, მაგალითად, რეფლექსივის ფორმები
 მთლიანად გავიდნენ ხმარებიდან, მხოლოდ აქა-იქ შემორჩა ცალკეული
 ზმნები რეფლექსივის ფორმით, რის ამოცნობაც ზშირად არც თუ ისე
 ადვილია (მაგ., ič̣hel<itṭkel „ენლა“, რეფლექსივი ძირითადი თემი-
 სა; isṭaC „ითამაშა“ — ინტენსივის თემის რეფლექსივი). ფართოდ
 არის გამოყენებული არაბულიდან ნასესხები რეფლექსიური თემები,
 ასევე, როგორც ჩანს, ინტენსივისა და კაუზატივის რეფლექსივებიც,
 რომლებიც საკუთარ (არამეულ) წარმოებას დაემთხვა. მიმლეობის
 ფორმები, რომლებიც უფრო ხშირად იხმარება, ვიდრე საშუალო
 არამეულში (მაგ., სირიულში), მაღლულაში გამოიყენება აწმყოსა და
 ნამყოს (განსაკუთრებით წინარე ნამყოს) გადმოსაცემად: მოქმედები-
 თი გვარის მიმლეობა q̣ōtel (<q̣ātel) გამოხატავს აწმყოს, ხოლო ვნე-
 ბით გვარის მიმლეობა iq̣ēl (<q̣īl) — ნამყო დროს. აღსანიშნავია,
 რომ ასეთ შემთხვევებში, საშუალო არამეულისაგან ან სხვა თანამედ-

¹⁸ შღრ. სირ. meddem.

როვე დიალექტებისაგან განსხვავებით, პარტიციპიალურ ფორმებს დაერთვის არა ნაცვალსახელური ენკლიტიკა ან ნაცვალსახელური სუფიქსები, არამედ იმპერფექტივისათვის დამახასიათებელი პირის პრეფიქსალური მაჩვენებლები: *nǫðħek* „მე ვიცი“ (<*n-ǫðħek*), *ǰizreb* „შენ დაპატიმრებული ხარ“ (<*ǰ-izreb*). III პირი გამოხატულია სათანადო პარტიციპიალური ფორმით პირის ნიშნების გარეშე. უნდა აქვე აღინიშნოს, რომ გარდაუვალი ზმნის ნამყო დროის საწარმოებლად ვნებითი გვარის მიმღეობის ნაცვლად გამოიყენება ვერბალური ზედსართავი *qatǰil* ტიპისა (*naffeq* „გავიდა“ <**naffiq*).

8.4.1.2. ცენტრალურ არამეულში (ტუროოში), სადაც დაცულია იგივე თემები, რაც დასავლურში, მიმღეობები საფუძვლად დაედო ზმნის უღვლილების ახალ ტემპორალურ სისტემას. გრამატიკული დროების საწარმოებლად ფართოდ გამოიყენება მეშველი ზმნა „ყოფნა“ (ე. წ. *verbum substantivum*) და ნაცვალსახელური ენკლიტიკა და სუფიქსები.

მოქმედებითი გვარის მიმღეობა, რომელსაც მთელ ახალ არამეულ ენაში აწმყო დროის მნიშვნელობა აქვს, ცენტრალურ არამეულში იხმარება აგრეთვე ნამყო უწყვეტლისა და მყოფადის საწარმოებლად (ამ მიზნით გამოიყენება ნაწილაკები *kʷ/gʷ* და *kʷd/gʷd*).

ვნებითი გვარის მიმღეობა საფუძვლად უძევს ნამყო უწყვეტლისა და წინარე ნამყოს წარმოებას: *n-ǰaqle* <**nǰiq-leh* და *n-ǰaqwayle* <**nǰiq-wa(y)-leh* „მან (მამრ.) აკოცა“. ტუროო, მაძლულას არამეულის მსგავსად, გარდაუვალ ზმნებთან იყენებს ვერბალურ ზედსართავს **qatǰil*-ს (*rahiṭi* „გაიქცნენ“ <**rahṭiṭin*).

8.4.1.3. აღმოსავლურ არამეულ დიალექტებში ზმნის უღვლილების თვალსაზრისით იგივე მდგომარეობაა, რაც ცენტრალურში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ უღვლილებას საფუძვლად ყველა ნაზმნარი სახელი უძევს (როგორც მიმღეობები, ისევე ინფინიტივიც). ამდენად, აღმოსავლურ არამეულში ზმნური ფორმები მეტია, ვიდრე ტუროოში.

მოქმედებითი გვარის მიმღეობა აწარმოებს არა მარტო აწმყოს, ნამყო უწყვეტელსა და მყოფადს (*ki* და *biṭ* ნაწილაკების დახმარებით), არამედ ნამყო წყვეტილსაც (*qam* ნაწილაკის მეშვეობით).

ვნებითი გვარის მიმღეობა, საიდანაც ახალ არამეულში ნამყო წყვეტილი (პრეტერიტი) და წინარენამყო იწარმოება, აქ გამოიყენება ორი ფორმით: *status absolutus*-ისა და *status emphaticus*-ის ფორმით. ეს უკანასკნელი მხოლოდ აღმ. არამეულში გამოიყენება და

მისგან იწარმოება გარდამავალი ზმნის პერფექტივი (შეესატყვისება ქართულ თურმეობითს) ან გარდაუვალი ზმნის აწმყო და ნამყო დროები (მაშინ, როდესაც უკანასკნელ შემთხვევაში დასავლურ და ცენტრალურ დიალექტებში *qatıl* ტიპის ზმნური ზედსართავი გამოიყენება).

ინფინიტივის გამოყენებამ მოქმედებითი გვარის მიმღეობის გვერდით საშუალება მისცა აღმოსავლურ დიალექტებს (ურმიის, სალამასის, ვანისა და სხვ.) ზმნის ფინიტური ფორმები განასხვავოს აწმყო-სა და ნამყო უწყვეტელში მოქმედების ხანგრძლივობის (განგრძობის) თვალსაზრისით. ამრიგად მიიღება ტემპორალური ფორმების ორი რიგი, რომელთაგან ერთი გამოხატავს მოქმედებას, რომელსაც ადგილი აქვს მოცემულ, კონკრეტულ შემთხვევაში, მეორე კი გადმოსცემს ჩვეულებრივ, ხშირად განმეორებულ ან სუბიექტისათვის დამახასიათებელ მოქმედებას. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს „კონკრეტულ დროებთან“, მეორე შემთხვევაში — „ზოგად დროებთან“; აქედან — „აწმყო კონკრეტული“ („მომენტალური აწმყო“) და „აწმყო ზოგადი“ („აწმყო განგრძობითი“), „ნამყო უწყვეტელი კონკრეტული“ და „ნამყო უწყვეტელი ზოგადი“.

